საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

30 იანვარი **ოთხშაბათი** 2013 №023 (13 939) ფასი 80 თეთრი





## შენგელიას პირველი აღიარება

თორნიკე შენგელია NBA-ის განვითარების ლიგაში გასული კვირის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. მან განვლილ შვიდდღეულში „სპრინგფილდის“ მაისურით ორი მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 31.5 ქულას, 15.5 მოხსნასა და 4.5 პასს აგროვებდა.

*- თოკო შეუჩერებელი იყო. მან ორი „მონსტრი-თამაში“ ჩაატარა,* - სიტყვასიტყვით ასე თქვა „ბრუკლინის“ მწვრთნელმა პი ჯეი კარლესმომ და გუშინაც დავწერეთ, რომ 21 წლის ქართველი განვითარების ლიგიდან NBA-ის გუნდში დააბრუნა.





## მოირგებს ფაჩულია ჩიკაგოს კეპს?

ვებსაიტ sports.gather.com-ზე ქართველთათვის საინტერესო ინფორმაციაა გამოქვეყნებული, რომელშიც ნათქვამია:

„საპლეიოფოდ სრულად გამოჯანმრთელდება ჩიკაგოელთა გამთამაშებელი დერეკ როუზი და გუნდს მაღალი მიზნების მისაღწევად კარგი მეფარე დასჭირდება. როგორც ჟურნალისტი ჰადონ ანდერსონი გვარწმუნებს, „ბულსის“ ხელმძღვანელობას ზაზა ფაჩულიას დამატება აქვს გადაწყვეტილი. სანაცვლოდ „ატლანტაში“ გადავა რიჩარდ ჰემილტონი, რომელიც ლუ იულიამსის ტრავმის შემდეგ ჯორჯიელების უკანა ხაზს გააძლიერებს.

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ NBA-ის სატრანსფერო ბაზრის გახსნას.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ. გიორგი ნიჟარაძე
**ეროვნულ ნაკრებს საკუთარი სტადიონი სჭირდება!** 13

# ჩაკარგული სკანდალი

## ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში სამინისტრო მხარე არ უნდა იყოს!



3



— ფრანს ფუტბოლი —

# ყატარი 2022 გაყიდულია!

პლატინიმ და სარკოზიმ არაბებს მუნდიალის მასპინძლობის უფლება პსჟ-ს ყიდვაში გაუცვალეს! ზიდანმა 11 მილიონი მიიღო, მოსყიდულები იყვნენ გვარდიოლა და კარამბეც!





5





## მორჩა, მარიო მილანში ბრუნდება!

ბალოტელის 5-წლიანი კონტრაქტი, სიტის 20 მილიონი 7





დღეს კლასიკოა და კასილიასის ცოლი ამბობს:

## რეალში მართლა ქაოსია! 9





იტალიის თასი

## ფლოკარიმ ლაციო ფინალში გაიყვანა!

პრემიერლიგა. XXIV ტური

## სიტიმ ქუინზ პარკს ვერაფერი დააკლო 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



გიორგი დევდარიანი

ფოტო: www.gff.ge

## გიორგი დევდარიანი:

# ფორმის პიკზე ელიტრაუნდისთვის გავალთ

### არ ღირს ამ ბიჭებისთვის შარშანდელი შედეგის ხშირად შეხსენება...

**ორ თვეზე** ნაკლები რჩება ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდამდე, სადაც საქართველოს ნაკრებიც იასპარეზებს. ჩვენი გუნდი ავსტრიაში მასპინძლებს, სერბებსა და ირლანდიელებს ფინალური ეტაპის ერთი საგზურისთვის შეებრძოლება.

ელიტრაუნდისთვის მოსამზადებელ პერიოდში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მინსკის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, სადაც არცთუ სახარბიელო შედეგი აჩვენა – რვა გუნდს შორის ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილი დაიკავა. თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი, გიორგი დევდარიანი მიიჩნევს, რომ ამ შედეგს თავისი ლოგიკური ახსნა აქვს.

გიორგი დევდარიანი "ლელოს" რესპონდენტია, მან ჩვენთან ინტერვიუში მინსკის ტურნირი შეაფასა და ელიტრაუნდთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა.

**- რამდენად სასარგებლო გამოდგა საქართველოს ნაკრებისთვის მინსკში ასპარეზობა?**

- ამ ტურნირმა თავისი როლი ასი პროცენტით შეასრულა. ჩვენი ბიჭებისთვის მინსკში თამაში ძალიან სასარგებლო პრაქტიკა გამოდგა. რა თქმა უნდა, შედეგი ჩვენთვის არადამაკმაყოფილებელია, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს – თბილისურ და ზუგდიდურ შეკრებებზე გუნდი ორჯერადად ვარჯიშობდა და ასეთი დატვირთვების ფონზე მაღალი შედეგის მიღწევის შანსი ნაკლებად გვქონდა. მსგავს ტურნირებში შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ფორმის პიკზე ელიტრაუნდისთვის გავიდეთ, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

მინსკში საშუალება მოგვეცა, სათამაშო პრაქტიკა იქ წაყვანილ ყველა ფეხბურთელს მიეღო და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტიც გამოვცადეთ. ასე რომ, ბელარუსულმა ვოიაჟმა თავისი მისია შეასრულა.

**- იქ ნაჩვენები შედეგი ბიჭების ფსიქოლოგიურ განწყობაზე უარყოფით გავლენას ხომ არ მოახდენს?**

- არა, რადგან მათ მინსკში წასვლამდეც ვაფრთხილებდით, რომ დატვირთვების ფონზე მაღალი შედეგების მიღწევის შანსი ნაკლებად გვქონდა. თუმცა მაინც შეგვეძლო, უფრო წარმატებულად გვეასპარეზა. პირველ ტურში ტურნირის მომავალ გამარჯვებულ ბელგიას შევხვდით და ტოლი არაფერში დავუდეთ. მარცხი ბოლო რვა წუთში მიღებულმა ორმა გოლმა განაპირობა, რაც ისევ და ისევ გადაღლილობის ბრალი იყო. მასპინძელ ბელარუსთანაც არანაკლებ მაღალ დონეზე ვითამაშეთ, რაც შედეგზეც აისახა.

რაც შეეხება ლიტვასთან მატჩს, იქ განცდილი მარცხი უკვე მოტივაციის ნაკლებობით იყო განპირობებული, რაშიც ბრალი მეც მიმიძღვის. ბიჭები მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებულები გავიდნენ და იმის მიუხედავად, რომ უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, მაინც სამბურთიანი სხვაობით დავმარცხდით. ფაქტობრივად, მეტოქე ჩვენს ნახევარზე სამჯერ გადმოვიდა და სამივეჯერ გოლი გაგვიტანა. დარწმუნებული ვარ, სხვა შემთხვევებში ლიტვას ათიდან ათ თამაშს მოვუგებთ.

ბელარუსული ტურნირიდან ბელგიის ნაკრებს გამოვარჩევ, რომელმაც გათამაშება დამაჯერებლად მოიგო. ბელგიელებს "ჩელსის" ორი ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებსაც კლუბის განკარგულებაში დაბრუნება ფინალამდე მოუწიათ და ამის მიუხედავად, მათმა ნაკრებმა მაინც შეძლო.ფინალში რუსეთის დამარცხება.

**- მინსკის ტურნირმა რა ხარვეზები დაგანახათ?**

- ყველაზე თვალში საცემი განაპირა მცველების პრობლემაა. ამ პოზიციებზე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის გამოცდას ვაპირებთ და ვნახოთ, რომელი კანდიდატი როგორ წარმოაჩენს თავს.

**- ცნობილია, რომ ელიტრაუნდამდე სამ საკონტროლო მატჩს გამართავთ.**

- დიახ, გერმანიაში მასპინძლებს ერთხელ შევხვდებით, ხოლო თბილისში შვედეთის ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ. მოხარული ვარ, რომ მსგავსი დონის გუნდებთან გაჯიბრების საშუალება გვეძლევა, ეს ჩვენს დადებით და უარყოფით მხარეებზე კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის. შეკრების ფარგლებში საკონტროლო შეხვედრებს ქართულ კლუბებთანაც გავმართავთ. ელიტრაუნდი ავსტრიაშია და დასკვნითი შეკრების გავლას სწორედ იქ ვაპირებთ.

**- ელიტრაუნდის მეტოქეებზე რა ინფორმაციებს ფლობთ?**

- ჩამოგვივიდა სერბეთის ნაკრების მიერ პირველ შესარჩევ ეტაპზე გამართული ყველა თამაშის ფირი, მალე ავსტრიისა და ირლანდიის ნაკრებების ჩანაწერებსაც მივიღებთ. ყველა მეტოქესთან მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ ჩვენი უმთავრესი კონკურენტი სწორედ სერბეთია. პირველ შესარჩევ რაუნდში ამ გუნდმა ყველა მატჩი დამაჯერებლად მოიგო. თვალში საცემია ის, რომ სერბეთს საოცრად ათლეტური და ჯანიანი ფეხბურთელები ჰყავს, ვიტყოდი, რომ ისინი არც ტანით და არც სახით 17 წლის ბიჭებს არ ჰგვანან...

**- ლუკა ზარანდია ტურნირის ორგანიზატორებმა საუკეთესო თავდამსხმელად დაასახელეს. მის გარდა, ჩვენი გუნდიდან ვინმეს ხომ არ გამოარჩევდით?**

- თქვენი ნებართვით, საქართველოს ნაკრებიდან რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფისგან თავს შევიკავებ.

**- ქართველი 17-წლამდელების წინათაობის წარმატება თქვენი ფეხბურთელებისთვის მოტივაცია უფროა თუ ფსიქოლოგიური ტვირთი?**

- ერთიც არის და მეორეც. თუმცა მაინც არ ღირს ამ ბიჭებისთვის შარშანდელი შედეგის ხშირად შეხსენება, ეს მათთვის შეიძლება დამთრგუნველი იყოს. რასაკვირველია, არ ვაპირებთ ელიტრაუნდში სტატისტის როლში ყოფნას და შარშანდელი მიღწევის გამეორებისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა ამ ასაკში უმთავრესი მაინც ფეხბურთელის დაოსტატებაა.

**- გაკმაყოფილებთ თუ არა იმ ბიჭების განვითარების დონე, რომლებიც რამდენიმე წლის წინ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში თქვენი ხელმძღვანელობით თამაშობდნენ?**

- არიან სასიამოვნო გამონაკლისებიც, მაგრამ საერთო ჯამში, არ მაკმაყოფილებს. მათი ზრდისა და განვითარების დინამიკა არასასურველია, ამის მიზეზებზე საუბარი კი შორს წაგვიყვანს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამზადისი

# დინამომ ვერც ილიჩევეცს მოუგო

**დინამო–ილიჩევეცი 2:2**

1:0 მერებაშვილი (31), 1:1 ბუდკოვსკი (55), 1:2 პოლიანსკი (57), 2:2 მერებაშვილი (90. პენ).

"დინამო": ლორია – სეთურიძე (75. მენდი), რეხვიაშვილი, კვარაცხელია (46. შაშიაშვილი), ხოჭოლავა (46. კოტო) – ალვარო, ძარია (73. ტატანაშვილი), ხმალაძე (46. კვეკვესკირი), მილხრაუმი – მერებაშვილი, დვალი (74. შინდაგორიძე)

"ილიჩევეცი": ხუჯანოვი, სუხოცკი, ჩიჟოვი, იავორსკი, კისილი, დოვგი, ვიცენეცი, **თარგამაძე**, მანძიუკი, იაროშენკო, ფომინი.

შეცვლაზე: ხომენკო, შევჩუკი, ორდეცი, პოლიანსკი, ბუტკო, ემელიანოვი, პუკანიჩი, **ოქრიაშვილი**, ფედოტოვი, კრავჩენკო, ბუდკოვსკი

გაფრთხილება: ჩიჟოვი (11), ემელიანოვი (76), კრავჩენკო (81), ფედოტოვი (85).

**ანთალიურ** შეკრებაზე თბილისის "დინამომ" მესამე სპარინგმატჩი უკრაინის პრემიერლიგელ მარიუპოლის "ილიჩევეცთან" გამართა. კლუბს საქართველოში კარგად ვიცნობთ, რადგან მარიუპოლელთა შემადგენლობაში ოთხი ლეგიონერიდან სამი ქართველია – **გიორგი ჯგერენაია, დავით თარგამაძე** და **თორნიკე ოქრიაშვილი**.

თბილისელთა პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრა დინამოელთა უპირატესობით დაიწყო: **გიორგი მერებაშვილის** გადაცემით უკრაინელთა მეკარესთან პირისპირ **ჯაბა დვალი** აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი მეკარემ მოიგერია. სახიფათო აღმოჩნდა მერებაშვილის საჯარიმო დარტყმა და უკრაინელთა ორი შეტევა, თუმცა, შედეგი არც ერთს არ მოჰყოლია.

31-ე წუთზე, **ლევან ხმალაძის** გადაცემის შემდეგ, მერებაშვილმა ბურთი მკერდით საჯარიმოში შეაგდო, ორი მეტოქე მოატყუა და მეკარეს მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა - 1:0.

"დინამო" უპირატესობას პირველი ნახევრის ბოლოსაც ფლობდა. ანგარიშის გაზრდა შეეძლო დვალს, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ დალაშქრა მეტოქის კარი - საგოლე მომენტი ვერც მეორე ტაიმის დასაწყისში გამოიყენა.

სამაგიეროდ, უკრაინელებმა ივარგეს: ჯერ მარცხენა ფლანგიდან ოქრიაშვილის წამოწყებული კომბინაცია **ფილიპ ბუდკოვსკიმ** დააგვირგვინა, შემდეგ კი **ალექსანდრ პოლიანსკიმ** ზუსტად შეასრულა საჯარიმო – 1:2.

აქტიურად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შესული **ლაშა შინდაგორიძე**. "დინამოს' ახალწვეული "ილიჩევეცის" მცველმა 90-ე წუთზე საჯარიმოში წააქცია, პენალტი მერებაშვილმა ზუსტად შეასრულა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 2:2.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები



ჯანო ანანიძე

# ტირანაში ანანიძის გარეშე

**როგორც** ცნობილი გახდა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 6 თებერვალს ალბანეთთან სტუმრად გასამართ ამხანაგურ მატჩში **ჯანო ანანიძე** ვერ დაეხმარება. როგორც იცით, მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველმა დეკემბერში მენისკის ოპერაცია გაიკეთა და იმის მიუხედავად, რომ ვარჯიში უკვე განაახლა, სრული დატვირთვით სათამაშოდ ჯერ მზად არ არის.

შევიტყვეთ ისიც, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი **თემურ ქეცბაია** ნაკრებში მისი შემცვლელის გამოძახებას არ აპირებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

# ამისულაშვილმა კრილიასთან გააფორმა

**ალექსანდრე ამისულაშვილი** "კრილია სოვეტოვის" ფეხბურთელია – საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველმა სამარელთა შემადგენლობაში რამდენიმე დღის განმავლობაში ითამაშა, საკონტროლო მატჩებიც ჩაატარა და საბოლოოდ, მისი საკითხი დადებითად გადაწყდა.

ამისულაშვილმა "კრილიასთან" კონტრაქტი გუშინ გააფორმა. სამარული კლუბის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი გენერალურმა დირექტორმა **დენის მასლოვმა** მოაწერა. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ალეკო "კრილიას" ღირსებას 5-ნომრიანი მაისურით დაიცავს. სწორედ ამ ნომრით ასპარეზობდა იგი "კრასნოდარში", რომელიც სულ ახლახან დატოვა.

რაც შეეხება "კრილია სოვეტოვს", გუნდი რუსეთის პრემიერლიგაში დღეისთვის მე-14 ადგილზეა და ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მე-14 პოზიციაზე გასვლის შემთხვევაში ამისულაშვილის ახალ გუნდს გადათამაშებაში პირველი ლიგის მესამეადგილოსანთან მოუწევს შეხვედრა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# კობახიძის საგოლე პასი

**ფინეთის** ლიგის თასზე წარუმატებელ ასპარეზობას განაგრძობს **ირაკლი სირბილაძის** "ინტერ ტურკუ", რომელიც გუშინ შინ "ივასკილასთან" 2:3 დამარცხდა. ქართველმა თავდამსხმელმა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

ამ ტურნირზე პლეი ოფამდე ჯგუფური ეტაპებია. სამი ტურის შემდეგ "ინტერს" მხოლოდ ერთი ქულა აქვს, თუმცა ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს.

უკრაინულმა "დნიპრომ" ტესტ-მატჩში უნგრულ "ვიდეოტონს" 1:0 სძლია, რაშიც დიდი წვლილი **სანდრო კობახიძემ** შეიტანა. შეხვედრის 42-ე წუთზე ხორვატმა **ნიკოლა კალინიჩმა** გამარჯვების გოლი სწორედ მისი გადაცემით გაიტანა. კობახიძე მოედანზე მე-15 წუთზე შევიდა, მეორე დნიპროელი ჯაბა კანკავა კი – 61-ეზე.

ლუგანსკის "ზარია", რომლის ღირსებასაც **ჯაბა ლიპარტია** იცავს, 0:2 დამარცხდა "კრილია სოვეტოვის" დუბლშემადგენლობასთან. ლიპარტიამ მატჩი სრულად ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თვალსაზრისი


ლევან ყიფიანი


ზვიად სიჭინავა

# ჩაკარგული სკანდალი

ჟურნალისტი სკანდალური მასალის მოსაპოვებლად სხვადასხვა ტრიუკს მიმართავს. ზოგი ბოროტმოქმედთა ბანდის წევრი ხდება, მაგარი ამბავი რომ გახეთქოს, ზოგიც მაფიოზის ოჯახში ძიძად ან ფორტეპიანოს მასწავლებლად მიდის, სკანდალური ინფორმაცია რომ მოიპოვოს.

საქართველოში ჟურნალისტიკა ჯერ აქამდე არ მისულა, რადგან ამის აუცილებლობა არ არსებობს. ჩვენთან სკანდალი ისედაც ბევრია, ოღონდაც ზოგჯერ ჟურნალისტები კარგად ვერ „აყვირებენ" ასეთ ამბავს, ან კიდევ პატივცემული საზოგადოება სკანდალად არ მიიჩნევს სკანდალურ ისტორიას.

გუშინწინდელი ამბავია - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, გენერალური მდივანი და ვიცე-პრეზიდენტები სპორტის სამინისტროში დაიბარეს, შეხვედრას მინისტრის გარდა **მიხეილ ყაველაშვილი** და **გოჩა ჯამარაულიც** დაესწრნენ.

სპორტის ახლანდელი მინისტრი **ლევან ყიფიანი**, ყაველაშვილი და ჯამარაული თანამებრძოლები ჯერ კიდევ მაშინ გახდნენ, როცა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უმცროსი **ნოდარ ახალკაცი** გახლდათ. მაშინდელი ხელისუფლების ძალმომრეობა იმდენად აშკარა იყო, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში **გია ნემსაძის** გამარჯვებიდან ერთი საათიც კი არ იყო გასული, ნემსაძე ტელევიზიით რომ გამოვიდა და თქვა, ჩემი მიზანი ფედერაციის პრეზიდენტობა არ ყოფილაო.

ამ სამარცხვინო ფაქტის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტი ისევ უმცროსი ახალკაცი გახდა. ფეხბურთის საქმე საქართველოში კარგად ვერ მიდიოდა, ყიფიანი, ყაველაშვილი და ჯამარაული სამართლიანად აკრიტიკებდნენ ფეხბურთის ფედერაციას მთელ რიგ საკითხებში, მათი კრიტიკა არგუმენტირებული იყო, კონკრეტული ფაქტებით გამყარებული.

უმცროსმა ახალკაცმა პრეზიდენტობის მეორე ვადა ბოლომდე ვერ ამოწურა, დაიბარეს კაბინეტში და იქიდან გამოსულმა განაცხადა, ეროვნულმა ნაკრებმა შესარჩევში ერთი მატჩიც ვერ მოიგო და თანამდებობას ვტოვებო.

დადგა ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნების ჯერიც, მაგრამ არ ჩანდნენ კანდიდატები. რატომ? ალბათ ზოგს ეშინოდა, ზოგსაც კიდევ გამარჯვების იმედი არ ჰქონდა. არჩევნებზე კანდიდატურის არწამოყენება რეალობისთვის თვალის გასწორებას ნიშნავდა - ასეთი იყო მაშინდელი ლოგიკა და ამ ლოგიკის საფუძველი პირველ რიგში იყო შიში. ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ერთი აღმოჩნდა - **ზვიად სიჭინავა**.

შეიცვალა ხელისუფლება, ლევან ყიფიანი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გახდა და ცხადია, აქვს საკუთარი ხედვა საქართველოში ფეხბურთის განვითარებაზე. რამდენიმე თვის წინ სპორტის მინისტრი და ფედერაციის პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს, იმ შეხვედრის დეტალები სიჭინავამ გაახმაურა და მისი ნათქვამიდან გაჩნდა შთაბეჭდილება, რომ მთავრობა გარკვეულ ზეწოლას ახდენდა ფედერაციის პრეზიდენტზე.

ახლახან კი მინისტრმა ფედერაციის სხვა მაღალჩინოსნები რომ დაიბარა, შეხვედრას ყაველაშვილი და ჯამარაულიც დაესწრნენ. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

„ქართულ ოცნებას" საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ არ მოსწონდა მოქმედების ის ფორმები, რითაც წინა ხელისუფლება სარგებლობდა. ვფიქრობ, ამაში საკამათო არაფერია.

მინისტრის კაბინეტში ფეხბურთის ფედერაციის ოპონენტების გამოჩენა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როცა მინისტრი ფედერაციის ხელმძღვანელობას იბარებს, ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებზე ესაუბრება და ასეთ შეხვედრას ყაველაშვილი და ჯამარაულიც ესწრებიან, ვერ უნდა იყოს კარგი საქმე არა მხოლოდ სამინისტროს, არამედ მთელი მთავრობისთვის.

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში სამინისტრო მხარე არ უნდა იყოს, სამინისტროს არც იმის უფლება აქვს, რიგგარეშე არჩევნების ჩატარება პირდაპირ თუ ირიბად მოსთხოვოს ფეხბურთის ფედერაციას - ასეთი რეგულაციები არსად წამიკითხავს და თუ რამე გამომრჩა, ბოდიში მომითხოვია.

მე მაინც მგონია, რომ მინისტრის კაბინეტში ფედერაციის ოპონენტების გამოჩენა ზემოთხსენებულ შეხვედრაზე სკანდალური ამბავია. შესაძლოა, ჩემი თვალსაზრისი საკამათოც კი იყოს, საქართველოში სტანდარტები თითქმის არ არსებობს და ამიტომ.

პატივცემულო მკითხველო, როგორ ფიქრობ, მე რომ პარტიული გაზეთის რედაქტორი ვყოფილიყავი, უფრო წარმატებული ჟურნალისტი გავხდებოდი თუ პირიქით?

პასუხი ამ კითხვას ერთი აქვს - პარტიული ხაზით ჟურნალისტი მეტ ავტორიტეტს იქმნის ხალხშიც და კოლეგებშიც. ასეა საქართველოში და ამიტომაც ჩვენთან არ არის სკანდალი მინისტრის კაბინეტში მეგობრებისა და ფედერაციის ჩინოსნების თავყრილობა.

„ქართულ ოცნებას" შესაძლოა საინტერესო პროექტი აქვს მოფიქრებული ფეხბურთის განვითარებაზე, ოღონდაც თუ საკითხი ისე დგას, რომ ეს პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ფედერაციის პრეზიდენტად ჩვენი კაცი იქნება, ეს უკვე წინა ხელისუფლების ხელწერას ჰგავს.

ფეხბურთის განვითარებაზე წინა ხელისუფლებამაც იზრუნა, მილიონობით ლარს ურიცხავდა ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ მოქმედების ფორმებში დიდი იალლიშები მოსდიოდა და დახარჯულმა ფულმაც დიდი ეფექტი ვერ მოიტანა.

წინა ხელისუფლების შეცდომები გაკვეთილი უნდა იყოს ახლანდელისთვის - ამაზე მაინც ნუ ვიკამათებთ.

ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნები კი თუ ასე აუცილებელია, ფედერაციის სუბიექტები რატომ არ ლაპარაკობენ ამაზე? დღესაც შიში და ძალმომრეობაა საქართველოში?..

ვითარება ასეთად დარჩა: ზვიად სიჭინავა მინისტრისა და მისი მეგობრების ნათქვამის გამო გადადგომას არ აპირებს.

**დავით თავართქილაძე**

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ფეხბურთის და „დინამო თბილისის" ძველი თაობის ერთგული ქომაგის

**გოგი დემეტრაძის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და ახლობლებს.

● სამზადისი

# ტორპედოს და ფანცულაიას რეკორდები


გიორგი ფანცულაია

გუშინ "ტორპედომ" ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ამჯერად **გია გეგუჩაძის** გუნდი წყალტუბოს "სამგურალს" დაუპირისპირდა. თუმცა, ამ შეხვედრას სიტყვა "დაპირისპირება" ნაკლებად შეეფერება: ქუთაისელები მეზობლებს ძალიან "არამეგობრულად მოექცნენ" და 7:0 დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთა რიგებში პირველად გაიტანა **გიორგი ონიანმა**. "სამგურალის" დარბევას სათავე სწორედ მან დაუდო. თავი კვლავ გამოიჩინა **გიორგი ფანცულაიამ**, რომელმაც ამჯერად ჰეთ-თრიქი შეასრულა. სულ კი ბოლო სამ სპარინგში 19 ილის შემტევმა მეტოქეთა კარი 7-ჯერ აიღო. ასევე აღსანიშნავია, საერთოდ, "ტორპედოს" შედეგიანი თამაში - ქუთაისელებმა 3 მატჩში 22 ბურთი გაიტანეს!

**ტორპედო-სამგურალი 7:0**

**გოლები: 1:0 გ. ონიანი (9), 2:0 საბანაძე (25), 3:0 კუხიანიძე (58. პენ.), 4:0 კვარაცხელია (65), 5:0, 6:0, 7:0 ფანცულაია (74, 80, 88).'**

**„ტორპედო": მიგინეიშვილი – რიგვავა, ცინცაძე (60. ტაბატაძე), გ. ონიანი, გ. გურული - დოლიძე (46. კუხიანიძე), ზ. ჭელიძე, ფირცხალავა, ე. გრიგალაშვილი (46. გიგაური) - საბანაძე (46. ვ. კვარაცხელია), ტულუში (46. ფანცულაია)**

მზადების პროცესში მიკროტრავმების გამო, ჯერ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობენ მეკარე **მაქსიმე ქვილითაია**, თავდამსხმელი **გიორგი ბერიაშვილი** და ნახევარმცველი **გიორგი დათუნაიშვილი**. "ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ამ უკანასკნელმა ბურთთან ვარჯიშიც დაიწყო და სათამაშო კონდიციებს იბრუნებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● კოლხეთი

# გამარჯვება სამტრედიულ სპარინგში


ზამირ ჯანაშია

ფოთის "კოლხეთმა" პირველი ლიგის ბინადარ "სამტრედიასთან" გასვლითი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და 2:1 გაიმარჯვა. "კოლხეთი" შეხვედრის მე-4 წუთზე **შალვა კვანტალიანმა** დააწინაურა, 22-ე ზე **გედენიძემ** ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვების გოლი კი 29-ე წუთზე **ზამირ ჯანაშიამ** გაიტანა.

"კოლხეთმა" ამ სასტარტო შემადგენლობით ითამაშა: **ბუბუტეიშვილი, გ. კილასონია, ფარულავა, კრასოვსკი, კაკულია, ნაზრია, ქორჩილავა, ჯანაშია, გოგონაია, მოსიაშვილი, კვანტალიანი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ლორია, ბარამიძე, ხოშტარია, ჩადუნელი.**

ფოთელთა მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფილიამ** ბოლო დღეებში არაერთი ფეხბურთელი გასინჯა, მაგრამ გუნდში მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაიტოვა. როგორც იცით, "კოლხეთს" უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს და სეზონის მეორე ნახევარი გუნდს მხოლოდ მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად თუ გამოადგება.

31 იანვარს ფოთის "კოლხეთი" ხობში ადგილობრივ "კოლხეთს" გაეჯიბრება, ხოლო 3 თებერვალს სამტრედიაში მარტვილის "მერანს" შეხვდება. 6-დან 18 თებერვლამდე ფოთელები ურეკში გაივლიან შეკრებას და საკონტროლო მატჩებს იქაც გამართავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!**

DINAMO TBILISI 1925

**დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.**

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

**დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი**

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge
ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.
დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2
რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.
მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ფუტსალი

# რატომ დაიძაბა ვითარება მალტაზე?

## საქართველო მოლდოვას აზერბაიჯანმა გაარიდა

საქართველოს ნაკრები ელიტრაუნდში გავიდა. მალტაში გადამხდარ პერიპეტიებზე უკვე საკმაოდ დავწერეთ და საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარი მწვრთნელთან, **ავთანდილ ასათიანთან** ინტერვიუც შემოგთავაზეთ.

ამდენად, გუშინ გამართული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრესკონკონფერენციის დეტალების ნაცვლად (რაც "ლელოს" მკითხველისთვის უკვე ცნობილია), მხოლოდ რამდენიმე სიახლეზე მოგახსენებთ.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას ელიტრაუნდამდე მაქსიმალურად ბევრი ამხანაგური შეხვედრის გამართვა სურს. ჩვენი გუნდი აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირზე მიიწვიეს, მაგრამ ორგანიზატორებთან შეთანხმებით, საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ გამგზავრებაზე თავი შეიკავა და საბოლოოდ, აზერბაიჯანელების სურვილიც ასეთი აღმოჩნდა.



ავთანდილ ასათიანი

საქმე ისაა, რომ ტურნირში მოლდოვის ნაკრები ითამაშებს, რომელსაც საქართველოს ნაკრები მალტის შესარჩევ ციკლში დაუპირისპირდა. ავთანდილ ასათიანის თქმით, ამ ტურნირის განმავლობაში, ჩვენი ორივე ნაკრები ერთ სასტუმროში დაბინავდა და მოთამაშეთა შორის აშკარად დაძაბული ურთიერთობები იყო: ეს 2012 წელს თბილისში გამართული შესარჩევი ციკლის გამოძახილი გახლდათ. მაშინ მოლდოველებთან შეხვედრა ფრედ დასრულდა და გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა. არადა, ეს უეფას დებულების დარღვევა იყო. წესით, პირველ ადგილზე უკეთესი რეიტინგის მქონე მოლდოვა უნდა გასულიყო, მაგრამ დელეგატმა პენალტების სერია დანიშნა. ამას მოჰყვა შემდეგ უეფაში გარჩევები. საბოლოოდ, პირველობა მოლდოველებს დაუმტკიცეს.

მართალია, ჩხუბი და აყალმაყალი არ მომხდარა, მაგრამ მალტაში სასტუმროში და განსაკუთრებით, მოედანზე, დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ცალკე მოლდოველებს ჰქონდათ ბოღმა, ცალკე ქართველებს სურდათ რევანშის აღება და "კბილებს ილესდნენ". თუმცა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ახლა ნაკრების სამომავლო გეგმებზე ვთქვათ: 27-31 მარტს უეფა-ს ელიტ რაუნდს როტერდამი უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები მატჩებისთვის მზადებას მალე შეუდგება. ასათიანის თქმით, ხელს მოთამაშეთა კატასტროფული სიმწირე უშლის: "გაფართოებულ სიაში 30-ზე მეტი მოთამაშე ვერ შევკრიბე. საქართველოს უმაღლეს ლიგაში ხომ სულ 6 გუნდი გამოდის და მაქსიმუმ 70-მდე მოთამაშე გვყავს. სხვათა შორის, ალე ძაბირაძე ჩემი მეგობარია და მისი მალტაზე არწაყვანა სულაც არ ნიშნავს, რომ ერთმანეთში პრობლემები გვაქვს".

საქართველოს ეროვნული ნაკრები როტერდამში პირველ შეხვედრას 27 მარტს, მასპინძლების წინააღმდეგ გამართავს. ჰოლანდიის ფუტსალის ეროვნული ნაკრების მეკარე **პიტერ როზენბააკი** ყველაზე მეტად საქართველოსთან მატჩს უფრთხის. მისი თქმით, ძნელია ითამაშო იმ ნაკრების წინააღმდეგ, რომლის შესახებ ვიდეომასალა არ გაგაჩნია.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ელიტრაუნდში ჯგუფის მასპინძელი ჰოლანდია თებერვალში საკუთარ კედლებში ფინელებს ესპარინგება. ისიც გაირკვა, რომ 18 და 19 თებერვალს ჩეხეთი საკუთარ დარბაზში სერბეთს დაუპირისპირდება.

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს დაუდასტურა, რომ საქართველოში მატჩების პირდაპირი ტრანსლაციების განხორციელება შესაძლებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

● პირველი ლიგა

# ცხინვალის გუნდში ცხინვალელებიც გამოჩნდნენ



გიორგი კაბისოვი (მარცხნივ) და ხეთაგ ხადარცევი სპარტაკში სინჯებზე არიან

პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონის ლიდერი ცხინვალის „სპარტაკი" „ბენდელას თასზე" თამაშით ემზადება სეზონის განახლებისთვის, 2 თებერვლიდან კი ანთალიაში გაივლის შეკრებას. გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ჯერჯერობით თავს ართმევს დაკისრებულ ამოცანას.

„სპარტაკში" რემდენიმე ფეხბურთელია გასინჯვაზე, მათ შორის **გიორგი კაბისოვი** და **ხეთაგ ხადარცევი**, ორივე 1992 წელსაა დაბადებული და გუშინ „ბენდელას" თასზე საქართველოს უნივერსიტეტის გუნდთან ითამაშეს კიდეც.

აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ფეხბურთელი ცხინვალელია და რუსული პასპორტი აქვთ. „სპარტაკში" გვითხრეს, რომ კაბისოვი ვლადიკავკაზის '"ალანიას" დუბლებში გამოდიოდა, ხოლო ხადარცევი — ყაზანის „რუბინის" მეორე გუნდში.

**დავით თავართქილაძე**

● სამეგრელო



არმაზ ჯელაძე

# სიონი ანთალიაში მიემგზავრება

**სიონი–ჩიხურა 2:1**

**"სიონი": ვ. ლობჟანიძე - ფოფხაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, ელიავა – ნემსაძე, ჯოჯუა - ბიბილეიშვილი, ცხადაია, ლექვთაძე – მიკუჩაძე.**

**შეცვლაზე: მერლანი, უგრეხელიძე, ისიანი.**

ბოლნისის "სიონი" სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. **არმაზ ჯელაძის** გაწვრთნილებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა კვლავ "ბენდელას" სტადიონზე ჩაატარებს.

სანამ შეხვედრაზე მოგითხრობთ, გეტყვით, რომ გუნდის სამწვრთნელო შტაბში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ჯელაძეს დაეხმარებიან **გიორგი ლოლაძე** და **ჯონი ჯაგიდისი**, მეკარეებს კი კვლავ **დავით ასლანიძე** გაწვრთნის.

სამწუხაროდ, "ჩიხურას" შემადგენლობა ვერავინ გვითხრა. მხოლოდ ის შევიტყვთ, რომ "ჩიხურაში" გუნდის რამდენიმე ლიდერს არ უთამაშია, მათ შორის, **დავით ოდიკაძეს, რევაზ გოცირიძეს, დავით კირკიტაძესა** და **ბესიკ დეკანოიძეს**. ხელოვნურ საფარზე მოთამაშეთა დაშავების რისკი ჩვეულებრივზე დიდია. რადგან საჩხერელები დღეში ორჯერ ვარჯიშობენ, "ჩიხურას" მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფრუიძემ** ისინი მცირე ტრავმების გამო დაასვენა.

28-ე წუთზე ანგარიში "სიონის" თავდამსხმელმა **კოკა მიკუჩაძემ** გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში საჩხერელებმა წონასწორობა **ლევან ბაკურაძის** დარტყმის შემდეგ აღადგინეს. მაგრამ 70-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **ვილი ისიანმა** მეტოქის კარი მეორედ აილო და ბოლნისელებმა 2:1 გაიმარჯვეს.

"სიონის" პრესატაშის, **ლაშა მესხიას** თქმით, გუნდი მეორე შეკრებას 5 თებერვლიდან 18 თებერვლამდე ანთალიაში გაივლის. თურქეთში ბოლნისელებმა 4 ამხანაგური თამაში დაგეგმეს: მაკედონიურ "რაბოტნიჩკისთან", უკრაინის პრემიერლიგელ "ჰოვერლა-ზაკარპატიესთან", სომხურ "პიუნიკთან" და კიდევ ერთ მეტოქესთან, რომელიც მალე დაზუსტდება.

ცხადია, მიმდინარეობს გუნდის დაკომპლექტება. **არმაზ ჯელაძე** საკმაოდ ბევრ მოთამაშეს აკვირდება და ჯერ უცნობია, ანთალიაში ვინ გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ბავშვთა ფეხბურთი

# 35-ე სკოლას განახლებას უპირებენ



მალხაზ ბაბლიძე

35-ე საფეხბურთო სკოლაში ახალი დირექტორი დაინიშნა. **ზაზა ინწკირველი მალხაზ ბაბლიძემ** შეცვალა, რომელიც გამოცდილი მენეჯერია და კომპანია "მაგნატის" გენერალური დირექტორი გახლდათ. მაგრამ ბოლო წლებში, იძულებული გახდა, ესპანეთს გახიზნულიყო. პირენეებზე საფეხბურთო სამყაროსთან საქმიანი კავშირები სწორედ ამ დროს დაამყარა.

ახლახან საქართველოში დაბრუნებულ მალხაზ ბაბლიძეს 35-ე სკოლა ჩააბარეს და როგორც ამბობს, სერიოზული გეგმები აქვს.

*"35-ე სკოლა საქართველოში ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო. აქ ბევრი ცნობილი მოთამაშე გაზრდილა და ცხადია, დანიშვნა ჩემთვის დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს. სამწუხაროა, რომ სკოლიდან არჩილ არველაძე წავიდა, რომელმაც 35-ე სკოლის განვითარებისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა.*

*დაახლოებით, 10 დღის წინ დავინიშნე და სამუშაო გეგმა და პირველი მონახაზი შევადგინე. არ მინდა ხმამაღლა ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ სკოლას რებრედინგი ესაჭიროება. ჩვენ ვიცით სამწუხარო მაგალითები, როდესაც წამყვანი სკოლები ფინანსური პრობლემების გამო ინფრასტრუქტურას ველარ ანახლებენ და ბავშვების ნაკადიც მნიშვნელოვნად შეუმცირდათ.*

*ამ კუთხით, 35-ე სკოლაში აჩიკო არველაძემ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. "მარაკანაზე" საფარი დაგებულია. მაგრამ ინფრასტრუქტურა განახლებას ყოველწლიურად საჭიროებს. დანარჩენი მოედნები და მთლიანად, სკოლაში ბევრი რამ გასაკეთებელია. დღევანდელ მოთხოვნებს თვალი უნდა გავუსწოროთ, ფეხბურთი წინ მიდის და კარგი მოედნების, საშხაპეების, გასახდელებისა და მოკლედ, თანამედროვე პირობების გარეშე, შეუძლებელია სკოლამ პოზიცია შეინარჩუნოს და ლიდერებში დარჩეს.*

*ამიტომ, ამ საკითხების მოგვარებას დიდ ყურადღებას მივაქცევ. "მარაკანაზე" აუცილებლად გაკეთდება საშხაპეები, ტრიბუნების რაოდენობა 400-მდე გაიზრდება, აშენდება დაახლოებით 40 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო, რომ გუნდმა შეკრების გავლა სკოლაში მოახერხოს.*

*მოედნები ამორტიზებულია და მათ ნაცვლად, ახლების დაგებას ვაპირებთ. ესპანეთში არის ხელოვნური საფრის მწარმოებელი უდიდესი ქარხანა "ინსა ტურბო". ამ ქვეყანაში ცხოვრების დროს, ახლოს გავიცანი ქარხნის ხელმძღვანელობა, საქმიანი კავშირები დავამყარე და ხალისით კარგ ფასებში შევიძენთ. მოლაპარაკება დაწყებულია და იმედი მაქვს, რომ მალე 35-ე სკოლაში საუკეთესო ხარისხის მოედნები გვექნება.*

*თანამედროვე სკოლა წარმოუდგენელია სამედიცინო მომსახურების გარეშეც. აუცილებელია ბავშვების ჯანმრთელობაზე სისტემატური დაკვირვება, ვინ როგორ არის, თავს როგორ გრძნობს, რა პრობლემები აქვს და ა.შ. ამ მიზნით სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრს ჩამოვაყალიბებთ. გარკვეულ ცვლილებებს ვგეგმავთ მენეჯმენტშიც, გარემონტდება ინტერნატი, რაიონებიდან ჩამოსულმა ბავშვებმა ნორმალურ პირობებში რომ იცხოვრონ"* – ამბობს ბაბლიძე.

სამწუხაროდ, სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფმა 35-ე სკოლამ ბოლო წლებში პოზიციები დაკარგა. კერძო საფეხბურთო კლუბები უფრო მოქნილად და ეფექტურად მუშაობენ და ბავშვებსაც მეტად იზიდავენ: *"მე რაც ვიცი, თავის დროზე, სკოლაში 900-მდე ბავშვი ვარჯიშობდა, ახლა – 300-მდეა. ცხადია, ამაზე გავლენა იმანაც მოახდინა, რომ გაიხსნა "ოლიმპი", "საბურთალო", "დინამოს" აკადემია, განახლდა "ვისოლი-ავაზა", "ლოკომოტივი" ბავშვებს საგურამოს კეთილმწყობილ ბაზაზე ავარჯიშებს. ამ ტენდენციებს გაანალიზება სჭირდება. მე ყველანაირად შევეცდები, რომ ესპანური კავშირები გამოვიყენო და არა მხოლოდ ინფრასტრუქტურაში არსებული პრობლემების, არამედ ლიგის სხვა მოვაგვარო, თუნდაც ეკიპირების, მწვრთნელთა განათლების და ბევრი სხვა საკითხი"* – ამბობს ბაბლიძე.



**მერაბ მამულაშვილი**

სკანდალი

# ფრანს ფუტბოლი: 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა ნაყიდია!

## მიშელ პლატინიმ და ნიკოლა სარკოზიმ არაბებს მასპინძლობის უფლება პსჟ-ს ყიდვაში გაუცვალეს!

## მარტო ზინედინ ზიდანმა ყატარის კანდიდატურის ლობირებისთვის 11 მილიონი ევრო მიიღო, მოსყიდული იყვნენ გვარდიოლა და კარამბეც!


საფრანგეთის ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი და მიშელ პლატინი სერიოზულ სკანდალში აღმოჩნდნენ გარეული

ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სპორტულმა გამოცემა „ფრანს ფუტბოლმა“ საზოგადოებას გუშინდელ ნომერში განსასჯელად წარუდგინა მთელი სერია დოკუმენტებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ყატარმა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა კორუფციული გარიგებებით მოიგო. გამოცემის მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ 2010 წლის 23 ნოემბერს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ორი კვირით ადრე, ელისეს სასახლეში საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ** საიდუმლო ვითარებაში უმასპინძლა ყატარის კრონპრინც **თამიმ ბენ ჰამად ალთანის**. შეხვედრას ესწრებოდნენ „პარი სენ-ჟერმენის“ მაშინდელი მესაკუთრე, ფრანგულ საფეხბურთო წრეებში დიდი გავლენის მქონე **სებასტიენ ბაზენი** და უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი**. სწორედ უკანასკნელებმა მისცეს შეიხს გარანტია, რომ საფრანგეთი არჩევნებზე ყატარს დაუჭერდა მხარს, სანაცვლოდ კი შეიხს პსჟ უნდა ეყიდა და მისი განვითარებისთვის დიდი ფული დაეხარჯა. არადა, არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ პლატინი ამერიკელთა კანდიდატურას ემხრობოდა, თუმცა „გეოპოლიტიკური მოსაზრებების“ გამო მან საბოლოოდ სხვაგვარად გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაში კონკურენტები იყვნენ ყატარი, აშშ, სამხრეთი კორეა, იაპონია და ავსტრალია.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციისა და უეფას მხარდაჭერის მიღების შემდეგ, ალ თანიმ იზრუნა აფრიკელთა ხმებზეც. მან აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის კონგრესის „ორგანიზებისთვის“ 1,25 მილიონი დოლარი გამოყო, ამას გარდა მილიონ-ნახევარი გადაურიცხა **ისა აიატუსა** (კონფედერაციის ხელმძღვანელი) და **ჟაკ ანუმას** (კოტ დივუარის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი). უკანასკნელებს ფიფას აღმასკომის აფრიკელი წევრების გადაბირება უნდა უზრუნველეყოთ. საინტერესოა, რომ აიატუსა და ანუმას წინააღმდეგ ეს პირველი ბრალდება არ არის. იმავეს ამტკიცებდა ინგლისის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **დევიდ ტრისმენი** ორი წლის წინაც. აზიელები სერიოზულ თანხებს ხარჯავდნენ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების მათ სასარგებლო კამპანიაში ჩასართავადაც. „ფრანს ფუტბოლის“ ცნობით, სწორედ ყატარელთა ფინანსური „ინიექციების“ წყალობა იყო, რომ **ზინედინ ზიდანი, პეპ გვარდიოლა** და **კრისტიან კარამბე** ყატარის კანდიდატურას ლობირებდნენ. აქედან, მარტო პირველმა შეიხებისგან 11 მილიონი ევრო მიიღო. ცხადია, გამოცემა მზადაა ყველა ეს დოკუმენტი ფიფას სპეციალურ საგამოძიებო კომისიას გადასცეს. „ფრანს ფუტბოლი“ მოუწოდებს ფიფას, რომ გადახედოს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატურას.

ქუინზ პარკი

# გეგმები, ტრანსფერები და სკანდალი

იანვრის პირველ რიცხვებში „ქუინზ პარკის“ მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** პირველად დაადასტურა მოარული ხმები, რომ „რეინჯერების“ ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა შორს არის იდეალურისგან. და აი, შაბათს „მილტონთან“ ასოციაციის თასზე სამარცხვინო წაგების (2:4) შემდეგ გასახდელში მოთამაშეებს შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა. ერთმანეთს ვეტერანები და ახალწვეულები დაუპირისპირდნენ, მხარეები ბრალდებებს ისროდნენ, ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ და რაც მთავარია, მუშტებზე იყურებოდნენ. რომ არა მწვრთნელების იქ ყოფნა, ჯგუფური ჩხუბი გარდაუვალი იყო. რითი დამთავრდებოდა ყველაფერი, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

## და ამ დროს...

ლონდონელებს მახაჩყალის „ანჟიდან“ 28 წლის **კრისტოფერ სამბას** შეძენა ან უარეს შემთხვევაში იჯარით გადაყვანა სურთ. რუსული პრემიერლიგის ყველაზე შეძლებულ წარმომადგენლამდე ხუთი წლის განმავლობაში კონგოელი „ბლექბერნში“ თამაშობდა. თავად რედნაპი გარიგებით დაინტერესებულია, მაგრამ ცოტა პესიმისტურად კი არის განწყობილი. აი, რას ამბობს ის: *„სამბას საკითხზე კლუბის პრეზიდენტი მუშაობს, თუმცა არ მგონია, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს. ნამდვილად მომწონს ეს მცველი, მაგრამ მიმაჩნია, რომ რუსეთს ის არ დატოვებს. ამ ეტაპზე ტრანსფერი არარეალურია“.* აფრიკელს ჩრდილოკავკასიელებთან ხელშეკრულება 2015 წელს უმთავრდება, ასე რომ, მახაჩყალელებმა წამყვან მცველთან განშორებაზე, წესით, არ უნდა იფიქრონ. „რეინჯერები“ სამბას გარდა კიდევ ერთ უკანახაზელს ეკურკურებიან. ლაპარაკია „პორტუს“ 27 წლის წევრ **როლანდოზე**. მან **ვიტორ ფერეირას** ნდობა დაკარგა და მიმდინარე სეზონში პრაქტიკულად არ უთამაშია. პორტუგალიელის ყიდვას იტალიური „ნაპოლიც“ გეგმავს, თუმცა ინგლისელებს იტალიელებზე უფრო სარფიანი წინადადება აქვთ გამზადებული.

Sky Sports-ის ინფორმაციით, შესაძლოა „ლოფტუს როუდზე“ გააგრძელოს კარიერა „ბეშიქთაშის“ 26 წლის პორტუგალიელმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **მანუელ ფერნანდეშმა**. ლონდონურმა კლუბმა სტამბოლელებს უკვე გაუგზავნა ოფიციალური წერილი და მოლაპარაკებების დაწყება სთხოვა. ფერნანდეში 2006 წლის იანვრიდან მაისამდე „ბენფიკადან“ რედნაპის „პორტსმუთში“ იყო იჯარით გაშვებული. იმავე წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია გაუწყოთ, რომ „რეინჯერების“ თავკაცს კიდევ ერთ ყოფილ შეგირდთან სურს თანამშრომლობა. ლაპარაკია „სტოკ სიტის“ 31 წლის ვარსკვლავ **პიტერ კრაუჩზე**. აღსანიშნავია, რომ ისინი 3-ჯერ მუშაობდნენ ერთსა და იმავე გუნდში: „საუთჰემპტონში“ (2004/2005 სეზონი), „პორტსმუთსა“ (2008/2009) და „ტოტენჰემში“ (2009/2011).



პიტერ კრაუჩი ჰარი რედნაპის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია

პრემიერლიგა. XXIV ტური

**ასტონ ვილა–ნიუკასლი 1:2**

**გოლები:** 0:1 სისე (19), 0:2 კაბაი (31), 1:2 ბენტეკე (49-პენ),

**ასტონ ვილა** (3-5-2): გუზანი – ბეიკერი, ვლაარი, კლარკი – ნზოგბია, ვესტვუდი, ბენანი, ჯ. ბენეტი (46. ვაიმანი), ლოუტონი – ბენტი (46. აგბონლაჰორი), ბენტეკე

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – დებუში, ს. ტეილორი, კოლოჩინი, სანტონი – კაბაი, სისოკო (79. იანგა-მბივა), პერჩი (69. შ. ამეობი), ხონასი – გუფრანი (74. ანიტა), სისე

**გაფრთხილება:** ნზოგბია, ბენტეკე, ბეიკერი, ლოუტონი, აგბონლაჰორი – ხონასი, შ. ამეობი

**კარში დარტყმა:** 9-6 (5-3) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 14-11 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 30 334

**ქუინზ პარკი–სიტი 0:0**

**ქუინზ პარკი** (4-2-3-1): ჟ. სეზარი – ტრაორე, ჰილი, ნელსენი, ონუოჰა – მბია (90+1. ფორლინი), დერი – ფაბიო, გრანერო (89. პარკი), ტაარაბტი – რემი (90+1. ზამორა)

**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, ხ. გარსია, ლესკოტი, კლიში – მილნერი (86. სინკლერი), ბერი – დ. სილვა, ნასრი (59. ჯეკო), ტევესი (73. როდუელი) - აგუერო

**გაფრთხილება:** მბია, გრანერო – ბერი, საბალეტა

**კარში დარტყმა:** 3-12 (1-5) **კუთხური:** 2-10 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 9-10 **ბურთის ფლობა:** 31%-69%

**მაყურებელი:** 17 894

**სტოკ სიტი–უიგანი 2:2**

**გოლები:** 1:0 შოუკროსი (23), 2:0 კრაუჩი (48), 2:1 მაკარტური (50), 2:2 დი სანტო (61)

**სტოკ სიტი** (3-5-2): ბეგოვიჩი - ჰუთი, კემერონი, შოუკროსი – ადამი (66. ჯერომი), ნზონზი (68. უილკინსონი), უელანი, ეთერინგტონი, უაიტჰედი – კრაუჩი (86. ჯონსი), უოლტერსი

**უიგანი** (3-5-2): ალ ჰაბსი – გოლობარტი, კოლდუელი, ფიგეროა – მაკარტური, მაკარტი, ესპინოსა, ბოისი (45. სტამი), ბოსეჟური (86. მაკმანამანი) – მელონი, დი სანტო

**გაფრთხილება:** უაიტჰედი - ესპინოსა

**კარში დარტყმა:** 8-10 (3-6) **კუთხური:** 0-1 **თამაშგარე:** 1-4 **ჯარიმა:** 13-10 **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 24 421

**სანდერლენდი–სუონსი 0:0**

**სანდერლენდი** (4-4-2): მინიოლე – კოლბეკი, ოში, ბრამბლი, გარდნერი – ვონი, ნდიაიე (67. მაკლინი), ლარსონი, ა. ჯონსონი (84. უიკჰემი) – სესინიონი, ს. ფლეტჩერი

**სუონსი** (4-4-1-1): ტრემელი – ტიენდალი, უილიამსი, ჩიკო, ს. დევისი – დე გუზმანი, ბრიტონი (75. გრემი), დაიერი, ერნანდესი (66. ლამა) – შეხტერი (60. კი) - მიჩუ

**გაფრთხილება:** მაკლინი – ტიენდალი, ბრიტონი

**კარში დარტყმა:** 2-9 (0-3) **კუთხური:** 3-4 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 13-12 **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 35 628

**30 იანვარი:**

| | |
|---|---|
| არსენალი-ლივერპული | 23:45 |
| ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 23:45 |
| ნორვიჩი-ტოტენჰემი | 23:45 |
| ფულჰემი-ვესტ ჰემი | 00:00 |
| იუნაიტედი-საუთჰემპტონი | 00:00 |
| რედინგი-ჩელსი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 23 | 18 | 2 | 3 | 57-30 | 56 |
| 2. სიტი | 24 | 15 | 7 | 2 | 45-19 | 52 |
| 3. ჩელსი | 23 | 13 | 6 | 4 | 47-22 | 45 |
| 4. ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 40-28 | 41 |
| 5. ევერტონი | 23 | 9 | 11 | 3 | 35-26 | 38 |
| 6. არსენალი | 23 | 10 | 7 | 6 | 46-27 | 37 |
| 7. ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 40-28 | 34 |
| 8. სუონსი | 24 | 8 | 10 | 6 | 34-27 | 34 |
| 9. ვესტ ბრომვ. | 23 | 10 | 4 | 9 | 33-32 | 34 |
| 10. სტოკ სიტი | 24 | 6 | 12 | 6 | 24-29 | 30 |
| 11. სანდერლენდი | 24 | 7 | 8 | 9 | 27-31 | 29 |
| 12. ვესტ ჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 26-33 | 27 |
| 13. ნორვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-39 | 26 |
| 14. ფულჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 33-40 | 25 |
| 15. ნიუკასლი | 24 | 6 | 6 | 12 | 30-42 | 24 |
| 16. საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 30-40 | 23 |
| 17. უიგანი | 24 | 5 | 5 | 14 | 27-45 | 20 |
| 18. ასტონ ვილა | 24 | 4 | 8 | 12 | 20-46 | 20 |
| 18. რედინგი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-43 | 19 |
| 20. ქუინზ პარკი | 24 | 2 | 10 | 12 | 18-37 | 16 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 16 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი)

ამბები

## კიდევ ერთი პრეტენდენტი

SKY SPORTS-ის ინფორმაციით, „ჩელსის“ წარმომადგენლები ამ დღეებში ბირმინგემში იყვნენ, რათა ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელობასთან **ჯეკ ბატლენდის** ტრანსფერთან დაკავშირებით წამოეწყოთ მოლაპარაკებები. 19 წლის ნიჭიერი მეკარის შეძენას ლამის ნახევარი პრემიერლიგა ლამობს. ინგლისური პრესა აქამდე „ლივერპულის“, „ევერტონისა“ და „საუთჰემპტონის“ ინტერესებზე წერდა. რამდენად წაადგება „სტემფორდ ბრიჯზე“ კარიერის გაგრძელება ბატლენდს? ეჭვი გვეპარება, რომ არა, რადგან „პენსიონერებს“ **პეტრ ჩეხისა** და **როს ტერნბულის** გარდა „ატლეტიკოში“ განათხოვრებული **ტიბო კურტუას** დაბრუნებაც შეუძლიათ.

## რუტლეჯის ახალი ხელშეკრულება

ინგლისის ასოციაციის თასის ფინალისტმა „სუონსიმ“ ბოლო ორი თვის განმავლობაში რამდენიმე წამყვან ფეხბურთელთან გააფორმა ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულება. უკანასკნელი მათ შორის **მიგელ მიჩუ** გახლდათ. და აი, „გედებმა“ 2016 წლამდე გაუხანგრძლივეს კონტრაქტი **უეინ რუტლეჯსაც**. 28 წლის ნახევარმცველი „ლიბერთი სტედიუმზე“ 2011 წლიდან თამაშობს და მას მერე ერთ-ერთი საუკეთესოა. მიმდინარე სეზონში უეინის ანგარიშზე 22 თამაშში 5 გოლი და 4 საგოლე გადაცემაა.

## ჰოლტი ნორვიჩიდან მიდის

„გარდიანის“ ცნობით, „ნორვიჩის“ 31 წლის ცენტრფორვარდმა **გრანტ ჰოლტმა** შესაძლოა კარიერა სხვა კლუბში განაგრძოს, თუკი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე **კრის ჰიუტონის** განკარგულებაში კიდევ ერთი თავდამსხმელი გამოჩნდება. „იადონებს“ შეტევის გაძლიერება აქვთ განზრახული და ამ მიზნით ორი კანდიდატურა ჰყავთ შეგულებული: ლისაბონის „სპორტინგიდან“ 24 წლის ჰოლანდიელი **რიკი ვან ვოლფსვინკელი** ან „სელტიკის“ 25 წლის ინგლისელი ლეგიონერი **გარი ჰუპერი**. თავის მხრივ მთხოვნელები არც ჰოლტს აკლია. მას „ასტონ ვილა“ და „სანდერლენდი“ იწვევენ.

## სტოკის ამერიკელი ახალწვეული

„მირორის“ ცნობით, ამერიკული MLS-ის კლუბ „დალასის“ 22 წლის ნახევარმცველი **ბრეკ ში** დღეს ინგლისში ჩავა, „სტოკ სიტის“ ბაზაზე სამედიცინო შემოწმებას გაივლის და მასთან 4,5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. გარიგება 2,5 მილიონ ფუნტად არის შეფასებული.

## ვილა ვაიმანს დარჩენას სთავაზობს

მიმდინარე სეზონში „ასტონ ვილას“ შემადგენლობაში თუკი ვინმეზე შეიძლება თქმა, რომ ნორმალურად გამოიყურება, პირველ რიგში თავდამსხმელები არიან. ლაპარაკია **კრისტიან ბენტეკესა** და **ანდრეას ვაიმანზე**. ბელგიელს ბირმინგემელებთან ხელშეკრულება 2016 წლამდე აკავშირებს, ავსტრიელს - 2014-მდე. სწორედ ამიტომ უკანასკნელს კლუბი ხელშეკრულების პირობების გაუმჯობესებასა და მის გახანგრძლივებას სთავაზობს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXII ტურის სტატისტიკური შეჯამება

# გომისი რეკორდს უახლოვდება



**22-ე ტურში, „ვალანსიენის" კარში გატანილი გოლის შემდეგ, „ლიონის" ფორვარდი ბაფეტიმბი გომისი, მოქმედ ფეხბურთელებს შორის, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდებას მიუახლოვდა...**

## მთავარი:

84 – „ლიონის" ფორვარდმა ლიგა 1-ში 84-ე გოლი შაბათს, „ვალანსიენთან" გაიტანა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ლიგა 1-ში თამაშობს და **გომისზე** მეტი გოლი აქვს გატანილი, **ლუდოვიკ ჟიული** გახლავთ, რომელიც „ლორიანის" ღირსებას იცავს. ჟიულის ანგარიშზე 85 გოლია, ასე რომ, გომისს საპატიო მიღწევამდე პრაქტიკულად არაფერი დარჩა. 27 წლის ფორვარდმა, ამ სეზონში უკვე 12 გოლი გაიტანა და ზედიზედ მეშვიდე სეზონში შეძლო 10 ან მეტი ბურთის გატანა. მისი პირადი რეკორდი 16 გოლია, რომელიც გომისმა „სენტ ეტიენის" მაისურით, 2007/08 წლების სეზონში დაამყარა.

## გუნდური მიღწევები:

1 – „ნანსიმ" 20-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და სასტარტო ტურის შემდეგ, პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონატის აუტსაიდერმა, საკუთარ მოედანზე „ლორიანს" 2:1 მოუგო, მაგრამ ბოლო ადგილს მაინც ვერ გასცდა.

3 – მესამე გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატში „ტრუამ", რომელმაც შინ „ბრესტს" მოუგო. წინა ორი შემთხვევის მსგავსად, „ტრუამ" ამჯერადაც საკუთარ მოედანზე იმარჯვა, თანაც კვლავ ერთბურთიანი უპირატესობით (2:1). ალსანიშნავია, რომ ბოლო 5 შეხვედრაში გუნდმა 7 ქულა დააგროვა და უკანასკნელი ხუთი ტურის მიხედვით შედგენილ ვირტუალურ ცხრილში მე-11 ადგილზეა, თუმცა რეალურად **ჟან ფურლანის** გუნდი მე-19 ადგილზეა და მე-17 პოზიციაზე მყოფ „ევიანს" 5 ქულით ჩამორჩება.

8 – „მონპელიემ" ამ ტურში „სოშოს" მოუგო და მასთან დაუმარცხებელი სერია 8 შეხვედრამდე გაზარდა. ამ 8 მატჩიდან „მონპელიემ" 7 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა, ბოლო ოთხი დაპირისპირებიდან კი ოთხივეში იმარჯვა.

## ინდივიდუალური მიღწევები:

3 – **ჯორდან აიუმ** ზედიზედ მესამე შეხვედრაში გაიტანა. მიმდინარე ჩემპიონატში, განელის ანგარიშზე 7 გოლია, არადა წინა სამი სეზონის განმავლობაში, უმცროსმა აიუმ ჯამში სულ 6 გოლი გაიტანა.

83% - **ანრი საივემ** სეზონში მე-6 გოლი გაიტანა და „ბორდოს" „ნიცასთან" გამარჯვება მოუტანა. ამ 6 გოლიდან ხუთი, ანუ გატანილი გოლების 83 პროცენტი, საივემ სტუმრად გაიტანა. „ბორდოდან" 8 გოლის გამტანი **იოან გუფრანის** (ნიუკასლში) წასვლის შემდეგ, საივე კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

3 – **სებასტიან პუიგრენიემ** „ნანსი"-"ლორიანის" შეხვედრაში, რომელიც მისმა გუნდმა 2:1 მოიგო, ამ სეზონში თავისი მესამე გოლი გაიტანა. 31 წლის ცენტრალურ მცველს კარიერაში 18 გოლი დაუგროვდა და ის ამ შედეგით, მოქმედ მცველებს შორის პირველ ადგილზეა. 17-17 გოლი **რენატო სივერის** (ნიცა) და **სილვენ არმანს** (პსჟ) აქვთ გატანილი.

● სავარაუდო ტრანსფერი

# ბასტოსი და ბრიანი მიდიან

„ლიონს" ორი შემტევი ფეხბურთელი ტოვებს. **მიშელ ბასტოსი** „შალკეში" გადადის, **ჯიმი ბრიანი** კი ლიგა 2-ის ლიდერ „მონაკოს" შეუერთდება.

„ლიონის" პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** იმედოვნებს, რომ ბასტოსს 7-8 მილიონად გაყიდის, თუმცა არც იჯარაზე იტყვის უარს. საუბარია 1,5-წლიან იჯარაზე, რომლის საფასურიც 2 მილიონი ევრო იქნება. 29 წლის ფეხბურთელმა, ამ პერიოდში ხელფასის სახით 15 მილიონი ევრო უნდა აილოს, ასე რომ, „ლიონი" იჯარის შემთხვევაშიც, საკმაოდ დიდ თანხას დაზოგავს. წელს ბასტოსმა, რომელსაც სეზონის სტარტი ტრავმის გამო გაუცდა, ჩემპიონატში 12 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა.

„ოლიმპიკს" ტოვებს ჯიმი ბრიანიც, რომელიც „მონაკოში" გადადის. საუბარი აქაც იჯარაზეა, ოღონდ მხოლოდ 6-თვიანზე, რის შემდეგაც „მონაკო" 27 წლის ფორვარდს გამოისყიდის. „რენის" ყოფილი ფეხბურთელი ამ სეზონში ვერ ბრწყინავს: ბრიანმა სულ 10 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ 1 გოლი გაიტანა.



მიშელ ბასტოსს (მარცხნივ) და ჯიმი ბრიანს „ლიონის" მაისურით ველარ ვიხილავთ

P.S გუშინ, საბოლოოდ გაირკვა, რომ მიშელ ბასტოსი 2014 წლამდე „შალკეში" იჯარის წესით ითამაშებს.

● ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები.

**სან პაულოს შტატის ჩემპიონატი. III ტური.**

## პალმეირასის სენსაციური მარცხი

**სან პაულო-ატლ. სოროკაბა 2:1**

**გოლები:** 1:0 განსო (31), 2:0 კანიეტე (77), 2:1 ფაბიო სანჩესი (84).

**მირასოლი-კორინთიანსი 0:1**

**გოლი:** 0:1 რომარინიო (7).

**პალმეირასი-პენაპოლენსე 2:3**

**გოლები:** 1:0 აირტონი (8), 1:1 გუარუ (10), 1:2 მაგრაო (15), 1:3 პერესი (75), 2:3 ლუანი (90).

**გაძევება:** ჟაილტონი (51. პენაპოლენსე)

**ბრაგანტინო-სანტოსი 2:2**

**გოლები:** 1:0 რაფაელ ანდრადე (27), 1:1 სისერო (51), 2:1 დიეგო მასედო (65), 2:2 ნეიმარი (90-პენ).

| | |
|---|---|
| **გუარანი-პონტე პრეტა** | 1:3 |
| **ლინენსე-იტუანო** | 0:0 |
| **ოესტე-სან კაეტანო** | 1:1 |
| **ბოტაფოგო სპ-სან ბერნადრო** | 2:0 |
| **პაულისტა-უნიაო ბარბარენსე** | 1:0 |
| **მოჟი მირიმი-XV დე პირასიკაბა** | 4:2 |

სატურნირო მდგომარეობა: 1. სანტოსი (7 ქულა), 2. მოჟი მირიმი (7), 3. პონტე პრეტა (7)

**ბომბარდირები:** 4 – ნეიმარი (სანტოსი); 3 – გუარუ (პენაპოლენსე).

სან პაულოს შტატის ჩემპიონატში უკვე სამი ტური გაიმართა. პირველობას "სანტოსი" ლიდერობს, რომელმაც მესამე ტურში "ბრაგანტინოსთან" ქულები დაკარგა. სტუმრები **ნეიმარმა** იხსნა, ვინც ბოლო წუთზე ანგარიში პენალტით გაათანაბრა. პოტენციური ლიდერი კი "სან პაულოა", რომელსაც ერთი თამაში თადარიგში აქვს. ამ ტურში, **ნეი ფრანკოს** შეგირდებმა "ატლეტიკო სოროკაბას" მოუგეს. ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა **პაულო ენრიკე განსომ**. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში გატანილი ბურთი **მარსელო კანიეტესთვისაც** პირველი იყო "სან პაულოს" მაისურით, არადა არგენტინელი ამ გუნდში უკვე სამი წელია ირიცხება.

სენსაცია დაფიქსირდა "პაკაემბუზე", სადაც "პალმეირასმა" "პენაპოლენსესთან" წააგო, არადა მასპინძლები მოედანზე ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ, სტუმრები კი 51-ე წუთზე კაცნაკლულნი დარჩნენ.

პირველი გამარჯვება მოიპოვა "კორინთიანსმა", რომელმაც **რომარინიოს** ერთადერთი გოლის წყალობით "მირასოლს" მოუგო. ეს გუნდი უქულოდ კი არის, მაგრამ გასულ ტურებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი. ტაკა გუანაბარა. III ტური.**

## დერბი ფრედ დასრულდა

| | |
|---|---|
| **ფრიბურგენსე-აუდაქს რიო** | 2:3 |
| **ნოვა იგიასუ-დუკე დე კაშიასი** | 3:0 |
| **მაკაე-კისამა** | 2:0 |
| **ოლარია-ბანგუ** | 0:2 |
| **გოავიშტა-მადურეირა** | 0:1 |
| **რესენდე-ვასკო** | 2:4 |

**გოლები:** 0:1 ბერნარდო (10), 0:2 დედე (39), 1:2 დუდუ (45), 1:3 ბერნარდო (48), 2:3 მარსელი (53), 2:4 ლეონარდო (81).

**ფლამენგო-ვოლტა რედონდა 1:0**

**გოლი:** 1:0 ერნანი (90).

**ბოტაფოგო-ფლუმინენსე 1:1**

**გოლები:** 0:1 ველინგტონ ნემი (42), 1:1 ბოლივარი (73).

**სატურნირო მდგომარეობა**

**A ჯგუფი: 1. ვასკო (9 ქულა), 2. ფრიბურგენსე (6), 3. ბოტაფოგო (5)**

**B ჯგუფი: 1. ფლუმინენსე (7 ქულა), 2. ფლამენგო (7), 3. აუდაქს რიო (7)**

**ბომბარდირები:** 4 – ბერნარდო (ვასკო დ აგამა); 3 – ერნანი (ფლამენგო).

"ტაკა გუანაბარა" სულ 8 ტურისგან შედგება, რადგან ერთი ჯგუფის გუნდები, მეორე ჯგუფის კლუბებს ხვდებიან. შესაბამისად, ამ სპრინტში, დაუგეგმავი ქულების დაკარგვა შესაძლოა დამღუპველი იყოს – პლეი ოფში ხომ ჯგუფის ორი გამარჯვებული გადის. კინაღამ შერცხვა "ფლამენგო", რომელმაც "ვოლტა რედონდას" 93-ე წუთზე გაუტანა და 1:0 მოიგო. სტუმრებს საპატიო ქულამდე ძალიან ცოტა დააკლდათ. "ვასკომ" იოლი გამარჯვება მოიპოვა, ახალგაზრდა ნახევარმცველი **ბერნარდო** კი ბომბარდირთა დავაში გალიდერდა.

ცენტრალური მატჩი "ენჟენაოზე" გაიმართა, სადაც "ბოტაფოგომ" "ფლუმინენსეს" უმასპინძლა. ამ გუნდების 283-ე შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბოტაფოგო" "ფლუმინენსეს" უკვე 8 მატჩია ვერ ამარცხებს (ყველა ტურნირზე).

● აფრიკის თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. III ტური

# ჩემპიონი გავარდა

**C ჯგუფი**

**ბურკინა ფასო-ზამბია 0:0**

**ეთიოპია-ნიგერია 0:1**

**გოლები:** 0:1 მოზესი (80-პენ), 0:2 მოზესი (90-პენ).

**გაძევება:** სისაი ბანჩა (85. ეთიოპია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურკინა ფასო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| 2. ნიგერია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. ზამბია | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 4. ეთიოპია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 3 – ა. ტრაორე (ბურკინა ფასო); 2 – ემენიკე (ნიგერია), ჟერვინიო (კოტ დივუარი), სანგვენი (სამხრეთ აფრიკა), იაია ტურე (კოტ დივუარი), მბოკანი (კონგოს დრ), მოზესი (ნიგერია).

**B ჯგუფი**

**ნიგერი-განა 0:3**

**გოლები:** 0:1 ასამოა გიანი (6), 0:2 ატსუ (23), 0:3 ბოიე (49).

**კონგოს დრ-მალი 1:1**

**გოლები:** 1:0 მბოკანი (3-პენ), 1:1 სამასა (14).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. განა | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. მალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 3. კონგოს დრ | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 4. ნიგერი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

**ბომბარდირები:** 3 – ა. ტრაორე (ბურკინა ფასო); 2 – ემენიკე (ნიგერია), ჟერვინიო (კოტ დივუარი), სანგვენი (სამხრეთ აფრიკა), იაია ტურე (კოტ დივუარი), მბოკანი (კონგოს დრ).

მესამე ტურის წინ C ჯგუფში გარკვეული არაფერი იყო, რადგან მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ოთხივე გუნდს ჰქონდა. ძალიან გაუჭირდა ნიგერიის ნაკრებს, რომელიც ეთიოპიასთან გამოკვეთილ ფავორიტად ითვლებოდა. იმის გამო, რომ პარალელურ შეხვედრაში ანგარიში 0:0 იყო, ანალოგიური შედეგი ნიგერიას ჯგუფში ტოვებდა. ფავორიტებმა ეთიოპიას მე-80 წუთამდე ვერაფერი მოუხერხეს, ამ დროს კი საქმეს ხელი **ვიქტორ მოზესმა** მოჰკიდა, რომელმაც 10-წუთიან მონაკვეთში ორი პენალტი დაიმსახურა და ორივე თავად გაიტანა.

პირველ შემთხვევაში მოზესი მცველმა მოცელა, მეორე ეპიზოდში კი ის ეთიოპიელთა კიპერმა, **სისაი ბანჩამ** წააქცია, რომელმაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. იმის გამო, რომ ეთიოპიელებს ყველა ცვლილება განხორციელებული ჰქონდათ, კარში მცველი **ადის ჰინტსა ტეკლე** ჩადგა, ვინც დარტყმის კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ბურთი ვერ მოიგერია.

საინტერესოა, რომ ეთიოპიელებს მეკარე პირველ ტურშიც გაუძევეს – მაშინ, **ჯემალ ტასევმა**, ჩვენთვის კარგად ნაცნობი **ჩისამბა ლუნგუ** "კუნგ-ფუს" ილეთით შეაჩერა. ამ ეპიზოდმა ბევრს **შუმახერი-ბატისტონის** ცნობილი შეჯახება გაახსენა. საბოლოოდ, ნიგერიამ 2:0 მოიგო და 1/4 ფინალში გავიდა.

ტურნირი კი მოქმედი ჩემპიონის, ზამბიის ნაკრების გარეშე დარჩა, რომელმაც ბურკინა ფასოს ვერ მოუგო და 3 ფრით ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. ვიქტორ მოზესის გოლამდე, 1/4 ფინალში ბურკინა ფასო და ზამბია გადიოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც "ჩელსის" ფეხბურთელმა ანგარიში გახსნა, ზამბიის მდგომარეობა დამძიმდა. შეხვედრის ბოლო წუთები ძალიან დაძაბული იყო, რადგან გოლის გაშვების შემთხვევაში ტურნირს უკვე ბურკინა ფასოს ნაკრები გამოეთიშებოდა. საბოლოოდ, **პიტროიპამ** და კომპანიამ კარი მშრალად შეინახეს და საკუთარ ოთხეულში პირველი ადგილი დაიკავეს.

თუ სასწაული არ მოხდა, ნიგერია მეოთხედფინალში კოტ დივუარს შეხვდება და ამ წყვილში აშკარა აუტსაიდერი იქნება, ხოლო ბურკინა ფასო ან ტოგოს შეხვდება, ან ტუნისს.

## ფავორიტები მომდევნო ეტაპზე

B ჯგუფიდან მომდევნო ეტაპზე ორი ფავორიტი გავიდა. განის ნაკრებმა ნიგერს ძალიან იოლად მოუგო, მალის კი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან გაუჭირდა და გულშემატკივარიც ანერვიულა.

განელებმა თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს. შეხვედრის მე-6 წუთზე ანგარიში **ასამოა გიანმა** გახსნა, 23-ეზე კი მეორე გოლი „პორტუს" ახალგაზრდა ფეხბურთელმა **კრისტიან ატსუმ** გაიტანა. მეორე ტაიმის დებიუტში თავი „რენელმა" **ჯონ ბოიემაც** გამოიჩინა და შეხვედრას წერტილი დაუსვა. საბოლოოდ, 3:0 და განა ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა. მეოთხედფინალში განა კაბო ვერდეს ნაკრებს შეხვდება.

მეორე საგზური კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის და მალის შეხვედრაში თამაშდებოდა. ყოფილ ზაირს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და ანგარიშიც კონგოელებმა გახსნეს – შეხვედრის მესამე წუთზე, **დიუმერსი მბოკანიმ** პენალტი გამოიყენა და მათ კოლორიტულ მეკარე **მუტება კიდიაბას** ზეიმის საბაბი მისცა, თუმცა კონგოელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა – მბოკანის გოლიდან 11 წუთში, ანგარიში **მამადუ სამასამ** გაათანაბრა. სხვათა შორის, „მარსელის" და „ვალანსიენის" ყოფილმა ფორვარდმა, ნაკრებში მხოლოდ მესამე გოლი გაიტანა და შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანიც.

მეორე ტაიმში კონგო უტევდა, მაგრამ მომენტები მალის ნაკრებს ექმნებოდა. გოლის გატანა **სეიდუ კეიტას, სიგიმარი დიარას** და **შეიკ დიაბეტეს** შეეძლოთ, მაგრამ მალელებმა ვერც ერთი კონტრშეტევა გოლით ვერ დააგვირგვინეს.

ამ ფრის წყალობით მალი ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და ახლა, მეოთხედფინალში, ტურნირის მასპინძელს, სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შეხვდება.

**ტატო ბაციკაძე**

● ამბები

## ფერი ევერტონში

„ტვენტეს" 23 წლის ნახევარმცველი, **ლეროი ფერი** „ევერტონში" გადადის. მერსისაიდული კლუბის საიტის ცნობით, ენსხედელებთან ყველაფერი შეთანხმებულია და „ფეიენოორდის" ყოფილი მოთამაშე, სამედიცინო ტესტის გავლის შემდეგ, ახალ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს.

ლეროი ფერი „ფეიენოორდის" აღზრდილია და პროფესიონალური კარიერაც ამ კლუბში დაიწყო, საიდანაც 2011 წელს „ტვენტეში" გადავიდა და ერედივიზიეში 30 მატჩში 11 გოლიც გაიტანა. ამ სეზონში ნახევარმცველის ანგარიშზე 12 მატჩი და 3 გოლია.

## სამპდორია არგენტინელით გაძლიერდა

გენუის „სამპდორიამ" მარჯვენა მცველის პოზიცია **მატიას როდრიგესით** გააძლიერა. 26 წლის არგენტინელმა, რომელიც ფეხბურთელად „ბოკა ხუნიორსის" აკადემიაში ჩამოყალიბდა, ბოლო 3 წელი „უნივერსიდად კათოლიკაში" გაატარა. გენუელებმა ჩილეს ერთ-ერთ გრანდს 3.1 მილიონი ევრო გადაუხადეს.

მატიას როდრიგესისთვის 2012 წელი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა – მარჯვენა მცველი სამხრეთ ამერიკის წლის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, **ალეხანდრო საბელიამ** კი არგენტინის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა, თუმცა ეკვადორთან შეხვედრაში როდრიგესს არ უთამაშია.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრანსფერი

# ბალოტელი მილანელია

## 20 მილიონი და 5-წლიანი კონტრაქტი



მარიო ბალოტელი „მილანში“ ითამაშებს

გუშინ, „გაძეტა დელო სპორტმა“ მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა - ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ **მარიო ბალოტელი** კარიერას „მილანში“ გააგრძელებს. ითქვა ისიც, რომ 22 წლის ფორვარდის სანაცვლოდ ლომბარდიელები 20 მილიონ ევროს გადაიხდიან. „გაძეტა“ იმასაც გვამცნობს, რომ მარიო ახალ კლუბთან 5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, მისი წლიური გასამრჯელო კი 4 მილიონი ევრო იქნება.

იტალიელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ ბალოტელი უკვე დაემშვიდობა „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელებს, კლუბის მწვრთნელ-მესვეურებს და მალე იტალიაში ჩაფრინდება. აღნიშნულ ინფორმაციას „მილანის“ მესვეურები ჯერჯერობით არ ადასტურებენ, მაგრამ არც ეს დრო უნდა იყოს შორს.

● მილანი




სტეფან ელ შაარავი

ბოლო დღეებში, აქტიურად ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ **სტეფან ელ შაარავის** გადაბირებით „მანჩესტერ სიტის“ მესვეურები არიან დაინტერესებულნი. როგორც ჩანს, „მილანის“ ხელმძღვანელებზე ამან გარკვეული გავლენა მოახდინა, რადგან გუშინ, 20 წლის ფორვარდს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს. დიახ, სრულიად მოულოდნელად, „პატარა ფარაონმა“ ახალი ხელშეკრულება მიიღო, რომელიც 2018 წლამდეა გათვლილი. არადა, ელ შაარავიმ „მილანთან“ კონტრაქტი ზაფხულში გაახანგრძლივა და ლომბარდიულ გრანდს ბედი 2017 წლამდე დაუკავშირა. ანუ, კონტრაქტი მხოლოდ ერთი წლით გახანგრძლივდება, საგულისხმო კი ისაა, რომ ელ შაარავი უფრო მეტს მიიღებს ხელფასის სახით, ვიდრე მოქმედი კონტრაქტით ეკუთვნის. როგორც „კორიერე დელო სპორტი“ აცხადებს, სტეფანი კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს.

აქვე ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, ელ შაარავი სეზონში 800 000 ევროს იღებდა, რაც თანამედროვე ფეხბურთში არცთუ დიდი თანხაა. ევროპული ფეხბურთის გრანდები თავიანთ ვარსკვლავებს სეზონურად რამდენიმე მილიონსაც ხშირად უხდიან და როგორც ჩანს, მილანელებიც ამან აანერვიულა. წარმოიდგინეთ, „მანჩესტერ სიტის“ მესვეურებმა სტეფანს წელიწადში 6 მილიონი რომ შესთავაზონ, რაც მის დღევანდელ ხელფასზე 6-ჯერ მეტია.. მოკლედ, ლომბარდიელებმა მყისვე გაამზადეს ახალი კონტრაქტი, მაგრამ რამდენით მოემატება ელ შაარავის ხელფასი, ჯერჯერობით უცნობია.

### ოპტიმისტი მონტოლივო

ამასობაში, პრესასთან გასაუბრება **რიკარდო მონტოლივომ** განიზრახა და მეტად ოპტიმისტური კომენტარი გააკეთა: *„როდესაც „მილანში“ გადმოვბარგდი, ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. გუნდი კრიზისში იყო და ეს სატურნირო ცხრილზეც შესაბამისად აისახებოდა. საბედნიეროდ, ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვეთ და აშკარად ვგრძნობ, რომ აღმავლობის გზას დავადექით. უკვე გუნდი ვართ, რომელიც იოლად არავის არაფერს უთმობს. შედეგებიც გამოსწორდა და სატურნირო ცხრილშიც წინ წავიწიეთ. ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრაა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც მოხდება“.*

● რომა

# ზემანს ბლანი შეცვლის?

## ბალცარეტის დიაგნოზი დაუსვეს

გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ **ზდენეკ ზემანის** პოზიციები შერყეულია და დიდია შანსი, უახლოეს მომავალში პოსტის დატოვებამ მოუწიოს. ითქვა იმაზეც, რომ ჩეხ სპეციალისტს ბოლო შანსი მისცეს და თუ „რომა“ სერია A-ს მომდევნო ტურში „კალიარის“ ვერ დაამარცხებს, ზდენეკს კარისკენ მიუთითებენ. თავად ჩეხი სპეციალისტი თავს მშვიდად გრძნობს და შემდეგს აცხადებს:

*„ჩემს შესაძლო გათავისუფლებაზე ნამდვილად არ ვნერვიულობ, რადგან კლუბის მესვეურებისგან ნდობას ვგრძნობ. თანაც, მე ჩემი საქმე მაქვს და სხვა რამეებზე ფიქრისთვის არ მცხელა. „ბოლონიასთან“ ბევრი შეცდომა დავუშვით და ეს ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ დროს უკან ველარ დავაბრუნებთ. ბევრმა უკვე ჩამოგვწერა, რასაც ვერაფრით დავეთანხმები. სეზონის სტარტიდან მოყოლებული, ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრა იყო და ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა. გასულ უქმეებზე, მესამეადგილოსან „ლაციოს“ ერთი ქულით მივუახლოვდით და ამ კუთხით, ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, არ ვმალავ, რომ ბევრი შეცდომა გვქონდა და ამ შეცდომებზე მუშაობა გვმართებს“.*

### ზემანის მემკვიდრე

მიუხედავად იმისა, რომ ზდენეკ ზემანი ოპტიმისტურადაა განწყობილი, ჟურნალისტთა დიდი ნაწილი მის ბედს უკვე გადაწყვეტილად მიიჩნევს. სახელდება ზდენეკის შესაძლო შემცვლელების გვარები, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური **ლორან ბლანია.**

47 წლის ფრანგი სპეციალისტი ევროპის ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში, ევროფორუმის შემდეგ კი თავისუფალია. „კორიერე დელო სპორტის“ მტკიცებით, „რომას“ სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** უკვე შეეხმიანა ბლანს და მასთან საქმიანი შეხვედრა დაგეგმა. ეს ინფორმაცია „რომას“ მესვეურებს არ დაუდასტურებიათ, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ფაქტია.

### ბალცარეტი ლაზარეთში

„ბოლონიასთან“ მატჩში, „რომას“ მარცხენა მცველი **ფედერიკო ბალცარეტი** დაუშავდა, რომელსაც მინიმუმ 2-კვირიანი უქმობა მოუწევს. 31 წლის უკანახაზელს მყესი აქვს დაშავებული და ბეწვზეა გადარჩენილი, რაზეც თავად გააკეთა განცხადება:

*„მყესი რომ გამეწყვიტა, ნახევარი სეზონი ლაზარეთში მომიწევდა ყოფნა და რადგან ამას გადავრჩი, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. როგორც ექიმებმა მითხრეს, 2-3 კვირა უქმობა მომიწევს - არასასიამოვნო ამბავია, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, უარესიც შეიძლებოდა მომხდარიყო“.*



ლორან ბლანი

● ინტერი

# პოულინიო, კოუტინიო და ტრავმები



მასიმო მორატი სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია

**„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი იტალიურ სპორტულ პრესას გაესაუბრა და საინტერესო კომენტარები გააკეთა. სენიორ მასიმო მხოლოდ სატრანსფერო საკითხებს შეეხო და უმჯობესია, სიტყვა პირდაპირ მას გადავცეთ...**

### პოულინიო

ვადასტურებ, რომ პოულინიოს ტრანსფერზე აქტიურად ვმუშაობთ და შესაძლოა, შეთანხმება უახლოეს საათებში შედგეს. მარკო ბრანკა ამჟამად ბრაზილიაშია და მისგან უახლოეს ცნობებს ველოდები. „კორინთიანსი“ მზადაა შეელიოს ფეხბურთელს, დანარჩენი კი მოლაპარაკების საგანია. ბრაზილიელი ნახევარმცველი 24 წლისაა და მისი გადაბირებით, გუნდს კიდევ უფრო გავაახალგაზრდავებთ.

### კოუტინიო

„ლივერპულთან“ ყველა დეტალი შევათანხმეთ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ფელიპე კოუტინიო კარიერას ინგლისში გააგრძელებს. ეს ყველასთვის კარგი იქნება, რადგან ფელიპეს უჭირს კონკურენციის გაძლება. პრემიერლიგაში მას აუცილებლად მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

### ტრავმები

„ტორინოსთან“ შეხვედრაში „ინტერს“ ორი ფეხბურთელი დაუშავდა: **კრისტიან კივუ** და **გაბი მუდინგაი**. რუმინელი იოლად გადარჩა, აი ბელგიელმა კი მძიმე ტრავმა მიიღო. ექიმების დიაგნოზით, 31 წლის მუდინგაის მინიმუმ სამი თვე მოუწევს უქმობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დარჩენილი სეზონის დიდ ნაწილს გამოტოვებს. რაც შეეხება კივუს, ის რამდენიმე დღეში დაუბრუნდება აქტიურ სპორტს.

**P.S**

*გუშინ, გვიან ღამით **მასიმო მორატიმ** კიდევ ერთი განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვითაც, „ინტერი“ პოულინიოს ალბათ უფრო ზაფხულში დაიმატებს და არა ამ ზამთარს.*

● ამბები

### პალერმო პორტუგალიელით გაძლიერდა

გასულ კვირაში, „პალერმომ“ „კიევოდან“ 33 წლის კიპერი **სტეფანო სორენტინო** გადაიბირა, რომელმაც უკვე გამართა სადებიუტო მატჩი სიცილიელთა შემადგენლობაში. სამაგიეროდ, „კიევოში“ „პალერმოს“ უკვე ექსკიპერი **სამირ უიკანი** გადაბარგდა, მხოლოდ იჯარის წესით. ითქვა ისიც, რომ ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, ვერონელებს 24 წლის მეკარის გამოსყიდვის უფლება ექნებათ, სატრანსფერო ფასი კი სეზონის ბოლომდე გაცხადდება.

„პალერმოს“ კიდევ ერთი ფეხბურთელი დაემატება და ეს ამბავიც უკვე გადაწყვეტილია. ამიერიდან, სიცილიური გუნდის ღირსებას 29 წლის **ნელსონი** დაიცავს, რომელიც აქამდე ესპანურ „ბეტისში“ ასპარეზობდა. ნელსონი კაპოვერდული წარმოშობის პორტუგალიელია და ეროვნულ ნაკრებში ოთხი მატჩი აქვს ჩატარებული. ბოლო 4.5 წელიწადია ნელსონი ესპანეთში ასპარეზობდა, სადაც „ბეტისის“ გარდა „ოსასუნას“ ღირსებას იცავდა, იქამდე კი რამდენიმე პორტუგალიური გუნდი მოიარა, მათ შორის „ბოავიშტა“ და „ბენფიკა“. ნელსონი „პალერმოსთან“ 2015 წლამდე გააფორმებს კონტრაქტს, რასაც წინ პრაქტიკულად აღარაფერი უდგას.

### კიდევ ერთი ლაციალე ბერგამოში

გადაწყვეტილი ამბავია, რომ ამიერიდან 34 წლის მცველი **ლიონელ სკალონი** „ატალანტას“ ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ აქამდე არგენტინელი „ლაციოში“ ასპარეზობდა, თუმცა ბოლო ხანს, ძირითადად თადარიგში უწევდა ჯდომა. ლიონელს რომაულ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურებოდა და ისედაც აპირებდა წასვლას, მისი გასხვისება კი „ლაციოს“ მესვეურთათვის მისწრება გახლდათ. მართალია, სატრანსფერო ფასი დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ სულ არაფერს ნამდვილად ჯობია. ჯერჯერობით სატრანსფერო თანხა არ ცხადდება, თუმცა გარიგება რომ შემდგარია, ამას ორივე მხარე ადასტურებს.

„ატალანტას“ და „ლაციოს“ ბოლო პერიოდში კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ... გასულ სეზონში, ზუსტად ასევე რომიდან ბერგამოს კიდევ ერთმა ვეტერანმა მცველმა **გილიერმო სტენდარდომ** მიაშურა.

### იკარდი გრანდთა სამიზნეში

„სამპდორიას“ ტალანტის **მაურო იკარდის** მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაჩნდა, რაც „იუვენტუსს“ დუბლი შეუსრულა, „პესკარას“ კარში გატანილი ოთხი გოლის შემდეგ კი 19 წლის ფორვარდი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. უკვე გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ იკარდის გადაბირებით სამი იტალიური გრანდია დაინტერესებული: „მილანი“, „ინტერი“ და „რომა“. განსაკუთრებით თურმე „ნერაძურის“ მესვეურები აქტიურობენ. ამ საკითხზე კომენტარი ფეხბურთელის პირადმა აგენტმა **აბიან მორანომ** გააკეთა:

*„სხვა კლუბებზე ვერაფერს გეტყვით და „ინტერს“ რომ ნამდვილად სურს იკარდის გადაბირება, ეს დანამდვილებით ვიცი. მილანელებს ჰქონდათ ჩემთან დალაპარაკების სურვილი, მაგრამ მე ისინი „სამპდორიას“ მესვეურებთან გადავამისამართე. ჯერ კლუბები უნდა შეთანხმდნენ ერთმანეთში, შემდეგ კი მეც ჩავერთვები საქმეში. ისე კი, მაურო გენუაში თავს შესანიშნავად გრძნობს და არც წასვლაზე დაუძრავს ჩემთან სიტყვა“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



მარიო გომესს და არიენ რობენს სათადარიგოთა სკამის ხეხვა ყელში ამოუვიდათ

# რობენი აიჭრა, გომესიც ნაწყენია

## კარგი განწყობა მორჩა, ბაიერნის სათადარიგოთა სკამი უკვე დენთის კასრია

**დაახლოებით სამი კვირის წინ „ბაიერნის" წარმატებების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მიუნხენური კლუბის სათადარიგოთა სკამზე მსხდომი ფეხბურთელების კარგი განწყობა დავასახელეთ, თუმცა მაშინვე ვივარაუდეთ, რომ ეს დიდხანს არ იქნებოდა ასე. მართლაც: არ გასულა სამ კვირაზე მეტი და მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგის მეორე წრე ძალიან კარგად დაიწყო, „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამზე კარგი განწყობა აღარაა.**

15 გამარჯვება 19 ტურში, 11-ქულიანი უპირატესობა მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან" - „ბაიერნი" ბუნდესლიგაში ისევ ერთპიროვნულად დომინირებს, მაგრამ **იუპ ჰაინკესის** გუნდში უკმაყოფილო და გაბრაზებული ფეხბურთელები მომრავლდნენ. ეს პირველ რიგში 29 წლის ჰოლანდიელ გარემარბ **არიენ რობენს** და 27 წლის ცენტრფორვარდ **მარიო გომესს** ეხებათ, რომლებიც კვირას, „შტუტგარტთან" მატჩში ისევ ვერ მოხვდნენ ძირითად შემადგენლობაში - რობენმა მთელი 90 წუთი სკამზე გაატარა, გომესი კი მოედანზე მხოლოდ 88-ე წუთზე გამოჩნდა.

რაკი „ბაიერნი" თამაშებს ძველებურად იგებს, ჰაინკესი სასტარტო შემადგენლობას არ ცვლის, რადგან ყველამ ვიცით, რომ მისი დევიზი გამარჯვებული შემადგენლობის არშეცვლაა. შტუტგარტში ჩატარებულ შეხვედრაში, რომელიც ბავარიელებმა **მანჯუკიჩისა** და **მიულერის** გოლებით 2:0 მოიგეს, სკამზე რობენთან და გომესთან ერთად **ჟერომ ბოატენგი, ჯერდან შაჩირი** და **ანატოლი ტიმოშჩუკიც** ისხდნენ. სხვათა შორის, ამ ხუთი მოთამაშის საერთო ფასი დაახლოებით 105 მილიონი ევროა, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ „ბაიერნს" ამ სეზონში მართლაც საუკეთესო სათადარიგოთა სკამი აქვს. პრობლემა ისაა, რომ თვითონ ფეხბურთელებს სკამზე ჯდომა აღარ ეპიტნავებათ.

უკმაყოფილება განსაკუთრებით რობენს ეტყობა. ჰოლანდიელი უკიდურესად ამბიციური ფეხბურთელია და მისთვის 90 წუთის სკამზე გატარება შეურაცხყოფის ტოლფასია. ჰოლანდიელს ჭმუნვა განსაკუთრებით მატჩის მიწურულს დაეტყო, მერე კი, საფინალო სასტვენიდან ზუსტად ათ წუთში არიენი უკვე „ბაიერნის" ავტობუსში იჯდა.

### ზამერი: გუნდში ეგოისტებს ვერ ავიტან!

ჰოლანდიელს არაფერი უთქვამს. სამაგიეროდ, ამ თემაზე „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** ისაუბრა: *„ამჟამინდელი სიტუაცია რობენის წინააღმდეგ მეტყველებს. არ დავუშვებ, რომ „ბაიერნში" რომელიმე ფეხბურთელმა ეგოისტურობა გამოამჟღავნოს და ამით აბსოლუტურად უსარგებლო და ძალიან ნეგატიური დისკუსიები გამოიწვიოს. ეგოიზმის მცირე დოზით გამოვლენაზეც კი ნებისმიერ ფეხბურთელს დავსჯით,"* - უთხრა ზამერმა „სქაის".

შექმნილი ვითარების შესახებ შესაბამისი სიტყვები გამონახა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემაც**: *„ფეხბურთელებისგან მაქსიმალურ თავდადებასთან ერთად იმასაც ველოდები, რომ მწვრთნელის ყველა გადაწყვეტილება უსიტყვოდ მიიღონ."*

მკაცრი რეაქცია ჰქონდა ჰაინკესსაც: *„ბაიერნში" ნომერ პირველი პრიორიტეტი თამაშების მოგებაა და არა ის, ითამაშებს თუ არა რომელიმე ფეხბურთელი 20 წუთს. „შტუტგარტთან" შეხვედრაში რობენის მოედანზე გაყვანა საჭიროდ არ მივიჩნიე,"* - აღნიშნა „დონ იუპმა".

„ბილდის" ინფორმაციით, გუშინდელ ვარჯიშზე რობენმა ერთ-ერთ მომენტში ნერვები ველარ მოთოკა და განრისხებულმა ბურთი ოფისის ფანჯარას მოარტყა. აღსანიშნავია, რომ არიენი სწორედ რეზერვისტებში ვარჯიშობდა. როცა ჰაინკესის ასისტენტი **პეტერ ჰერმანი** მასთან დასალაპარაკებლად მივიდა, ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ჰოლანდიელმა „შეუღრინა", არ დამელაპარაკოო.

რაც შეეხება გომესს: მართალია, ჰაინკესმა მარიო „შტუტგარტთან" მოედანზე მაინც შეუშვა, ოღონდ ბოლო წუთებზე, მაგრამ 27 წლის გოლეადორსაც უკმაყოფილება ეტყობა. მას მერე, რაც გამოჯანმრთელდა, გომესმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიბრუნა, რადგან მისმა სეხნიამ და კონკურენტმა მარიო მანჯუკიჩმა გოლების გატანა განაახლა.

*„მწვრთნელმა გომესს მანჯუკიჩი ამჯობინა, ამ უკანასკნელმა კი გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც. გომესმა ჰაინკესის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს,"* - ამბობს რუმენიგე.

რობენისგან განსხვავებით, გომესი ვარჯიშზე ნორმალურად იქცეოდა...

ინტერვიუ. ფრანც ბეკენბაუერი

# ჰაინკესის ძალიან კარგად მესმის

## მის ადგილზე რომ ვიყო, გვარდიოლაზე ამდენი ლაპარაკი მეც გამაღიზიანებდა

**„ბაიერნი" არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, მაგრამ მიუნხენში ნომერ პირველი სალაპარაკო თემა ხოსეპ გვარდიოლაა. არადა, ესპანელი სპეციალისტი რეკორდმაისტერს მხოლოდ ზაფხულიდან ჩაიბარებს, მანამდე კი ბავარიული გრანდი იუპ ჰაინკესის ხელმძღვანელობით ბრწყინავს, რომელსაც გვარდიოლაზე ატეხილი აჟიოტაჟი დიახაც სწყინს. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში „კაიზერ-ფრანცმა" ამ და სხვა საინტერესო თემებზე ისაუბრა.**

**- ჰერ ბეკენბაუერ, კვირას „შტუტგარტისა" და „ბაიერნის" მატჩს დაესწარით, რომელიც მიუნხენურმა გრანდმა 2:0 მოიგო და ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მეორეადგილოსან „ლევერკუზენს" უკვე 11 ქულით უსწრებს. თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ „ბაიერნის" ჩემპიონობა გარდაუვალია?**

- მე ჯერ ასე არ ვიტყოდი. ხომ ნახეთ, როგორ დაიწყო „დორტმუნდმა" მეორე წრე? „ბორუსიას" აქვს იმის პოტენციალი, რომ „ბაიერნს" სერიოზული კონკურენცია გაუწიოს.

**- ჰო, მაგრამ „დორტმუნდი" „ბაიერნს" 12 ქულით ჩამორჩება...**

- გაიხსენეთ შარშანდელი სეზონი: „ბორუსია" „ბაიერნს" რვა ქულით ჩამორჩებოდა, დაეწია და რვა ქულით გაასწრო. ვაღიარებ, რომ ამ სეზონში „ბაიერნი" გაცილებით ძლიერია და უდიდესი უპირატესობა აქვს, მაგრამ საჩემპიონო პროგნოზის გაკეთებას ნაადრევად მხოლოდ იმ შემთხვევაში გავბედავ, თუ „ბაიერნი" მომდევნო სამ თამაშსაც (მაინცში, „შალკესთან" და ვოლფსბურგში) მოიგებს.

**- პირველ წრეში რეკორდმაისტერის სათადარიგოთა სკამზე ჩინებული განწყობა სუფევდა და ექსპერტები ამას „ბაიერნის" წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს საიდუმლოდ მიიჩნევდნენ. ახლა ვითარება შეიცვალა: არიენ რობენი და მარიო გომესი აშკარად ცუდ ხასიათზე არიან...**

- ორი აზრი არ არსებობს: გუნდში უკმაყოფილო ფეხბურთელების არსებობა ყოველთვის ნეგატიურად მოქმედებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ყველაფერს მოაგვარებს და არ დაუშვებს იმას, რომ მოთამაშეები დიდხანს იყვნენ ცუდ ხასიათზე. რობენს და გომესს უკმაყოფილებას მეც ვამჩნევ და ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებაა.

**- თუმცა უკმაყოფილება თავად ჰაინკესსაც ეტყობა. იუპს აშკარად ნერვები ეშლება იმის გამო, რომ ყველა ხოსეპ გვარდიოლაზე ლაპარაკობს...**

- გეთანხმებით და ჰაინკესის ძალიან კარგად მესმის. იუპის ხელში „ბაიერნი" შესანიშნავ სეზონს ატარებს, სტატისტიკურად ყველა დროის საუკეთესო „ბაიერნზეც" კი შეიძლება ლაპარაკი და ამ დროს აქ ყველა გვარდიოლაზე საუბრობს - კაცზე, რომელიც „ბაიერნს" ხუთი თვის შემდეგ ჩაიბარებს. ჰაინკესის ადგილზე რომ ვიყო, ამაზე ნერვები მეც მომეშლებოდა.

**- შტუტგარტში გამართული მატჩის დროს ხალხს ძველი ბუცების ჩაბარებისკენ მოუწოდეთ. რა ხდება?**

- ჩემმა მეგობარმა კარლოს ალბერტომ (1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი - ავტ.) მთხოვა, რიო დე ჟანეიროს გარეუბნელი ბავშვებისთვის იქნებ რამე მომიხერხოო და სწორედ მაშინ მომივიდა იდეა, რომ პატარა ბრაზილიელი ფეხბურთელებისთვის ბუცები შემეგროვებინა. საქმე კარგად მიდის, ძველ ბუცებს მთელი გერმანიის მასშტაბით ვაგროვებთ.

**- თქვენი პირველი ბუცები თუ გახსოვთ?**

- ფეხბურთელს პირველი ბუცები არასდროს ავიწყდება. მაშინ 8 წლის გახლდით. მეწაღე სათხილამურო ფეხსაცმელები ბუცებად გადამიკეთა. ამ თვითნაკეთი ბუცებით ქუჩის გუნდ „ბოვაცუში" ვთამაშობდი.

**- ბო... რაო?**

- ჰო, ეს „ბოფინაციუსშტრასეს", „ვატცმანშტრასესა" და „ცუგშპიყცშტრასეს" გაერთიანებული გუნდის აბრევიატურული სახელი იყო. სწორედ ამ ქუჩებზე ცხოვრობდა გუნდის ყველა ფეხბურთელი. ნალდი ტყავის ბურთი გვქონდა, რომელსაც მონაცვლეობით ვუვლიდით და ძალიან ვუფრთხილდებოდით. ვინ იცის, რამდენჯერ ჩამიწვენია ის ბურთი ლოგინში...

**- ბუცები ბოლოს როდის გეცვათ?**

- 50 წლის იუბილეზე რომ ვითამაშე. მაშინ მივხვდი, რომ ბუცები აღარ უნდა ჩამეცვა და არც ჩამიცვამს. მას მერე ფეხბურთიც კი არ მითამაშია ხეირიანად - თუ არ ჩავთვლით ჩვენს ბაღში, ჩემს შვილ ჯოელთან ერთად ბურთის გაგორებას.

**- გვარდიოლაზე კიდევ ერთი კითხვა უნდა დაგისვათ: როგორ ფიქრობთ, შეუძლია პეპს იმ უდიდესი მოლოდინის გამართლება, რაც მიუნხენსა და ზოგადად საფეხბურთო გერმანიაში უკვე აშკარად იგრძნობა?**

- „ბაიერნის" პრეზიდენტი ული ჰიონესი, ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე და სპორტული დირექტორი მათიას ზამერი ამ გადაწყვეტილებისთვის უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ. მიუნხენის „ბაიერნი" პეპისთვის ლონდონის „ჩელსიზე" დიდი გამოწვევა აღმოჩნდა. ჩვენ არ გვყავს რომან აბრამოვიჩი და შესაბამისად, ტრანსფერებში ფულს ყოველთვის მხოლოდ მიზნობრივად ვხარჯავთ. „ბაიერნი" ახლაც შესანიშნავი გუნდია, მაგრამ გვარდიოლას ბევრი რამის გაუმჯობესება დაევალება. მაგალითად, პირადად მე ველოდები, რომ მის ხელში გუნდი უფრო სწრაფად გადაერთვება დაცვიდან თავდასხმაზე, მეტოქეს უფრო მძიმე წნეხის ქვეშ მოაქცევს. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კრიტერიუმებში დღეს „ბარსელონასთან" დორტმუნდის „ბორუსია" უფრო ახლოსაა, ვიდრე „ბაიერნი".

**- ...და თუ „ბაიერნი" ლიონელ მესის იყიდის?**

- მესის ტრანსფერს „ბაიერნის" მთელი ბიუჯეტიც კი არ ეყოფა...



ფრანც ბეკენბაუერი ბაიერნის მთავარ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს არ ამტყუნებს

ტრანსფერი

# ლაკიჩი ფრანკფურტშია

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანკფურტის „აინტრახტმა" „ვოლფსბურგიდან" თავდამსხმელი **სრდიან ლაკიჩი** გადაიბირა. 29 წლის ფორვარდი ფრანკფურტულ კლუბში ერთწლიანი იჯარით გადავიდა და „აინტრახტში" 2014 წლის ბოლომდე დარჩება. ლაკიჩმა ფრანკფურტში სამედიცინო შემოწმება ორშაბათს გაიარა, გუშინ კი კლუბებმა გარიგება ოფიციალურად დაადასტურეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „აინტრახტმა" „ვოლფსბურგისგან" ლაკიჩის სრულფასოვანი შესყიდვის უპირატესი უფლებაც მიიღო. შეგახსენებთ, რომ ფრანკფურტელები ცოტა ხნის წინ უსარგებლო თავდამსხმელებს, **რობ ფრენდს** (მიუნხენ 1860-ში გადავიდა) და **დორგე კუემაას** (გაზიანთეფში) გამოეთხოვენ.

*„ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი დამთავრდა და „აინტრახტის" ფეხბურთელი გავხდი. სატელეფონო საუბრებში ფრანკფურტელთა მწვრთნელმა არმინ ფეემ დამარწმუნა, რომ ძალიან ვჭირდებოდი და მას მერე ტრანსფერზე მუშაობის დასრულებას მოუთმენლად ველოდი,"* - უთხრა ლაკიჩმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. მას პირველი ბუნდესლიგის 68 მატჩში 16 გოლი აქვს გატანილი, მეორე ბუნდესლიგაში კი, 49 შეხვედრაში - 19 გოლი. ლაკიჩი „აინტრახტში" 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.



სრდიან ლაკიჩი აინტრახტში გადავიდა

დორტმუნდი

# ბორუსიას პოლონური სუპერტრიო

## 43 გოლიდან 31-ში კუბა, პიშჩეკი და ლევანდოვსკი მონაწილეობდნენ

დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგის მეორე წრე შესანიშნავად დაიწყო, რაც სხვებთან ერთად, პირველ რიგში დორტმუნდული კლუბის პოლონური ტრიოს დამსახურებაა. 24 წლის თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი**, 27 წლის მარჯვენა გარემარბი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** და მარჯვენა მცველი **ლუკაშ პიშჩეკი** (27) ბრწყინვალე ფორმაში არიან, რაც პარასკევს, „ნიურნბერგთან" 3:0-ზე მოგებულ მატჩშიც დამტკიცდა, რომელშიც „კუბამ" დუბლი შეასრულა, მესამე გოლი ლევანდოვსკიმ გაიტანა, პიშჩეკმა კი ერთი საგოლე პასი მიითვალა. საერთო ჯამში მათ დორტმუნდის გოლების ორ მესამედზე მეტში აქვთ მონაწილეობა მიღებული.

**იურგენ კლოპის** გუნდს ბუნდესლიგაში სულ 43 გოლი აქვს გატანილი და აქედან 31 გოლში პოლონელი ფეხბურთელები უშუალოდ მონაწილეობდნენ. ლევანდოვსკი 12 გოლით გუნდის საუკეთესო ბომბარდირი და გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია. მას მხოლოდ ლევერკუზენელი **შტეფან კისლინგი** უსწრებს, რომელსაც 13 გოლი აქვს გატანილი. ბლაშჩიკოვსკის უკვე 8 გოლი აქვს გატანილი და კლუბის ბომბარდირებში მეორეა, მარჯვენა მცველმა პიშჩეკმა კი ერთი გოლის გატანა მოასწრო (სამაგიეროდ, მას 7 საგოლე პასი აქვს). ერთი სიტყვით, გამოდის, რომ 43 გოლიდან 21 პოლონელების ანგარიშზეა.

*„ეს მართლაც შესანიშნავი მაჩვენებელია. რობერტი საგოლე მომენტებს იშვიათად აფუჭებს და ნიშანდობლივია, რომ ჩვენი გოლების აბსოლუტური უმრავლესობა მარჯვენა ფლანგიდან იქმნება, სადაც ბლაშჩიკოვსკი და პიშჩეკი ერთმანეთს იდეალურად უგებენ. ამ სამეულმა კლოპის ხელში უდიდესი პროგრესი განიცადა,"* - აცხადებს „დორტმუნდის" გენერალური მენეჯერ **ჰანს-იოახიმ ვატცკე**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



იაკუბ ბლაშჩიკოვსკი, ლუკაშ პიშჩეკი და რობერტ ლევანდოვსკი

## სარა კარბონერო: რეალში მართლა განხეთქილებაა



ტელეწამყვანმა **სარა კარბონერომ**, რომელიც მადრიდის „რეალის“ მეკარე **იკერ კასილიასის** მეუღლეა, მადრიდის „რეალში“ არსებულ ვითარებაზე დაუფარავად ისაუბრა. ესპანელი ლამაზმანის თქმით, გუნდში საშინელი მიკროკლიმატია, რაც მთავარ მწვრთნელ **ჟოზე მოურინიოსა** და ფეხბურთელებს შორის არსებული უთანხმოებითაა გამოწვეული.

*„გუნდში არ არის სათანადო მიკროკლიმატი. ნათქვამია, ხმა ერისა, ხმა ღვთისაო და ასეა ამ შემთხვევაშიც: „რეალის“ ფეხბურთელებსა და მოურინიოს ერთმანეთისა მართლა არ ესმით. გუნდში განხეთქილებაა და ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ სეზონის დასრულებას, რათა გავერკვეთ, მიდის თუ რჩება მოურინიო კლუბში. ამ დროისთვის ჟოზეს „რეალში“ უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს“*, - თქვა კარბონერომ.

**Sportall.ge**

● კლასიკოს წინ



მადრიდში დიდი აჟიოტაჟია: დიდი ხანია, კლასიკოს წინ ბილეთებზე ამხელა რიგები არ ყოფილა

# დღეს კლასიკოა

### 2013 წლის პირველი დაპირისპირება რეალსა და ბარსელონას შორის სამეფო თასის ნახევარფინალში გაიმართება



**სავარაუდო შემადგენლობა**

**რეალი**

ადანი - არბელოა, ვარანი, ალბიოლი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი, იოზილი, რონალდო - ბენზემა.

**სავარაუდო შემადგენლობა**

**ბარსელონა**

პინტო - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ინიესტა.

● ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტურის შეჯამება

# როცა ჰეთთრიკი ცოტაა...

**როგორც ჩანს, კრიშტიანო რონალდო და ლიონელ მესი ერთმანეთს იქით ვერავის ამჩნევენ, თუმცა იმდენად კარგად თამაშობენ, რომ შეუძლებელია თავიანთი გუნდების ინტერესები დააზარალონ. რომელ ზარალზეა ლაპარაკი, როცა 21-ე ტურში მათ ერთად 7 გოლი გაიტანეს.**

**ტურის მატჩი უდავოდ ბილბაოში გაიმართა, სადაც, როგორც იქნა, აჩვენა მარსელო ბიელსას გუნდმა ის ფეხბურთი, რომელსაც მისგან ელიან და „ატლეტიკო“ გააჩერა.**

#### მესი vs რონი

ლიონელ მესიმ 90 წუთი ითამაშა „ოსასუნასთან“ 5:1 მოგებულ თამაშში. მან 7-ჯერ დაარტყა კარისკენ, 4-ჯერ ზუსტად, გაიტანა 4 გოლი, ერთხელ დაჯარიმდა და 2-ჯერ თამაშგარეში მოხვდა.

კრიშტიანო რონალდომ 73 წუთი ითამაშა „ხეტაფესთან“ 4:0 მოგებულ მატჩში. მან 7-ჯერ დაარტყა კარისკენ, 5-ჯერ ზუსტად და გაიტანა 3 გოლი. ერთხელ მის წინააღმდეგ იუხეშეს და ერთხელ რონალდო თამაშგარე მდგომარეობაში მოხვდა.

ჩვენი „ტურნირი“ „მესი vs რონი“ უკვე მეორე სეზონს ითვლის და პირველად მოხდა, რომ ჰეთ-თრიკის შემსრულებელმა „დუელი“ წააგო: 15:9 მესის სასარგებლოდ!

#### იცით, თუ არა რომ...

* ლიონელ მესიმ ზედიზედ მე-11 ტურში გაიტანა
* ლიონელ მესიმ ლა ლიგაში 200-გოლიან ზღვარს გადააბიჯა
* კრიშტიანო რონალდომ საკლუბო ასპარეზზე 300-ზე მეტი გოლი გაიტანა.
* კრიშტიანო რონალდომ კარიერაში მე-20 ჰეთ-თრიკი შეასრულა.

#### ტურის საუკეთესო გოლი

ხოსე ბარკერო (ლევანტე) „ვალიადოლიდის“ კარში

#### ტურის საუკეთესო პასი

ანხელ დი მარია (რეალი) საგოლე პასი კრიშტიანო რონალდოს.

#### ტურის სტატისტიკა

*34 გოლი ტურში (3,4 მატჩში). 6 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 63 ყვითელი ბარათი 7 წითელი დაარიგეს.*

პოკერი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა)

ჰეთ-თრიკი: **კრიშტიანო რონალდო** (რეალი)

დუბლი: **რიკი** (დეპორტივო).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **აიმერიკ ლაპორტე** (ბილბაო, 18 წლის).

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **71 100 - „კამპ ნოუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **13 000 - „ტერესა რივერო“**



მესის შეჩერება კვირას ადამიანურ ძალებს აღემატებოდა

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **23 - მალიორკა**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **13 - რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **19 - რაიო ვალეკანო**

ყველაზე მეტი კუთხური: **13 - ვალენსია, მალიორკა**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **10 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **73% - ბარსელონა**

#### მომდევნო ტური

1 თებერვალი: ვალიადოლიდი-ბილბაო.

2 თებერვალი: ოსასუნა-სელტა, ხეტაფე-დეპორტივო, ესპანიოლი-ლევანტე, გრანადა-რეალი.

3 თებერვალი: მალაგა-სარაგოსა, სევილია-რაიო ვალეკანო, ვალენსია-ბარსელონა, ატლეტიკო-ბეტისი, რეალ სოსიედადი-მალიორკა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ტურის გმირი**

**ლიონელ მესი (ბარსელონა)**




მესის ეს ადგილი ავტომატურად ეკუთვნის. წესად ვაწესებთ, რომელი ფეხბურთელიც ტურში პოკერს შეასრულებს, ის ავტომატურად ტურის გმირია ჩვენს შეჯამებაში.

ჩვენს 11 რჩეულში მხოლოდ ერთი დებიუტანტია - „ლევანტეს“ ვეტერანი ნახევარმცველი ხოსე ბარკერო, რომელმაც ტურის ულამაზესი გოლი გაიტანა საჯარიმო დარტყმით. ლეო მესი 21 ტურში 16-ჯერ მოხვდა სიმბოლურში!

#### ბომბარდირები

33 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
18 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

#### ასისტენტები

12 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
9 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
8 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

#### გოლი+პასი

41 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
25 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
19 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

#### მე-12 ფეხბურთელი

**მარკელ სუსაეტა (ბილბაო)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● ამბები

### სონი ჰამბურგში რჩება

„ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა ჰიონ-მინ სონის** გარშემო ატეხილ სატრანსფერო მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო. მისი განცხადებით, 20 სამხრეთკორეელი შემტევი მინიმუმ სეზონის ბოლომდე ჩრდილოგერმანულ კლუბში დარჩება. მეტიც: არნესენი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სონს ახალი კონტრაქტი გაუფორმოს. აქტუალური ხელშეკრულებით კორეელი „ჰამბურგთან“ 2014 წლის ზაფხულამდეა დაკავშირებული. სონის ანგარიშზე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში შვიდი გოლია, რის გამოც მისი გადაბირება ინგლისურმა კლუბებმა, „არსენალმა“ და „ტოტენჰემმა“ მოისურვეს.

### კრისტიანსენი გვარდიოლას თანაშემწედ?

„ბილდის“ ინფორმაციით, დიდი შანსია, რომ ზაფხულიდან „ბაიერნში“ **ხოსეპ გვარდიოლას** ასისტენტად ყოფილი თავდამსხმელი **ტომას კრისტიანსენი** დაინიშნოს. 39 წლის დანიელი 2003 წელს „ბოხუმის“ ფორვარდის რანგში ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (21 გოლი), ბრწყინვალედ ფლობს გერმანულ და



ესპანურ ენებს და ამავდროულად, კარგად იცნობს გვარდიოლას, რადგან 90-იან წლებში „ბარსელონაში“ სწორედ პეპის თანაგუნდელი იყო. გერმანიაში ის „ბოხუმის“ გარდა „ჰანოვერის“ ღირსებას იცავდა და არაერთხელ უთქვამს, რომ ბუნდესლიგაში სიამოვნებით იმუშავებდა. კრისტიანსენი ბოლოს შვეიცარიული კლუბის, ნოიშატელის „ქსამაქსის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ.

### პოგატეცი ვესტ ჰემში

„ვესტ ჰემმა“ ვოლფსბურგიდან ავსტრიის ნაკრების მცველი **ემანუელ პოგატეცი** ინათხოვრა. 30 წლის უკანახაზელი ინგლისურ კლუბში სეზონის ბოლომდე დარჩება და თუ „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელებს თავს მოაწონებს, მის კონტრაქტს საბოლოოდ გამოისყიდიან. ემანუელ პოგატეცი „ვოლფსბურგში“ გასულ ზაფხულს „ჰანოვერიდან“ გადავიდა და მას მერე „მგლებში“ ბუნდესლიგის ეგიდით 13 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● სპორტის ზამთრის სახეობები

# ბაკურიანში სპორტს ავაღორძინებთ...

**ამ დღეებში ბაკურიანს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი სტუმრობდა. ცხადია, ვისარგებლე შემთხვევით და ინტერვიუ ვთხოვე.**


მამუკა ხაბარელი

მამუკა ხაბარელი: დავიწყებ იმით, რომ ბაკურიანი ერთ-ერთი უნიკალური ადგილია საქართველოში არა მარტო ზამთრის სპორტის, არამედ, სამთო ტურიზმის განვითარებისთვისაც. ბოლო წლებში სპორტის ინფრასტრუქტურას ყურადღება არ ექცეოდა, სამთო-სათხილამურო სპორტი კი უფრო ტურიზმის კუთხით ვითარდებოდა. არ დაგიმალავთ, როცა მითხრეს, ბაკურიანში ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში შეჯიბრება ტარდებაო, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, რადგან ზამთრის სახეებს ვკურირებ, მაშინვე ჩამოვედი. მომიყვნენ, როგორი ენთუზიაზმით, ცარიელი ხელებით დაუწყიათ თითქმის თავიდან ყველაფერი და დღეს ეს ბავშვები, არწივის მართვეებივით ხტებიან, დაფრინავენ.

გახარებული ვარ, იმ ადამიანებით, რომლებიც ამ საქმეს დიდი მონდომებით და სიყვარულით უდგებიან. ვხედავთ, რომ ხტომამ წამოიწია, ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ გვყავს, ლეგენდარული კობა წაქაძე, გვყავს მიშა გავვა. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი კობა დაინტერესებულია იმ სახეობის აღორძინებით და განვითარებით, რომელსაც ათეულობით წლები შეალია და სამომავლო აღმშენებლობაში მონაწილეობასაც მიიღებს. რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და ჩვენი დიდი დახმარებით სულ მალე ჩვენი სპორტსმენები გასცდებიან საზღვარს და ამისთვის ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით. სოჭის 2014 წლის ოლიმპიადისათვის უკვე დაგვიანებულია, მაგრამ ისევ და ისევ მთავრობის დიდი ხელშეწყობით გვექნება იმის პოტენციალი, რომ მომდევნო თეთრ ოლიმპიადაზე მონაწილეობა რეალობად იქცეს. ჩვენ ხელს შევუწყობთ, და მოვიზიდავთ ბავშვებს შესაბამისი სტანდარტებით და აუცილებლად გვექნება წინსვლა. ხტომა რისკიანია, ქართველები კი რისკიანები ვართ, ადრე დიდი წარმატებები გვქონდა და ეს უკვე გენშია...

პირველ რიგში შესაქმნელია ტრამპლინების ახალი ინფრასტრუქტურა. მე ვთხოვე შესაბამის უწყებებს, წარმოადგინონ სამომავლო განვითარების გეგმა, რომ სახელმწიფომ მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში. სამომავლოდ შევეცდებით აღდგეს 40 და 70-მეტრიანი ტრამპლინები საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

სპორტსკოლასთან დაკავშირებით ვთხოვე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელ დავით კამკამიძეს გაითვალისწინოს მწვრთნელების მოთხოვნა, რომ ბაკურიანში სპორტულმა სკოლამ კვლავ დაიდოს ბინა. შეიქმნას კომფორტული პირობები მომავალ სპორტსმენთა აღზრდისთვის. ვფიქრობ, სამომავლოდ ეს საკითხი მოგვარდება.

ვიმეორებ, ბაკურიანის სამომავლო განვითარებით დაინტერესებული ვარ. კარგია ტურიზმი, რაც ქვეყნისთვის შემოსავლის წყაროცაა. მაგრამ, როცა სპორტის ინფრასტრუქტურა განვითარდება, გაიმართება დიდი შეჯიბრებები, ამას სპორტული ტურიზმის ალმავლობაც მოჰყვება. ნორჩ მოხტუნავეებს რომ ვუყურებ, განწყობა ამიმაღლდა.

*რაც შეეხება ციგებს.* ყველას კარგად გვახსოვს ვანკუვერში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც მთელი სპორტული სამყარო შეძრა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ბაკურიანში გაკეთებულიყო ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საციგაო ტრასა. ხარჯებში თანამონაწილეობა უნდა მიეღო ქართულ მხარეს. ჩამოვიდნენ სპეციალისტები ბაკურიანში, ნახეს ადგილი პარკში, გაკეთდა დაგეგმარება, პროექტი, ერთი სიტყვით, ბევრი სამუშაო შესრულდა, მაგრამ საძირკველი არ ჩაყრილა. მზა პროექტი შეჩერდა. ახალმა ხელმძღვანელობამ მოსვლისთანავე დავიწყეთ ამ საკითხზე მუშაობა. გვქონდა საუბარი საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან. პარკში ფელიქს ქუმარიტაშვილთან ერთად, რომელიც საციგაო სპორტის ფედერაციას წარმოადგენს საქართველოში, ის ადგილი უკვე მოვინახულე და მოვინიშნეთ. ფელიქსს კარგი ურთიერთობები აქვს უცხოეთში ფედერაციებთან და ამ საკითხში აქტიურად მონაწილეობს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელსაც ვესაუბრე. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ საქმე მალე დაიძრას (ეს ყველაფერი მარტივი არაა) და ბაკურიანის პარკში 420 მეტრი სიგრძის საციგაო ტრასა აშენდეს. დამწყები მოციგავეებისთვის ეს სავსებით მისაღებია.

***დავით კამკამიძე***, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი: „ზამთრის სახეები ძვირად ღირებული და ამავე დროს საინტერესო სპორტია და სპეციალიზებული სპორტული სკოლა უნდა იყოს იქ, სადაც მისი სწავლება და განვითარება ხდება. ჩვენგან არის მხარდაჭერა. შესაბამის განყოფილებას უკვე დავავალე დოკუმენტების მომზადება ბორჯომის სასპორტო სკოლიდან ზამთრის სახეობების გამოყოფისა და ბაკურიანში სპორტული სკოლის გახსნის შესახებ. გაზაფხულისთვის ეს საკითხი მოგვარდება, ცხადია, გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტი. ბაკურიანი კვლავ გახდება ზამთრის სპორტის საყრდენი და ამაში ბორჯომის მუნიციპალიტეტი თავის წვლილს შეიტანს".

**სოფიკო ხეთაგაშვილი**
**ბაკურიანიდან**

● კრივი. ინტერვიუ დავით კვაჭაძესთან

# მოკრივეებმა სპონსორებს ეძებენ

## პრეზიდენტი დათმობას გამორიცხავს

**კრივის ფედერაციის პრეზიდენტად დავით კვაჭაძის დანიშვნას და მის მიერ სამწვრთნელო შტაბში განხორციელებულ ცვლილებებს ქართულ კრივში უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა. ბოლო დღეებში სპორტულ პრესაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა, სადაც ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებული ჯგუფის წევრები კორუფციულ სქემებზე, პრემიების წილში ჩაჯდომაზე, კლანურ ინტერესებზე და ამგვარ თემებზე საუბრობენ. მეორე მხარე მათ არანაკლებ ბრალდებებს უყენებს, თუმცა ამასობაში დრო მიდის და საერთო საქმე ზარალდება. დავით კვაჭაძესთან ინტერვიუ თავიდან მხოლოდ მის გეგმებზე, ფედერაციისა და ქართული კრივის განვითარებაზე სასაუბროდ დაიგეგმა, თუმცა ახლა გვერდი ვერც ამ ამბებს ავუარეთ და ინტერვიუც დაპირისპირების თემით დავიწყეთ. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციულ ბრალდებებს მას არავინ უყენებს, ეს უფრო ფედერაციის სხვა წევრებს ეხებათ, თუმცა უკან დახევას და მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცვლას არ აპირებს.**

**- ბოლო დღეებში კრივის სამყაროში გააქტიურებულ დაპირისპირებაზე რას იტყვით?**

- მოვლენათა ასეთი განვითარება დიდად სამწუხაროა, რადგან ჩვენი მიზანი არ ყოფილა ვინმესთან დაპირისპირება. პირიქით - გვინდა, რომ კრივის სამყაროში ჯანსაღი ვითარება შეიქმნას. წლების განმავლობაში კრივი დაყოფილი იყო ჯგუფებად და პარტიებად, რაც ახლა ამოტივტივდა ზედაპირზე. ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ პარტიული პრინციპით, გვაინტერესებს მხოლოდ დალაგებული სიტუაცია და იმ გამოცდილი ხალხის დაბრუნება, საქმეში ჩაბმა, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდა და ვისაც ვენდობით.

კონკრეტულად რამაზ ფალიანს რაც შეეხება, მოსვლისას ყველა მწვრთნელს ჩამოვაწერინე, ვის რამდენი ხანი უმუშავია, რა გაუკეთებია. თითქმის ყველას მუშაობის 20-30, ზოგს კი 40-45-წლიანი სტაჟი აქვს, ფალიანს კი - მხოლოდ რამდენიმე წლისა. ოთხი წელიწადი მუშაობდაო, მაგრამ ჩემს წინამორბედს მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული ჰყავს 2009 წლის თებერვალში. მისი მოსვლისას სხვადასხვა შეჯიბრების სამი პრიზიორი გვყავდა, ეს კი ჰაერზე არ მოდის, ასეთ შედეგზე მუშაობდნენ მაშინდელი მწვრთნელები. ფალიანი თუ ასეთი ძლიერი მწვრთნელია, მერე რატომ არ ჰქონდა ანალოგიური მიღწევა? მისივე დაწერილ სიტყვებს მოვიყვან, 2012 წელს მაისის შემდეგ კრივის ფედერაციას არანაირი შეჯიბრება არ ჩაუტარებიაო. ტყუილია ეს, რადგან ნოემბერში კალინინგრადში ევროპის პირველობა გაიმართა, სადაც ვერცხლის მედალი მოვიპოვეთ, ოღონდ მაშინ გუნდი სხვა მწვრთნელმა მოამზადა. ფალიანმა ვერც მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან მოაგვარა ურთიერთობა. ყოველ შემთხვევაში, მათ დიდ ნაწილთან მაინც.

ჩემი ინიციატივა იყო მწვრთნელების გადანაწილება, რომ ყველას თავისი რგებოდა, თორემ ქუჩაში გაშვებას არავის ვუპირებდით. სამწუხაროდ, ჩვენს ახალგაზრდებს უფროსობის მანია სჭირთ. მე მირჩევნია, სათავეში გამოცდილი ხალხი იყოს, ახალგაზრდებმა კი მათგან ისწავლონ, გამოცდილება მიიღონ. ფალიანზეც ვფიქრობდი ნაკრებში ერთ-ერთ მწვრთნელად დატოვებას, მაგრამ არავინ მიიღო, მხოლოდ საკუთარ გუნდთან სურდა მუშაობა. მინდა, რომ ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები შეხმატკბილებულად მუშაობდნენ, რათა უფროსების გვერდით უმცროსებმაც მიიღონ გამოცდილება და ეს ახლა ასეც ხდება. ამიტომ ფალიანს ჭაბუკებთან მუშაობა შევთავაზეთ, მაგრამ იქ თვითონ არ უნდა.

**- თუმცა ეს მაინც თქვენი პოზიციაა ფალიანთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ მას სხვებმაც წაუყენეს ბრალდებები - თუნდაც უდისციპლინობის გამო, მაგრამ, თავის მხრივ, ისიც საუბრობს კორუფციულ სქემაზე და ასახელებს კონკრეტულ ფაქტებს, კონკრეტულ პიროვნებებსაც...**

- თქვენ რომ ვინმემ პრემია გამოგიწეროთ, დათმობთ მას?

**- თუმცა ფაქტია, რომ თურმე ქართულ რეალობაში ასეც ხშირად ხდებოდა...**

- მე რაც ვიცი, პრემიებს სამინისტროში ან ოლიმპიურ კომიტეტში იღებდნენ. არ მაქვს ილუზია, რომ ანგელოზების ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ პატიოსანი ადამიანი თავისი ნაშრომიდან ერთ თეთრს არ დათმობს. ასე თუ ხდებოდა, რატომ იყვნენ აქამდე ჩუმად და რაღა ახლა მოუნდათ ამის გაჟღერება? ვფიქრობ, ეს არაა სწორი საქციელი. ბექა ლობჟანიძეც რომ საუბრობს ამაზე და კრივიდან წასვლას ახალკაცს აბრალებს, ის რა შუაშია, როცა მას მილანში ტურნირზე დისკვალიფიკაცია მისცეს, ხოლო რატომ დასაჯეს ასე, კარგად იცის. ბაქოს კლუბში გამოსვლისას რასაც იხდიდა, ის ოფიციალური გადასახადი იყო. ახალკაცი რომ არა, ლობჟანიძე ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებოდა. კონკრეტულ ბრალდებებს მე ვერ გამოვიკვლევ, ამისთვის შესაბამისი სამსახურები არსებობს, მაგრამ ასე ზეპირ საუბრებზე დაყრდნობით ფედერაციაში საკადრო გადაადგილებებს არ ვაპირებ. სხვათა შორის - არც მწვრთნელთა კორპუსში. მაგალითად, კუკური შავგულიძე ჭაბუკთა ნაკრებიდან ახალგაზრდებში გადავიყვანეთ ოლიმპიადაზე მომხდარის მიუხედავად, როცა მისი მოსწავლე მერაბ თურქაძე ვერ აიწონა. ამაზე ის თავს იმართლებს, რომ დროულად არ ჩააყენეს საქმის კურსში. მომხდარის მიუხედავად, მე მაინც ვენდობი შავგულიძეს, როგორც გამოცდილ მწვრთნელს, სხვა დროს კი შეჯიბრებებზე ისეთ პიროვნებას გავაყოლებთ დელეგაციის ხელმძღვანელად, ვინც დროულად მიაწვდის საჭირო ინფორმაციას.

**- თავში დაპირისპირებები ახსენეთ და როგორ აპირებთ კრივის სამყაროს გაერთიანებას, კრივის დეპოლიტიზაციას?**

- ეს ძალიან რთული საკითხია, თუმცა აუცილებლად შესასრულებელი და პირველი რიგის ამოცანა. საუკეთესო გუნდიც რომ გვყავდეს, მწვრთნელებს შორის ურთიერთგაგება თუ არ იქნება, ამ ქიშპობით ბევრ ახალგაზრდას დავღუპავთ. ამიტომ მინდა მწვრთნელების გადაჯგუფება, რომ სიტუაცია შევარბილოთ და დავარეგულიროთ.

**- ფედერაციაში, ქართულ კრივში ბევრი რამ დაგხვდათ შესაცვლელი?**

- ცხადია, ბევრი რამეა შესაცვლელი იმის მიუხედავად, რომ ფედერაციაში გამოცდილი ადამიანები მუშაობდნენ - თამაზ ქართველიშვილი, კოტე ბერძენიშვილი, ვოვა ახალკაცი, თუმცა მუშაობა ზემოდან წამოსულ მოთხოვნებზე იყო აგებული. არც ფუნქციები იყო განაწილებული. მაგალითად, დღეს გენერალური მდივნის მოვალეობა კონკრეტულადაა განსაზღვრული - ევალება შეკრების მოწყობა, ტურნირებზე გამგზავრება, მაგრამ მწვრთნელების დანიშვნა ან იმის გადაწყვეტა, ვინ რომელ წონაში გამოვიდეს, მისი საქმე აღარაა. გენმდივანს ან ვიცე-პრეზიდენტებს არც თანხების განაწილება ევალებათ. შეჯიბრებებს და შეკრებებს უფროსი მწვრთნელი უკვეთავს და შედეგზეც მან უნდა აგოს პასუხი.

**- ფედერაციის ბიუჯეტი რამდენია?**

- მხოლოდ 250 ათასი ლარი, მეტი არ დაგვიმტკიცეს! არადა, წლეულს უფროსებში ევროპის პირველობაც ტარდება და მსოფლიოსიც. ევროპისთვის მოსამზადებელი კალენდარი რომ შევადგინეთ - შეკრებები, ორი შეჯიბრება და თავად ევროპირველობაზე წასვლა, 250 ათასი მხოლოდ ამას დასჭირდა. გამოდის, მთელი ბიუჯეტი მხოლოდ ამ ღონისძიებაზე უნდა დავხარჯოთ, მსოფლიოზე კი ვერ გამოვალთ.

>> მე-11 გვერდზე

● ჭადრაკი

# ნანა ძაგნიძე სამაიაში


ნანა ძაგნიძე

გიბრალტარში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 51 ქვეყნის 247 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის 52 დიდოსტატი. მათგან რვა 2700-იანთა კლუბის წევრია. ესენი არიან: ვასილი ივანჩუკი (უკრაინა, 2758), გატა კამსკი (აშშ, 2740), მაიკლ ადამსი (ინგლისი, 2725), რადოსლავ ვოიტაშეკი (პოლონეთი, 2723), მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2711), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2710), ალექსეი შიროვი (ლატვია, 2708) და ლე ქუანგ ლიემი (ვიეტნამი, 2705).

გუშინ ლიდერთაგან მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს გატა კამსკი-ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი)-ვასილი ივანჩუკი, ივან ლოპეს სალგადო (ესპანეთი)-მაიკლ ადამსი, დავიდ ნავარა-ჩანდა სანდიპანი (ინდოეთი), ალექსეი შიროვი-გრიგორი ოპარინი (რუსეთი). ნაიჯელ შორტმა მოუგო ლე ქუანგ ლიემს, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავმა - თანამემამულე ვლადისლავ ტკაჩიევს, იუ იანმა (ჩინეთი) გავაინ ჯონსს (ინგლისი) სძლია. რვა ტურის შემდეგ: ვიტიუგოვი, შორტი-7-7, კამსკი, ვაშიე-ლაგრავი, იანი-6.5-6.5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე დაძაბული სატურნირო მდგომარეობაა მანდილოსნებს შორისაც. საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერმა, 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ნანა ძაგნიძემ** გუშინ შავი ფიგურებით აზიზ ჰუსეინ ნეზადს (ყატარი) აჯობა და 6 ქულას მოუყარა თავი. ამდენივე ქულა მოაგროვეს ჩინელმა ჟაო სიუმ (იგი მე-8 ტურში გერმანელ დანიელ ფრიდმანს დაუზავდა) და სლოვენიელმა ანა მუზიჩუკმა - რუს ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას სძლია. **სალომე მელია** ყაიმზე შეუთანხმდა არტურ იუსუპოვს (გერმანია), რომელიც რეიტინგში ჩვენებურს 208 პუნქტით უსწრებს. სალომეს რვა ტურის შემდეგ 5 ქულა აქვს ისევე, როგორც ელიზაბეტ პეტცს (გერმანია), სოფი მილეს (საფრანგეთი), მარია მუზიჩუკს (უკრაინა), ქეთევან არახამია-გრანტს ( შოტლანდია), ტანია საჩდევს (ინდოეთი), ვალენტინა დოლჟიკოვას (ნორვეგია). ამ შვიდეულს ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ორგზის ევროპის ჩემპიონი პია კრამლინგი (შვედეთი), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი) და ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი).

დღეს მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



მე-10 გვერდიდან

თუმცა ჩვენ მხოლოდ ამ ორ ტურნირზე არ ვფიქრობთ. თუ ახალგაზრდა მწვრთნელები არ გაჯიუტდებიან და გვერდით დაგვიდგებიან, მაინც მგონია, რომ შედეგს მივიღებთ. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში სპონსორების მოძიებაც ძნელია - რამდენ პიროვნებას ნახავთ, რომელიც თავისით შეწუხდება იმავე კრივზე და გვერდში დაგვიდგება? არადა, თავის დროზე „ნაციონალები" რომ კომბლით ადგნენ თავზე, მაშინ კარგად იხდიდნენ ფულს.

მოკლედ, სპონსორებს ვეძებთ და კარგი იქნება, ვინმე გვერდში თუ დაგვიდგება. ფედერაციის თანამშრომლები უხელფასოდ ვმუშაობთ, იჯარის ქირაც გადასახდელია, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ რაიონებში ჩასვლის და ადგილებზე ვითარების გაცნობის საშუალებაც არ გვაქვს.

**- უფულოდ, ალბათ, ყველა იდეა განწირულია, მაგრამ მაინც რა რეფორმების გატარებას მიიჩნევთ საჭიროდ შედეგების გასაუმჯობესებლად?**

- როგორც აღვნიშნე, მთავარია უნდობლობის აღმოფხვრა და დაპირისპირების დასრულება. აუცილებელია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, თორემ ბევრმა, დღეს რომ დიდი პრეტენზია აქვთ, მოსამზადებელი გეგმის დაწერაც არ იცის. არადა, წესით, ასეთ გეგმას ყოველდღიურად უნდა წერდნენ. სერიოზული რეფორმებია გასატარებელი რეგიონების გამოსაცოცხლებლად. კარგი იქნება, სახელმწიფო თუ მოსწავლეთა სპორტს მიხედავს და სპორტსკოლებს აღადგენს. ნიჭიერი ბავშვი ჩვენამდე თუ არ მოვიდა და მწვრთნელმა არ გაზარდა, ყველაფერი შემთხვევით შედეგზე იქნება აგებული, სერიოზული მიღწევები კი გაგვიჭირდება.

„ქართულ ოცნებაში" მეც შევდიოდი იმ თემატურ ჯგუფში, რომელიც თებერვლის დასაწყისიდან მუშაობდა სპორტის განვითარების კონცეფციაზე. მშვენიერი დოკუმენტი შევიმუშავეთ, მაგრამ კარგი იქნება, ქაღალდზე თუ არ დარჩება და ცხოვრებაშიც გატარდება. იქ ლაპარაკია ბავშვთა სპორტზე, ახალგაზრდებზე, მომავალზე, უფასო წვრთნაზე და ასე შემდეგ...

**- ნაკრების უახლოესი გეგმები როგორია?**

- ნაკრებში დავნიშნეთ ძალიან წესიერი კაცი - ბონდო მამულაშვილი, თუმცა ის გამოცდილი მწვრთნელიცაა, მხოლოდ პატიოსნების გამო არ დაგვინიშნავს. 10 თებერვალს საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, თუმცა „ფეისბუკის" დახმარებით მის ჩაშლას ცდილობენ. იმავე ახალკაცს იმდენად კარგი კონტაქტები აქვს, რომ მისი დახმარებით აზერბაიჯანელები თავისი ხარჯით გვიტარებენ შეკრებას და იქვე ტურნირშიც გამოვალთ. ბაქოდან დაბრუნების შემდეგ ერთ შეკრებას საქართველოში გაივლიან, მერე უკრაინაში გამოვლენ შეჯიბრებაში, მაისში კი მინსკში ევროპის ჩემპიონატია. მთავარია, გუნდში უთანხმოება აღმოიფხვრა, დანარჩენი კი დამოკიდებულია მოსამზადებელი პროცესის სწორ დაგეგმვაზე.

**ირაკლი თავაძე**

● თავისუფალი ჭიდაობა

# მზადება დიდი გამოწვევისთვის

**დასრულდა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრება ბორჯომში. ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ ეს პირველი შეკრება იყო, რომელიც ახალი მწვრთნელების, რეზო მინდორაშვილის, დათო პოლოსიანისა და ალექსანდრე კახნიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა. შეკრების დასასრულს ბორჯომის სპორტკომპლექს „ოლიმპს" ვსტუმრობდით, სადაც მთავარ მწვრთნელ რეზო მინდორაშვილს და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძეს ვესაუბრეთ.**

- შეკრებაზე საქართველოს ჩემპიონატში ყველა წონით კატეგორიაში გამოვლენილი საუკეთესო ოთხეულები მონაწილეობდნენ. აქცენტი ძირითადად ფიზიკურ ვარჯიშებზე გვქონდა გადატანილი, შერეული იყო ხალიჩაზე მსუბუქი ვარჯიშებიც. ჯამში ბიჭები კარგად დაიტვირთნენ და შეასრულეს ყველა ის დავალება, რაც მივუთითეთ. ამ თვალსაზრისით ყველასი კმაყოფილი ვარ. აღსანიშნავია ნაკრების წევრთა ურთიერთდამოკიდებულებაც, რაც გუნდში ჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის. პრობლემები არ გვქონია ტრავმების მხრივაც.

**- სულ რამდენიმე დღე დარჩა იაშარ დოგუს ტურნირამდე. როგორი შემადგენლობით წარდგებით ამ შეჯიბრებაზე?**

- თურქეთში გასამართი ამ შეჯიბრებისთვის 9 - 10 თებერვალს საქართველოს ნაკრები ჩვენი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონებით დაკომპლექტდება. მოგეხსენებათ ამ შედეგების მიხედვით გუნდის ლიდერებში ცვლილებები მოხდა. **გიორგი გოგშელიძის** და **ოთარ თუშიშვილის** შეცვლა ვერავისთვის იქნებოდა იოლი საქმე, თუმცა მათი შემცვლელების წარმატების იმედი მაინც გვაქვს. **ლადო ხინჩეგაშვილის** ახალ წონაში ადაპტაციის პროცესიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მძიმე წონაში ქვეყნის ჩემპიონატმა ლიდერად **გენო პეტრიაშვილი** გამოარჩია. ფაქტობრივად ნაკრები მნიშვნელოვნადაა სახეცვლილი და ახალი ბირთვის შესაქმნელად სერიოზული მუშაობის ჩატარება გვმართებს. **იაშარ დოგუს** სახელობის ტურნირის შემდეგ კიდევ ორ შეჯიბრებაზე უკრაინასა და ირანში კი გუნდის სხვა წევრებიც იასპარეზებენ. რასაკვირველია ყველა მათგანზე გამოსვლისას ვიბრძოლებთ წარმატებებისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპის ჩემპიონატისთვის გვყავდნენ სპორტსმენები ფორმის პიკში.

**- ნაკრების ახალდანიშნულ თავკაცებს პირველივე სერიოზული გამოცდა ახალ ამპლუაში ევროპის ჩემპიონატზე თბილისში მოგიწევთ, რაც ალბათ ორმაგი პასუხისმგებლობაა.**

- მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით დებიუტანტები ვართ, საკუთარი თავის რწმენა არ გვაკლია. გვაქვს საკუთარი თავის, ჩვენი ფალავნების და იმის იმედი, რომ ყველაფერი კარგად იქნება! ხოლო კარსმომდგარი ევროპის ჩემპიონატი რომ თბილისში იმართება, ეს ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, რაც საბრძოლო განწყობას გვიორმაგებს.

**- დიდი ხანია ნაკრები ამ ბაზაზე არ შეკრებილა.**

- ბორჯომში ნაყოფიერი შეკრების მოსაწყობად ყველა პირობა არსებობს. სხვაგან შეიძლება დარბაზი ასევე კარგი იყოს, მაგრამ აქაურ კლიმატს ხომ ვერ ჩაანაცვლებს? შესაბამისად, იმითაც კმაყოფილები ვართ, რომ შეკრება სწორედ ბორჯომში დაიგეგმა.

ლუკა კურტანიძემ კი განსაკუთრებით ნაკრების შიგნით არსებულ დადებით ურთიერთგანწყობას გაუსვა ხაზი. „შეკრების განმავლობაში ორჯერ ჩამოვედი ბორჯომში პროცესის უშუალოდ სანახავად. პირველად მისი დაწყებისას და ახლა - მიწურულს. ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ნაკრების შიგნით შექმნილ მეგობრულ განწყობას, რომელიც სამაგალითოდ მიმაჩნია. სასიამოვნო იყო ისიც, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სპორტსმენები ევროპის ჩემპიონატზე საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ გამოსვლის საკითხს. უფრო კონკრეტულად ცალკეული ფალავნების, მათი ამჟამინდელი კონდიციების და მზადყოფნის შესახებ კი ბუნებრივია არაფერს ვიტყვი, რადგან მთავარი მწვრთნელის კომპეტენციაში არასოდეს ვაპირებ შეჭრას" - გვითხრა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა.

**ვასილ ბალახაძე**
ბორჯომიდან

● ჩოგბურთი. აწმყო, შობილი წარსულისაგან

# ისევ დაპირებებითა და იმედებით

## დოსიე
## ნიკოლოზ ბასილაშვილი

**დაიბადა** 1992 წლის 23 თებერვალს თბილისში. 2009 წელს დაამთავრა კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს გრანაითბეის დიდი სკოლა. ჩოგბურთის თამაში დაიწყო 6 წლისამ გოგა სანთელაძის ხელმძღვანელობით. კარგა ხანს მამა - ნოდარ ბასილაშვილი ავარჯიშებდა. 12 წლისა აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ვიტალი გორინთან იმაღლებდა ოსტატობას.

**შედეგები.** 12-14-წლიანებში საქართველოს ჩემპიონი. ამერიკაში ორანჯბოლის ორი ტურნირის ნახევარფინალისტი. 16 წლისა ATF-ის ჭაბუკთა მსოფლიოს რეიტინგში 59-ე იყო. 2009 წლიდან პროფესიონალებში გადაინაცვლა. 2010 წელს სოჭის ვაჟთა 10.000-იანი ტურნირი მოიგო. მერე ორი წელიწადი ტრავმების გამო, ფაქტობრივად, არსად უასპარეზია. 2012 წელს ექვსი ტურნირი (ყაზანში, მოსკოვში, ერევანში, თბილისსა და 2 ანთალიაში) მოიგო, ორჯერ ფინალში ითამაშა.

**უყვარს** კალათბურთი და გოლფი. „ატლანტას" და ზაზა ფაჩულიას ქომაგია. გოლფში ტაიგერ ვუდსს გულშემატკივრობს.

**გატაცებულია** კომპიუტერითა და წიგნების კითხვით. საყვარელი მწერლები - ალექსანდრე ყაზბეგი და ლევან სანიკიძე.

**ჰობი.** ტექნიკური მუსიკის შექმნა.

**კერპი.** არ ჰყავს.

**მიზანი.** წლეულს ჩოგბურთელ ვაჟთა მსოფლიო რეიტინგის პირველ ასეულში დამკვიდრება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ორჯერ შეიცვალა ფედერაცია - შარშანწინ რუსეთს მიაშურა, შარშან კი სამშობლოში დაბრუნდა. სწორედ ამ წასვლა-წამოსვლის მიზეზებზე საუბრით დავიწყეთ ინტერვიუ 20 წლის ქართველ ჩოგბურთელთან.

- რუსეთში გადასვლამდეც სამი წლის განმავლობაში იქაური ჩოგბურთის ფედერაცია მაფინანსებდა, რაშიც მენეჯერი მეხმარებოდა. სწორედ მისი მოთხოვნა იყო, მოსკოვში გადავსულიყავი. ეს უსიამოვნო პროცესი რამდენჯერმე გადავავადე, სანამ ალტერნატივის წინაშე არ დავდექი: ან რუსეთში გადავსულიყავი, ან ჩოგბურთის თამაშისთვის თავი დამენებებინა, რადგან საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია ვერ მეხმარებოდა, მშობლები კი უსახსრობის გამო ველარ მაფინანსებდნენ. ცხადია, მეც პირველი ვარჩიე. 11 თვე გამოვდიოდი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების სახელით.

**- უკან დაბრუნება რა მიზეზით მოხდა?**

- შარშან აგვისტოში თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მაშინდელ პრეზიდენტ ლეილა მესხს შევხვდი. მან მირჩია სამშობლოში დაბრუნება, თანადგომასაც შემპირდა და მეც ბევრი არ მიფიქრია. თბილისის ორივე ტურნირში ჩვენი ქვეყნის სახელით ვიასპარეზე. მერე ტიუმენში გავემგზავრე. იქ პირველი წრე გავიარე. მეორეში საუკეთესო ასეულის წევრ ილია მარჩენკოს დავუპირისპირდი. ტურნირის დაწყებამდე გავცივდი და იმ დღეს კორტზე მაღალი სიცხით გავედი. სამწუხაროდ, პირველი სეტის ჩამთავრებაც ვერ შევძელი. კრემლის თასის საკვალიფიკაციოშიც მხოლოდ ერთ მეტოქეს ვძლიე, სამაგიეროდ, ანთალიაში ზედიზედ ორი 10.000-იანი


ნიკოლოზ ბასილაშვილი

ტურნირი მოვიგე. მსოფლიო რეიტინგშიც 16 საფეხურით დავწინაურდი და ახლა 264-ე ვარ. ხელშეწყობა რომ მქონოდა, მეტის მიღწევა შემეძლო.

**- კი მაგრამ, ფედერაცია ხომ შეგპირდა დახმარებას?**

- არ ვიცი, რა მიზეზით, შეპირება, სამწუხაროდ, შეპირებად დარჩა. ერთადერთი ამჟამინდელი სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი დამიდგა გვერდით - გამომიძებნა ორგანიზაცია, რომელიც ერთჯერადი დახმარებით შემეწია.

**- ალექსანდრე მეტრეველის ჩოგბურთის აღორძინების ფონდი?**

- ბატონმა ალექსანდრე მეტრეველმა-უფროსმა დახმარებაზე უარი მითხრა - რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება გაკავშირებს და მისი ვალიც გაქვსო. ეს არ არის მართალი. რუსეთის ფედერაციიდან ნახევარი წელიწადია, წამოვედი. ვალი რომ მქონოდა, ამ ხნის განმავლობაში ვინმე შემეხმიანებოდა, ვინ შემარჩენდა. ჩვენს ფედერაციას ჯერ ახალი ბიუჯეტი არ დაუმტკიცებია, ამიტომ კონკრეტულს ვერაფერს მეუბნებიან. ისე, ახალ პრეზიდენტს - ალექსანდრე მეტრეველ-უმცროსს სურს დამეხმაროს. მეც მისი იმედი მაქვს.

**- სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?**

- ორი კვირაა, „ოლიმპიკის" კორტებზე ინტენსიურად ვემზადები იტალიური ბერგამოს ვაჟთა 50.000-იანი საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც 2 თებერვალს დაიწყება. ორიოდე დღეში გაირკვევა, ძირითად ბადეში ვითამაშებ თუ საკვალიფიკაციოში. აპენინებიდან ამერიკაში გავემგზავრები „ინდიან-უელსის" ტურნირზე. ოკეანის გაღმა ოთხ ჩელენჯერის ტურნირში მივიღებ მონაწილეობას. დანარჩენს დრო და ფინანსები გვიჩვენებს.

**ვაჟა დანელია**

# პარიზშიც ხელი მოეცარა

ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა** ავსტრალიის ღია პირველობის სტარტზე დამარცხებისთვის შარშან მწვანე კონტინენტზევე მოპოვებული 100 ქულა დაკარგა და 1045 ქულით 54-დან 56-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მას მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესება პარიზის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) შეეძლო, მით უმეტეს, რომ საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრად იყო განთესილი. ყოველივეს მიუხედავად, ტატიშვილმა, რომელმაც, ეტყობა, შარშანდელი ტრავმის შემდეგ სპორტული ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო, კვალიფიკაციის სტარტზე იტალიელ მარია ელენა კამერინთან წააგო - 6:7, 5:7.

ასევე წარუმატებლად ითამაშეს ეილათის (ისრაელი) 75.000-იან ტურნირში **სოფიო შაფათავამ და მაკა ჩახნაშვილმა**, რომლებიც როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა პაექრობებს გამოეთიშნენ. ახლა ისინი ფედერაციის თასის პირველი ლიგის შეჯიბრებისთვის მოემზადებიან. იქვე 6-9 თებერვალს სოფიო ქვაცაბაიასა და ეკა გორგოძესთან ერთად საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებენ.

მსოფლიოს ქალთა განახლებულ რეიტინგში ქართველთა საკლასიფიკაციო მდგომარეობა ასეთია: 301 (305). **სოფიო შაფათავა** (153 ქულა), 401 (398). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (92), 408 (410). **ოქსანა კალაშნიკოვა** (89), 448 (408) **სოფიო ქვაცაბაია** (77), 524 (524). **ეკატერინე გორგოძე** (55), 714 (711). **ნათია გეგია** (28), 1157 (1153). **ანი გოგვაძე** (3).

**ვაჟა დანელია**


ანა ტატიშვილი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

კალათბურთი

დარჩა 217 დღე

ევრობასკეტი. სლოვენია 2013

# საქართველოს 2011 წლის შედეგის გამეორება შეუძლია

## ხედი სლოვენიიდან: ჩვენი ჯგუფის მწვრთნელები

ევრობასკეტის ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნდა საინტერესო სტატია, რომელშიც C ჯგუფის ექვსი მწვრთნელი მოკლედაა დახასიათებული. შეგახსენებთ, რომ ამ ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად ესპანეთი, ხორვატია, პოლონეთი, სლოვენია და ჩეხეთი ითამაშებენ. გავეცნოთ სტატიას და ვნახოთ, როგორ ახასიათებენ ჩვენი ნაკრების თავკაც **იგორ კოკოშკოვს**.

„C ჯგუფში მწვრთნელთა საინტერესო ექვსეული შეიკრიბა. მათი მისამართით დღესვე არსებობს უამრავი შეკითხვა. განსაკუთრებით ესპანელთა ახალ მწვრთნელ **ხუან ანტონიო ორენგასა** და სლოვენიელ **ბოჟიდარ მალიკოვიჩის** მიმართ. მათ ხომ ყველა მედალს სთხოვს.



ხუან ანტონიო ორენგა



ბოჟიდარ მალიკოვიჩი




იგორ კოკოშკოვი

### პოლონეთი

გერმანელი **დირკ ბაუერმანი** ევრობასკეტს ახალი გუნდით დაუბრუნდება. თუ აქამდე (ოთხი ევრობასკეტის განმავლობაში) იგი გერმანიას წვრთნიდა, ამჯერად პოლონეთს გაუძღვება.

55 წლის სპეციალისტმა პოლონეთის საზღვარი გამარჯვების ფორმულის შესამუშავებლად გადაკვეთა. „არწივებს" იმედი აქვთ, რომ წარმატებას ბაუერმანის გადასვლიდან პირველივე სეზონში მიაღწევენ, ისევე როგორც გერმანიამ მისი გამოჩენის წელს. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის ევრობასკეტზე ალემანებმა ვერცხლის მედლები მოიგეს.

**დირკ ბაუერმანი** (გერმანია)

| შეჯიბრება | სეზონი | გუნდი | მოგ/წაგ |
|---|---|---|---|
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2011 | გერმანია | 4/4 |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2009 | გერმანია | 1/5 |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2007 | გერმანია | 5/4 |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2005 | გერმანია | 5/2 |
| ევრობასკეტი (საკვალიფიკაციო ეტაპი) | 2005 | გერმანია | 6/0 |

### სლოვენია

ყველაზე დიდი წნეხის ქვეშ სლოვენიელი მწვრთნელი ბოჟიდარ მალიკოვიჩი იქნება, რომლის გუნდი ევროპის ჩემპიონატის მასპინძელია.

სლოვენიელთა სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მათ 2012 წელს ვერც ოლიმპიადაზე ითამაშეს და არც ევრობასკეტის შესარჩევ ტურნირში. მათ გასული ზაფხული გაუცდათ. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მალიკოვიჩი გამოცდილი მწვრთნელია და შემადგენლობაც კარგი ჰყავს. რაც მთავარია - სლოვენია საკუთარ კედლებში ითამაშებს.

**ბოჟიდარ მალიკოვიჩი** (სლოვენია)

| შეჯიბრება | სეზონი | გუნდი | მოგ/წაგ |
|---|---|---|---|
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2011 | სლოვენია | 6/5 |

### ესპანეთი

ესპანელებს განვლილ ორ ევრობასკეტზე **სერჟიო სკარიოლო** გაუძღვა. ევრო-2013-ის წილისყრის შემდეგ მწვრთნელის პოსტზე იგი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ხუან ანტონიო ორენგამ შეცვალა.

გუნდის მიზანი კვლავაც ოქროს მოგებაა, თუმცა წლეულს მხოლოდ მწვრთნელი როდი შეიცვალა - ესპანეთის ნაკრების რამდენიმე წამყვანი კალათბურთელის სლოვენიაში წასვლა ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. ვნახოთ, რამდენად აისახება ცვლილებები ევროპის მოქმედი ჩემპიონების თამაშზე.

**ხუან ანტონიო ორენგა** (ესპანეთი)

| შეჯიბრება | სეზონი | გუნდი | მოგ/წაგ |
|---|---|---|---|
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2011ესპანეთი, თანაშემწე10/1 | | |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2009ესპანეთი, თანაშემწე 7/2 | | |

### ჩეხეთი

ჩეხეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მწვრთნელმა **პაველ ბუდინსკიმ** გაიყვანა. საინტერესოა, რომ ეს სპეციალისტი გუნდში თანაშემწედ 2007 წელსაც მუშაობდა, როცა ჩეხეთმა ბოლოჯერ ითამაშა ევრობასკეტზე. იგი ნაკრებში თავკაცად 2012-ში დაბრუნდა და როგორც ხედავთ, წარმატებულადაც - ჩეხეთი ევრობასკეტის საგზურს დაეუფლა.

ბუდინსკი პარალელურად ჩეხურ კლუბ „დეჩინში" მუშაობს.

**პაველ ბუდინსკი** (ჩეხეთი)

| შეჯიბრება | სეზონი | გუნდი | მოგ/წაგ |
|---|---|---|---|
| ევრობასკეტი (საკვალიფიკაციო ეტაპი) | 2013 | ჩეხეთი | 5/3 |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2007 | ჩეხეთი, თანაშემწე | 0/3 |

### საქართველო

ქართველები ზედიზედ მეორედ ითამაშებენ ევროპის პირველობაზე. მათ ამჯერადაც სერბი **იგორ კოკოშკოვი** გაუძღვებათ. „ფინიქს სანსში" ასისტენტად მომუშავე მწვრთნელის ხელში ქართველებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ - 2011 წელს, ევრობასკეტზე პირველი ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადალახეს და საბოლოოდ მე-11 ადგილი დაიკავეს.

თუ გავითვალისწინებთ ასევე წარმატებულ შესარჩევ ეტაპს (2012-ში), არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ნაკრებმა 2011 წლის შედეგი გაიმეოროს."

**იგორ კოკოშკოვი** (სერბეთი)

| შეჯიბრება | სეზონი | გუნდი | მოგ/წაგ |
|---|---|---|---|
| ევრობასკეტი (საკვალიფიკაციო ეტაპი) | 2013 | საქართველო | 6/2 |
| ევრობასკეტი (ფინალური ეტაპი) | 2011 | საქართველო | 2/6 |
| ევრობასკეტი (საკვალიფიკაციო ეტაპი) | 2011 | საქართველო | 5/3 |
| ევრობასკეტი (საკვალიფიკაციო ეტაპი) | 2009 | საქართველო | 7/1 |




ჟასმინ რეპეშა



დირკ ბაუერმანი



პაველ ბუდინსკი

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ახალგაზრდებმაც განაახლეს

**შსს აკადემია-ჰიუნდაი 55:61**

15:11, 6:17, 16:22, 18:11

**შსს აკადემია:** ჟორჟოლიანი (19ქ), რ. როგავა (16ქ, 7მ, 3პ), მეგრელაძე (ქ, 5მ), ლოლიშვილი (3ქ, 11მ, 3პ), რევ. როგავა, მირზიაშვილი (2ქ), კენჭიაშვილი (4ქ, 5მ), პულუზაშვილი (7ქ, 15მ, 4დ), დ. როგავა.

**ჰიუნდაი:** ტომარაძე (12ქ, 10მ), სანაძე, ლომიძე (4პ), ზაქრაძე (12ქ, 6მ), გიორგაძე (14ქ, 9მ, 5პ), სალაყაია (1ქ), ბოლქვაძე (15ქ, 8მ), ბუთხუზი (7ქ, 7მ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ოლიმპი-რუსთავი 67:60**

10:9, 17:20, 16:14, 24:17

**ოლიმპი:** ნადირაძე (16ქ, 7მ), ფხაკაძე (13ქ, 13მ, 3პ), გ. ბაქრაძე, იაშვილი (6ქ, 4პ), სამნიაშვილი, გოგოძე (8ქ), იაკობიძე (2ქ), ცირეკიძე (12ქ), აბულაძე (4ქ, 4პ), ნ. ბაქრაძე (2ქ), ლობჟანიძე (4ქ, 8მ, 4ჩ).

**რუსთავი:** დვალი (11ქ), ოქროჭელიძე (9ქ, 10მ, 4პ, 3ჩ), ლორთქიფანიძე (11ქ), ქიტოშვილი (7ქ, 7მ), ურიდია (7ქ, 13მ), ნარჩომაშვილი (6ქ), ხატიაშვილი (9ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**დინამო-სოხუმი 60:57**

22:15, 10:14, 13:17, 15:11

**დინამო:** გელაზონია (21ქ, 10მ), დოლიძე (10ქ, 10მ), ამირხანაშვილი, ლილუაშვილი (5ქ, 6პ), ორმოცაძე (12ქ, 8მ), ამონაშვილი, ლუდუშაური (7ქ, 4პ), ელისაბედაშვილი (5მ), გაბისონია (5ქ).

**სოხუმი:** არაბული (16ქ, 12მ), გაგნიძე (11ქ, 10მ), მეგენეიშვილი (4ქ, 3პ), გაფრინდაშვილი (8ქ, 4ჩ), ჯინჭარაძე (8ქ, 7მ), გოლეთიანი (3ქ), მუჟნიექსი (7ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 714/589 | 18 |
| 2. შსს აკადემია | 10 | 7 | 3 | 651/604 | 17 |
| 3. სოხუმი | 10 | 6 | 4 | 695/674 | 16 |
| 4. დინამო | 10 | 4 | 6 | 674/720 | 14 |
| 5. ჰიუნდაი | 10 | 3 | 7 | 685/772 | 13 |
| 6. რუსთავი | 10 | 2 | 8 | 716/776 | 12 |

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი წინა წლებშიც საინტერესოდ მიმდინარეობდა, თუმცა წლევანდელი გათამაშება განსაკუთრებულია. მასში მხოლოდ 6 გუნდი მონაწილეობს და კალათბურთელები მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან განაწილებულნი.

2013 წლის პირველი მატჩები 29 იანვარს გაიმართა და ერთმანეთზე დაძაბულად წარიმართა. თავად განსაჯეთ: ერთი წყვილი სატურნირო ცხრილის სათავესა („შსს აკადემია") და ფსკერზე („ჰიუნდაი") მდებარე გუნდებმა შეადგინეს. გამარჯვება ჰიუნდაელებს დარჩათ, რითაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ფავორიტის თუ აუტსაიდერის სტატუსი 20-წლამდელთა ჩემპიონატში უბრალო ფორმალობაა. მატჩის ბომბარდირი 19 ქულით აკადემიელი **თორნიკე ჟორჟოლიანი** გახდა, ერთადერთი ორმაგი დუბლი კი ჰიუნდაელმა **კახა ტომარაძემ** შეასრულა.

„ოლიმპმა" „შსს აკადემიის" მარცხით ისარგებლა, „რუსთავს" დაძაბულ ბრძოლაში 67:60 სძლია და სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად გალიდერდა. თავის მხრივ, რუსთაველებს თბილისური მარცხი ბოლო საფეხურზე ჩამოქვეითებად დაუჯდათ. ორმაგი დუბლით გამოირჩა ოლიმპელი **თემურ ფხაკაძე** - 13 ქულა, 13 მოხსნა.

ცხრილის შუაში მყოფი „დინამოსა" და „სოხუმის" შეხვედრა თავიდან ბოლომდე ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. ბოლო წუთებზე მეოთხეადგილოსანმა „დინამომ" მესამეადგილოსან „სოხუმს" 60:57 სძლია, რაშიც დიდი წვლილი **შოთა გელაზონიას** მიუძღვის. მის ანგარიშზე 21 ქულა და 10 მოხსნაა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ეროვნულ ნაკრებს საკუთარი სტადიონი სჭირდება

**საქართველოში წლევანდელი სარაგბო სეზონი ეროვნული ნაკრების მატჩებით გაიხსნება. „ბორჯღალოსნები“ ევროპის ერთა თასის გათამაშებაში ჩაებმებიან, რომელიც, ამავდროულად, 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიცაა. შეჯიბრება მომავალ უქმეებზე დაიწყება. ოდნავ მოგვიანებით, საქართველოს ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპიც განახლდება. საქართველოს რაგბის კავშირი ახალ სეზონს რამდენიმე სიახლითა და ძველი პრობლემებით ხვდება. ახლახან, ქართული რაგბის ხელმძღვანელები ვიზიტით დუბლინში, რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფისში იმყოფებოდნენ, სადაც ჩვენთვის რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი განიხილეს და, რაც მთავარია, დადებითად გადაწყვიტეს ის. იმ სიახლეებზე, რაც ამ ვიზიტს მოჰყვება და დღემდე გადაუჭრელ პრობლემებზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**

- სანამ დუბლინში გავემგზავრებოდით, შევიტყვეთ, რომ IRB-ის აღმასკომმა განვითარებული რაგბის კავშირების რიგებში საქართველოს შეყვანა გადაწყვიტა. თუმცა აქ ერთი პირობაა - ამ სტატუსს ატარებ მანამ, სანამ მსოფლიოს თასის გათამაშების მონაწილე ხარ. მეორენაირად, თუ 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზური ვერ მოვიპოვეთ, უმაღლესი რანგის ქვეყნებს შორის ყოფნის უფლებას დავკარგავთ.

**- რა სიკეთე მოაქვს ჩვენი რაგბის კავშირისთვის უმაღლესი რანგის სტატუსის მინიჭებას?**

- ამის შედეგად გაიზრდება IRB-დან რაგბის კავშირის დაფინანსება. თუ აქამდე გრანტის სახით 300 ათას გირვანქა სტერლინგს ვიღებდით, ამიერიდან 450 ათას გირვანქას მივიღებთ.

**- ცნობილია, რომ ეს თანხა გრანტის სახით გამოიყოფა და ის მიზნობრივად უნდა დაიხარჯოს. რას მოხმარდება გაზრდილი დაფინანსება?**

- დიახ, თანხა მიზნობრივია და რაგბის საერთაშორისო საბჭომ თავად განგვისაზღვრა მისი დასახარჯი მიმართულებები. ამ ფულით უკვე ჩამოვიყვანეთ ფიზმომზადების ინგლისელი მწვრთნელი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში „შევარდენის სარაგბო აკადემიაში“ იმუშავებს. ის ასაკობრივ ნაკრებებს გაწვრთნის, პარალელურად თავის ცოდნას გადასცემს სპეციალურად შერჩეულ მწვრთნელთა ჯგუფს.

**თბილისში ტურნირის გამართვა უკვე გადაწყვეტილია. ამ შეჯიბრებას „თბილისის თასი“ დაერქმევა და ის ტრადიციულად, ყოველი წლის ივნისში გაიმართება**

ამავე თანხით უნდა ჩამოვიყვანოთ ფიზიოთერაპევტი, ეს დარგი საქართველოში ჩავარდნილია. სპეციალისტს თავად რაგბის საერთაშორისო საბჭო შეგვირჩევს. ისიც „შევარდენის სარაგბო აკადემიაში“ იმუშავებს და იმავე ფუნქციებით იქნება დატვირთული.

განზრახული გვაქვს უცხოელი მსაჯების საქართველოში მოწვევა. ჩემპიონატის მეორე ეტაპის განახლებისთანავე გვეწვევა ახალზელანდიელი მსაჯი, რომელიც სეზონის დასრულებამდე დარჩება საქართველოში. ამის შემდეგ, IRB და ირლანდიის რაგბის კავშირი ერთობლივად დაგვეხმარებიან მსაჯთა განვითარების პროგრამის განხორციელებაში. ამ გეგმის მიხედვით, საქართველოში ათ-ათი დღით ჩამოვა ექვსი ერის ქვეყნების ორ-ორი მსაჯი, რომლებიც მატჩების განსჯასთან ერთად, ადგილობრივ არბიტრებს სემინარებს ჩაუტარებენ. ეს ხარჯებიც ამ გაზრდილი დაფინანსებიდან უნდა გავიღოთ.

ამასთან ერთად, უნდა შევიძინოთ ულტრათანამედროვე ვიდეოანალიზისა და მოთამაშეთა საინფორმაციო ბაზის მართვის პროგრამები. ეს უკანასკნელი საშუალებას მოგვცემს მუდმივად ვაკონტროლოთ დაახლოებით 250 ახალგაზრდა მოთამაშის მდგომარეობა, მათი ფიზიკური კონდიციები, უნარ-ჩვევები, პროგრესი ან რეგრესი. დავიქირავებთ ვიდეოანალიზის სპეციალისტს. ასევე ამ გრანტის მეშვეობით შეგვეძლება მოკლევადიანი ვიზიტით მოვიწვიოთ სპეციფიკური მიმართულების მწვრთნელები. მაგალითად, ფეხით თამაშის, დერეფანში თამაშისა და სხვადასხვა პოზიციის სპეციალისტები.

IRB-მ გამოგვიყო დამატებითი თანხა - 250 ათასი გირვანქა სტერლინგი, რომლითაც მარტყოფის სარაგბო ბაზისთვის ხელოვნურსაფრიან მოედანს შევიძენთ.

**- დიდი ხანია ლაპარაკობდნენ თბილისში საერთაშორისო ტურნირის გამართვის შესახებ...**

- თბილისში ტურნირის გამართვა უკვე გადაწყვეტილია. ამ შეჯიბრებას „თბილისის თასი“ დაერქმევა და ის ტრადიციულად, ყოველი წლის ივნისში გაიმართება. წლეულს ტურნირი სტარტს 7 ივნისს აიღებს. საქართველოს ნაკრების მეტოქეებიდან ჯერ მხოლოდ ორია ცნობილი. ირლანდიისა და იტალიის A ნაკრებები აუცილებლად გვეწვევიან, მესამე გუნდს კი IRB მოგვიანებით შეარჩევს.

ამასთან ერთად, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო IRB-ის რეგულირების მე-11 პუნქტში შეტანილი ცვლილება, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირის ინიციატივით მოხდა. აქამდე, ნაკრებ გუნდებს მხოლოდ ერთი სპონსორის ლოგოს განთავსების უფლება ჰქონდათ. ჩვენ წინადადებით მივმართეთ - მოეცათ სპონსორების რიცხვის გაზრდის უფლება. IRB-მ ინიციატივა განიხილა და გადაწყვიტა - გუნდებს ნება დართოს სათამაშო ფორმაზე ექვს ადგილას განათავსოს სპონსორის ლოგო. ეს რეგულაცია არ ეხება მსოფლიოს თასის გათამაშებას. იქ სპონსორის რეკლამა მხოლოდ სავარჯიშო ფორმაზეა ნებადართული. ეს ყოველივე საშუალებას მოგვცემს, რაც შეიძლება მეტი სპონსორი მოვიზიდოთ.

**- ივნისის ტურნირის გარდა, საქართველოს ნაკრებს ნოემბერში ორი ტესტ მატჩი უნდა გაემართა, თუმცა თქვენ მესამეს ჩატარებაც მოითხოვეთ...**

- მინდა გამოვეხმაურო „თბილისის ფორუმზე“ მწერალ რაგბის ქომაგებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ჩვენი ნაკრების ტესტ მატჩების რაოდენობითა და მეტოქეთა ხარისხით. ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ნაკრებებს, რომლებსაც, სხვათა შორის, ნოემბერში თბილისში ვუმასპინძლებთ, აქამდე არ ჰქონდათ რეგიონული ტურნირი, დაახლოებით ისეთი, როგორიც ჩვენი ერთა თასია. ისინი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ ტესტებს და მერე „ჩერჩილის თასზე“ წამყვანი სარაგბო ქვეყნების A ნაკრებებს ეპაექრებოდნენ.

ეს ტურნირი IRB-მ გააუქმა და კანადისა და აშშ-ის ნაკრები „წყნარი ოკეანის ერთა თასზე“ დაუშვა. ეს გადაწყვეტილება, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული პრინციპითაა განპირობებული. რაგბის საერთაშორისო საბჭოს ეგიდით გამართული ტურნირების ხარჯებს ეს ორგანიზაცია თავად ფარავს და, ამიტომ, ამ ორი ქვეყნის „წყნარი ოკეანის ერთა თასზე“ დაშვება მისთვის ფინანსურად ხელსაყრელია.

**საქართველოს ჩემპიონატში მდგომარეობა საგანგაშოა. უმაღლესი ლიგის ათი გუნდის ბიუჯეტი საშუალოდ 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე მერყეობს**

ჩვენ გვაქვს საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება, ზაფხულში გავემგზავრებით არგენტინაში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან სათამაშოდ. ნოემბერში გვექნება სამი ტესტ მატჩი მაღალი დონის გუნდებთან. ვფიქრობ, რომ ჩვენი რაგბის პროგრესისთვის ეს ძალიან კარგია.

ამასთან ერთად, მაისში ჩამოდის სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, იოჰანესბურგის „ლაიონზი“, რომელსაც ზე რაგბის გათამაშებაში ასპარეზობის უდიდესი გამოცდილება აქვს. „ლაიონზს“ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეთა ნაკრებს დავუპირისპირებთ.

**- ირლანდიაში Emerald Cultural Institute-თან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ. რამდენად ნაყოფიერი გახდება ის სამომავლოდ?**

- Emerald Cultural Institute განათლების სფეროში საქმიანობს. მისი ინიციატივით ირლანდიის ექვსი თუ შვიდი კოლეჯი დავათვალიერეთ, სადაც სწავლა და რაგბი უმაღლეს დონეზეა. ჩვენი ურთიერთობის პირველი შედეგი ის იქნება, რომ ოქტომბერში St. Michael's College-ს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები გვეწვევა და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბრება. ჩვენი გუნდისთვის ეს შესანიშნავი საკონტროლო მატჩი იქნება ევროპის ჩემპიონატის წინ.

გარდა ამისა, თუ შევძლებთ სპონსორის მოძიებას, გვინდა საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ამ კოლეჯში ორი კვირით მივავლინოთ. მორაგბეები ინგლისური ენის კურსებს გაივლიან და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის, „ლენსტერის“ მწვრთნელების მეთვალყურეობით ივარჯიშებენ. ცხადია, გუნდთან ერთად გაემგზავრებიან მწვრთნელებიც, რომლებიც დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას შეიძენენ. ჩვენი 15-წლამდელთა ნაკრები იქვე ორ მატჩს გამართავს თანატოლთა გუნდებთან.

**- მოდით ჩვენს ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. მალე ერთა თასის გათამაშება დაიწყება. გუნდი კაპიტნის გარეშეა დარჩენილი. ვინ შეცვლის ირაკლი აბუსერიძეს?**

- ირაკლი აბუსერიძემ გადაწყვიტა რაგბის თამაშს თავი დაანებოს. მთელი საქართველოს სახელით, ვისაც უყვარს და ქომაგობს რაგბის, მინდა მას უდიდესი მადლობა გადავუხადო, როგორც შესანიშნავ მორაგბეს, პიროვნებასა და კაპიტანს. მან მრავალი წლის განმავლობაში ქართულ რაგბის შეალია თავისი ენერგია და ჯანმრთელობა. თანაგუნდელებთან ერთად გახდა მრავალი დიდი გამარჯვების შემოქმედი. მიმაჩნია, რომ აბუსერიძე საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო კაპიტანი იყო.

ძლიერ მწყდება გული, რომ მას მოედანზე ველარ ვიხილავთ, თუმცა ის ნაკრებიდან არ წასულა. გადავწყვიტეთ, ირაკლი ეროვნული გუნდის კომუნიკაციის მენეჯერად დავნიშნოთ. მის მოვალეობაში შედის კომუნიკაციის უზრუნველყოფა როგორც მოთამაშეებსა და მწვრთნელებს, ასევე მოთამაშეებსა და რაგბის კავშირს შორის. მას ექნება მუდმივი კავშირი ლეგიონერებთან. ამასთან ერთად, ირაკლი აბუსერიძე საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრია.

სავარაუდოდ, ესპანეთის ნაკრებთან მატჩისას, მას საზეიმოდ გავაცილებთ. დარწმუნებული ვარ, რაგბის ქართველი ქომაგი მას სათანადო პატივს მიაგებს. გუნდის ახალი კაპიტნის ვინაობა კი, მწვრთნელებისა და წამყვანი მოთამაშეების კონსულტაციის შემდეგ გაირკვევა.

**- ეროვნულ ნაკრებს საკუთარი მოედანი არ აქვს. სად უნდა ითამაშონ „ბორჯღალოსნებმა“?**

- თბილისში სულ ორი სტადიონია, „მიხეილ მესხის სახელობის“ და „დინამო არენა“. ჩვენ გადავუგზავნეთ ნაკრების თამაშების კალენდარი ფეხბურთის ფედერაციას და აღმოჩნდა, რომ სამწუხაროდ, ჩვენი და ფეხბურთის მატჩების უმრავლესობა ერთმანეთს ემთხვევა. ჯერჯერობით გადაწყვეტილია, რომ „მიხეილ მესხის სახელობის“ სტადიონზე ვითამაშებთ სამ მატჩს: 9 თებერვალს პორტუგალიასთან და ორ ტესტს ნოემბერში.

9 მარტს, როცა ესპანეთის ნაკრებს ვმასპინძლობთ, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი იწყება და „დინამო არენა“ დაკავებულია. ამიტომ იძულებულნი ვართ, ეს შეხვედრა „ავჭალის სტადიონზე“ გავმართოთ. რუსთავის სტადიონი უფრო მეტ მაყურებელს იტევს, მაგრამ იქ მინდორი ჯერ ისევ არ არის სათანადო მდგომარეობაში.

პრობლემები გვაქვს ივნისის ტურნირთან დაკავშირებით. 11 და 16 ივნისს „დინამო არენა“ თავისუფალია, მაგრამ სტადიონის დირექციის თხოვნით, იქ დღეში მხოლოდ თითო მატჩის გამართვაა შესაძლებელი. პირველი ტურის მატჩებს კი სად ვითამაშებთ წარმოდგენა არ მაქვს.

ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ ჩვენი აღიარება მრავალ დეტალთანაა დაკავშირებული, მათ შორის ქვეყანაში რაგბის პოპულარობასთანაც. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენი ნაკრების თამაშზე თბილისში 18 ათასი მაყურებელი დადის. ამ მაჩვენებლის ორ ათასამდე ჩამოვარდნას, ცხადია, კარგი რეაქცია არ მოჰყვება. არაფერს ვამბობ იმ გულშემატკივრებზე, რომლებიც საყვარელ გუნდს უშუალოდ სტადიონიდან ვერ უქომაგებენ და ამ სიამოვნებას მოვაკლებთ.

**ირაკლი აბუსერიძემ გადაწყვიტა, რაგბის თამაშს თავი დაანებოს. მთელი საქართველოს სახელით, ვისაც უყვარს და ქომაგობს რაგბის, მინდა მას უდიდესი მადლობა გადავუხადო, როგორც შესანიშნავ მორაგბეს, პიროვნებასა და კაპიტანს**

გამოსავალი არის ერთი - საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს უნდა აუშენონ 25-30-ათასიანი სტადიონი. საქართველოში არ მეგულება არავინ, ვინც იტყვის, რომ ქართული რაგბის თემმა ეს არ დაიმსახურა. უფრო მეტიც, თუ ეროვნულ ნაკრებს თავისი სტადიონი არ ექნება, ქართული რაგბი ვერ განვითარდება. ეს არის სასწრაფოდ გადასაწყვეტი საკითხი.

მინდა, რომ თავისი აზრი ამ საკითზე რაგბის ქომაგებმაც გამოთქვან. ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობენ ისინი.

**- ეროვნული ნაკრების მატჩებს საქართველოს ჩემპიონატის განახლებაც მოჰყვება. რა მდგომარეობაში არიან დღეს ქართული კლუბები?**

- მდგომარეობა საგანგაშოა. უმაღლესი ლიგის ათი გუნდის ბიუჯეტი საშუალოდ 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე მერყეობს და ისიც, სახელმწიფოს განვითარების პროგრამის მიხედვით გაცემული პრემიალური თანხებია. გუნდები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. თუ ასე გაგრძელდა, მალე დაიწყება მასობრივი მიგრაცია. რაც ყველაზე სამწუხაროა, მორაგბეების უმრავლესობა მიაშურებს დაბალგანვითარებულ სარაგბო ქვეყნებს, სადაც ჩვენთან შედარებით გაცილებით მეტს გადაუხდიან.

ვითარების გაუმჯობესებისთვის საწყის ეტაპზე სასწრაფოდ მოსაზიდია 300 მილიონი ლარი, რომელსაც უმაღლესი ლიგის გუნდებს თანაბრად გავუნაწილებთ. ეს თანხა, ცხადია, საკმარისი არ იქნება ფუფუნებაში საცხოვრებლად, თუმცა გუნდებს საშუალებას მისცემს მორაგბეები შეინარჩუნონ. თუ კლუბები თავადაც მოიძიებენ სპონსორებს, ცხადია, ეს მათ პროგრესს შეუწყობს ხელს.

საერთოდ, სპონსორების მოძიება საქართველოში ძალიან გართულდა. რაგბის კავშირი სულაც ორი სპონსორის ამარა დარჩა. მინდა მივმართო იმათ, ვისაც ეს ხელეწიფება - მოგვეხმარეთ ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში.



**ბესიკ ჯანგავაძე**

# უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

## კვირის მოთამაშეები

„ჩიკაგო ბულზისა“ და “სან ანტონიო სპურსის” მცველები – **კაირი ირვინგი** და **ტონი პარკერი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი ირვინგი გასულ კვირას მთლიანად ლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო 35.7 ქულით. გასული სეზონის საუკეთესო ახალბედა თამაშიდან 61.2 პროცენტის სიზუსტით ისროდა (67-დან 41) და აგრეთვე, საჯარიმოების 95 პროცენტი (20-დან 19) გამოიყენა.

პარკერის კარგი თამაშის წყალობით, “სან ანტონიომ” გასულ კვირას ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. ფრანგმა მცველმა საშუალოდ მატჩში 24.5 ქულა და 9.5 პასი დააგროვა. თამაშიდან სროლის სიზუსტე 60.6 პროცენტს (66-დან 40) უდრიდა.



კაირი ირვინგი

### ირვინგის კვირა

**22 იანვარი. კლივლენდი-ბოსტონი 95:90.** 40 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა.

**25 იანვარი. კლივლენდი-მილუოკი 113:108.** 35 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა.

**26 იანვარი. ტორონტო-კლივლენდი 98:99.** 32 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი.

### პარკერის კვირა

**21 იანვარი. ფილადელფია-სან ანტონიო 85:90.** 20 ქულა, 8 პასი.

**23 იანვარი. სან ანტონიო-ნიუ ორლეანი 106:102.** 24 ქულა, 13 პასი, 4 მოხსნა.

**25 იანვარი. დალასი-სან ანტონიო 107:113.** 23 ქულა, 10 პასი, 4 მოხსნა.

**26 იანვარი. სან ანტონიო-ფინიქსი 108:99.** 31 ქულა, 7 პასი, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კაილ კორვერი** (“ატლანტა”), **ჯოშ სმიტი** („ატლანტა“), **ტაი ლოუსონი** (“დენვერი”), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი“), **ერსან ილიასოვა** (“მილუოკი”), **რაიან ანდერსონი** (“ნიუ ორლეანი”), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“) და **ნიკოლა ბატუმი** (“პორტლენდი”).

### ტორონტო-გ. სტეიტი 102:114

28:25, 24:27, 30:32, 20:30

ტ: გრეი (22+10 მოხსნა), დეროზანი (21+9 პასი), დევისი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), კალდერონი (11+7 პასი), ანდერსონი (11+3 ჩაჭრა), როსი (11).

გ-ს: ლი (21+12 მოხსნა+7 პასი), ტომპსონი (19+7 მოხსნა), კარი (17+5 პასი), ჰ. ბარნსი (14+5 მოხსნა), ჯეკი (14), ბოგუტი (12+8 მოხსნა+4 დაფარება), ლენდრი (12+5 მოხსნა).

### ფილადელფია-მემფისი 100:103

33:20, 21:37, 25:22, 21:24

ფ: ტერნერი (27+7 პასი), ტ. იანგი (23+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰოლიდეი (18+10 პასი), ნ. იანგი (13).

მ: გასოლი (27+7 მოხსნა+7 პასი), გეი (26+7 მოხსნა+5 პასი), ბეილესი (21+5 მოხსნა+9 პასი), რენდოლფი (4+12 მოხსნა).

### ვაშინგტონი-საკრამენტო 94:96

32:27, 25:26, 19:19, 18:24

ვ: ოკაფორი (23+15 მოხსნა), უოლი (19+6 პასი), უებსტერი (18), სერაფინი (12+7 მოხსნა).

ს: ტომასი (22+7 პასი), გარსია (17+3 ჩაჭრა), ტ. ევანსი (13+5 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), კაზინსი (12), ტომპსონი (11).

### ბრუკლინი-ორლანდო 97:77

30:20, 26:20, 14:23, 27:14

ბ: უილიამსი (20+9 პასი), ლოპესი (16+5 მოხსნა), ჯონსონი (13+5 მოხსნა), ბოგანსი (12), ევანსი (0+10 მოხსნა).

ო: ვუჩევიჩი (18+9 მოხსნა), ჰარკლესი (16+3 ჩაჭრა), დევისი (15+5 მოხსნა), რედიკი (5+10 პასი+6 მოხსნა).

### ჩიკაგო-შარლოტი 93:85

21:18, 28:22, 14:15, 30:30

ჩ: ბატლერი (19+6 მოხსნა), რობინსონი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ნოა (13+18 მოხსნა+7 პასი+5 დაფარება), ბუზერი (13), დენგი (12).

შ: უოკერი (18+6 პასი), გორდონი (18), ედრიენი (14+10 მოხსნა), ჰენდერსონი (10).

### იუტა-ჰიუსტონი 80:125

22:28, 17:29, 20:36, 21:32

ი: ფოიე (12), ფეივორსი (11+5 მოხსნა+3 დაფარება), ჯეფერსონი (10+8 მოხსნა).

ჰ: ჰარდენი (25), მორისი (16), დელფინო (14), ლინი (12+7 პასი+3 ჩაჭრა), პარსონსი (12+3 ჩაჭრა), პატერსონი (12+2 მოხსნა), აშიქი (4+19 მოხსნა).

### დენვერი-ინდიანა 102:101

24:29, 31:24, 27:21, 20:27

დ: გალინარი (27), ლოუსონი (18+7 პასი+5 ჩაჭრა), ბრიუერი (16+3 ჩაჭრა), იგუოდალა (13+10 მოხსნა+7 პასი), მოზგოვი (10), კუფოსი (9+11 მოხსნა+3 დაფარება).

ი: ჯორჯი (23+10 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), სტივენსონი (20+8 მოხსნა), უესტი (17+5 მოხსნა), ჰილი (12+6 პასი), ჰიბერტი (8+11 მოხსნა).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. მაიამი* | 41 | 28 | 13 | 68.3 |
| 2. ნიუ იორკი* | 42 | 27 | 15 | 64.3 |
| 3. ჩიკაგო* | 44 | 27 | 17 | 61.4 |
| 4. ბრუკლინი | 45 | 27 | 18 | 60.0 |
| 5. ინდიანა | 45 | 26 | 19 | 57.8 |
| 6. ატლანტა | 44 | 25 | 19 | 56.8 |
| 7. მილუოკი | 42 | 23 | 19 | 54.8 |
| 8. ბოსტონი | 44 | 21 | 23 | 47.7 |
| 9. ფილადელფია | 44 | 18 | 26 | 40.9 |
| 10. დეტროიტი | 44 | 17 | 27 | 38.6 |
| 11. ტორონტო | 45 | 16 | 29 | 35.6 |
| 12. ორლანდო | 44 | 14 | 30 | 31.8 |
| 13. კლივლენდი | 45 | 13 | 32 | 28.9 |
| 14. შარლოტი | 44 | 11 | 33 | 25.0 |
| 15. ვაშინგტონი | 43 | 11 | 32 | 25.6 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 47 | 36 | 11 | 76.6 |
| 2. ოკლაჰომა* | 45 | 34 | 11 | 75.6 |
| 3. კლიპერსი* | 46 | 33 | 13 | 71.7 |
| 4. მემფისი | 44 | 29 | 15 | 65.9 |
| 5. გ. სტეიტი | 44 | 27 | 17 | 61.4 |
| 6. დენვერი | 46 | 28 | 18 | 60.9 |
| 7. იუტა | 45 | 24 | 21 | 53.3 |
| 8. ჰიუსტონი | 47 | 25 | 22 | 53.2 |
| 9. პორტლენდი | 44 | 22 | 22 | 50.0 |
| 10. ლეიკერსი | 44 | 19 | 25 | 43.2 |
| 11. დალასი | 44 | 19 | 25 | 43.2 |
| 12. მინესოტა | 41 | 17 | 24 | 41.5 |
| 13. საკრამენტო | 46 | 17 | 29 | 37.0 |
| 14. ნიუ ორლეანი | 44 | 15 | 29 | 34.1 |
| 15. ფინიქსი | 45 | 15 | 30 | 33.3 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ქულა

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.6 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 29.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.6 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 26.0 |
| კაირი ირვინგი (კლივ) | 24.2 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 22.5 |
| სტივენ კარი (გ-სტ) | 21.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 20.7 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 20.5 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 12.0 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 11.6 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 10.3 |
| ნიკოლა ვუჩევიჩი (ორლ) | 11.2 |
| ომერ აშიქი (ჰიუ) | 11.2 |
| დევიდ ლი (გ-სტ) | 10.8 |
| ჯეი ჯეი ჰიქსონი (პორ) | 10.8 |
| ტაისონ ჩენდლერი (ნ-იორ) | 10.7 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.2 |

### პასი

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 9.7 |
| გრეივის ვასკესი (ნ-ორლ) | 9.2 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ფილ) | 9.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.4 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.5 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 7.4 |
| ჯამირ ნელსონი (ორლ) | 7.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.1 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.6 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.3 |
| ჯერემი ლინი (ჰიუ) | 2.0 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| კემბა უოკერი (შარ) | 1.9 |
| ბრენდონ ჯენინგსი (მილ) | 1.9 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| ლარი სანდერსი (მილ) | 3.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 2.7 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 2.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ლეი) | 2.4 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუკ) | 2.2 |
| ჟოაკიმ ნოა (ჩიკ) | 2.2 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.2 |
| ჯავალ მაკგი (დენ) | 1.9 |

## ვიზიტი თეთრ სახლში

### რაჟონ რონდო ოქტომბერში დაბრუნდება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ტრადიციას არ უღალატა და თეთრ სახლში მიიღო NBA-ის ჩემპიონი. ამჯერად, პრეზიდენტის სტუმრები იყვნენ “მაიამი ჰიტის” კალათბურთელები, რომლებმაც გასულ სეზონში ხუთ მატჩში მოუგეს ფინალური სერია “ოკლაჰომა თანდერს”.

ცნობილია, რომ ობამა კალათბურთის დიდი თაყვანისმცემელია, ხოლო მისი საყვარელი გუნდი გახლავთ “ჩიკაგო ბულზი”. მაგრამ, თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, მას ერთხელაც არ მიეცა “ხარებისთვის” მილოცვის საშუალება.

მიუხედავად ამისა, ობამამ თბილად მიიღო თეთრ სახლში “მაიამი”. პრეზიდენტმა ფლორიდულ კლუბს, პირველ რიგში, მოედნის მიღმა მუშაობა მოუწონა და მადლობა გადაუხადა “ჰიტს” იმ დახმარებისთვის, რომელიც მან ვაშინგტონის ერთ-ერთ ჰოსპიტალში მოთავსებულ სამხედროებს აღმოუჩინა.

მაიამელები ხელცარიელნი არ მისულან თეთრ სახლში. **ლებრონ ჯეიმსმა** მოთამაშეების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი აჩუქა პრეზიდენტს, **დუეინ უეიდმა** კი “მაიამის” მაისურა წარწერით “ობამას”.

პრეზიდენტი და კალათბურთელები ბევრს ხუმრობდნენ. სახალისო იყო ლებრონ ჯეიმსის გამოსვლის დასასრული. მან თავისი სიტყვა შემდეგი ფრაზით დაასრულა: *“დედა, მე ეს გავაკეთე!”* ამით “მაიამის” ლიდერმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორ უნდოდა საჩემპიონო ბეჭდის მოგება და ქვეყნის პრეზიდენტთან ჩემპიონის რანგში შეხვედრა.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, “ბოსტონ სელტიქსს” სეზონის ბოლომდე გამოაკლდა ძირითადი გამთამაშებელი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **რაჟონ რონდო**, რომელმაც მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა.

გუშინ, ჟურნალისტებს შეხვდა “სელტიქსის” გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი**, რომელმაც განაცხადა, რომ რონდო ოპერაციას უახლოესი 10-14 დღის განმავლობაში გაიკეთებს და მისი დაბრუნება მოედანზე ოქტომბერში, “ბოსტონის” საწვრთნელი ბანაკის დროს იგეგმება. ასე რომ, გამთამაშებელი მოასწრებს მწყობრში ჩადგომას 2013-14 წლების სეზონის სტარტისთვის.




შეხვედრა პრეზიდენტთან

## ბოდიროგა პრეზიდენტად?

### ბარსელონამ ნავარო ორი კვირით დაკარგა

ლეგენდარული სერბი კალათბურთელი **დეიან ბოდიროგა**, შესაძლოა, FIBA-ევროპას ახალი პრეზიდენტი გახდეს. ცნობილია, რომ ამ ორგანიზაციასა და ევროპული ქვეყნების მთელ რიგ ფედერაციებს შორის სერიოზული კონფლიქტი არსებობს და სავსებით შესაძლებელია, რომ დასასრულს მიუახლოვდა ამჟამინდელი პრეზიდენტის, ისლანდიელი **ოლაფურ რაფნსონის** მმართველობის პერიოდი.

ვარაუდობენ, რომ 28 ფედერაცია, რომელმაც, თავის დროზე, სარჩელი შეიტანა FIBA-ევროპას წინააღმდეგ რაფნსონის მიერ რეგლამენტის დარღვევისთვის, ორგანიზაციის უახლოეს გენერალურ ასამბლეაზე ეცდება ლეგენდარული სერბის კანდიდატურის გაყვანას პრეზიდენტის პოსტზე.

აღვნიშნავთ, რომ ბოდიროგას საკალათბურთო კლუბებისა და ნაკრებების მართვის სფეროში დიდი გამოცდილება დაუგროვდა. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, დეიანი გენერალურ მენეჯერად მუშაობდა რომის „ლოტომატიკაში, აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ჰქონდა სერბეთის კალათბურთის ფედერაციაში.

■ ■ ■

„ბარსელონამ“ დაახლოებით 10-15 დღით დაკარგა თავისი წამყვანი მცველი **ხუან კარლოს ნავარო**. ასეთი ვერდიქტი გამოუტანეს კალათბურთელს ექიმებმა, მიზეზი კი მარჯვენა ფეხის ტრავმა გახლავთ, რომელიც მცველმა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში მიიღო.

ასევე უსიამოვნო ამბავი შეიძლება იყოს „ბარსას“ მწვრთნელ **ხავი პასკუალისთვის** ის, რომ გუნდის კიდევ ერთ მცველს **ვიქტორ სადას** აწუხებს ფეხი და მას უახლოეს ორ დღეში სამედიცინო შემოწმება ელის.

ამ რთულ სიტუაციაში, „ბარსელონას“ შეიძლება მშველელად მოევლინოს „კახა ლაბორალის“ ყოფილი მცველი **ბრედ ოლესონი**, რომელთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ კატალონიურმა კლუბმა გუშინ გამოაცხადა.

კრივი

## ლეგენდას გამოწვევა ესროლეს

### კლიჩკოს მიერ გალახულ გერმანელს ჰოლიფილდთან ჩხუბი უნდა

გერმანელმა სუპერმძიმეწონოსანმა **მანუელ ჩარმა** თავისი “ტვიტერის” მეშვეობით ბრძოლის ჩატარება შესთავაზა მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს, ლეგენდარულ ამერიკელს **ევანდერ ჰოლიფილდს**.

ჩარმა ჰოლიფილდს მისწერა, რომ მათ ერთი დაუმთავრებელი საქმე დარჩათ. გერმანელმა მოკრივემ ამერიკელს შეახსენა, რომ 2011 წელს მათი ბრძოლა ჩაიშალა. *“ხომ არ გსურს ჩემთან ჩხუბი 2013 წელს?”* – დასვა შეკითხვა 28 წლის ჩარმა. თუმცა, ჯერჯერობით, 50 წლის ჰოლიფილდს არანაირი რეაგირება არ ჰქონია მანუელის წინადადებაზე.



მანუელ ჩარი

ჩარის “ტვიტერის” ერთ-ერთმა მკითხველმა ასეთი რჩევა მისცა გერმანელ მოკრივეს – მან ბრძოლა ჩაატაროს ბრიტანელ **დერეკ ჩისორასთან**. საპასუხოდ, ჩარმა ჩისორას “ლუზერი” უწოდა და დაამატა, რომ ბრძოლა უნდა **დევიდ ჰეისთან** ან **ვიტალი კლიჩკოსთან**. მას ასევე სურს შეხვედრა **ტაისონ ფიურისა** და **დევიდ პრაისის** შორის ბრძოლაში გამარჯვებულთან.

ჩარმა პროფესიულ რინგზე 23 ბრძოლა ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა – 2012 წლის სექტემბერში, მოსკოვის რინგზე დათმო შეხვედრა უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსთან**.

ჰოლიფილდის ანგარიშზეა 57 ბრძოლა, საიდანაც მან 44 მოიგო (29 – ნოკაუტით), 10 ბრძოლაში დამარცხდა და ორში ფრე დაფიქსირდა. ევანდერმა არაერთხელ განაცხადა, რომ ძალიან უნდა საჩემპიონო ბრძოლის ჩატარება ვიტალი ან ვლადიმერ კლიჩკოსთან, მაგრამ უკრაინელი ძმები უარს ამბობენ ამერიკელის წინააღმდეგ რინგზე გასვლაზე და ამას ევანდერის მიმართ პატივისცემით ხსნიან.

ჩოგბურთი



ბერნარდ ტომიჩი

## მისთვის საჭე არ შეიძლება

20 წლის ავსტრალიელ ჩოგბურთელს **ბერნარდ ტომიჩს** გუშინ, მშობლიურ ქალაქ გოლდ კოსტში მართვის მოწმობა ჩამოართვეს. საგზაო პოლიციამ ჩოგბურთელი სიჩქარის გადაჭარბებისთვის დასაჯა.

ეს არ არის ტომიჩის პირველი პრობლემა საგზაო პოლიციასთან. შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, ავსტრალიელს კონფლიქტი ჰქონდა სამართალდამცავებთან. სასამართლო გარჩევის შედეგად, ბერნარდს გასულ თვეში დაუბრუნეს მართვის მოწმობა 12-თვიანი გამოსაცდელი ვადის პირობით. მაგრამ მორიგმა დარღვევამ გამოიწვია 220 დოლარის ოდენობის ჯარიმა და მართვის მოწმობის ჩამორთმევა.

სხვათა შორის, ტომიჩმა შარშან “ფერარი” შეიძინა და ბუნებრივია, უჭირს სისწრაფის ლიმიტის დაცვა...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სამი ვარსკვლავი



პატრიკ მარლო შეუჩერებელია

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ახალ სეზონში პირველად დაასახელა კვირის სამი ვარსკვლავი.

პირველი ვარსკვლავის სტატუსი წილად ხვდა „სან ხოსეს" ფორვარდ **პატრიკ მარლოს**, რომელიც ლიდერობს რეგულარულ ჩემპიონატს ცხრა გოლითა და 13 ქულით. მარლო ოტაველი **კაი დენენის** (1917-18) შემდეგ გახდა მეორე მოთამაშე ლიგის ისტორიაში, ვინც სეზონის სტარტზე ზედიზედ ოთხ მატჩში შეძლო დუბლის შესრულება. პატრიკი ზედიზედ ხუთი თამაშია უგოლოდ არ ტოვებს მოედანს, რაც „სან ხოსეს" ისტორიაში არავის გაუკეთებია, 2008 წლიდან მოყოლებული კი ასეთი შედეგი მხოლოდ ორ ჰოკეისტს ჰქონდა - სენტლუისელ **კიტ ტკაჩუკსა** (ექვსი მატჩი) და ბაფალოელ **ტომაშ ვანეკს** (ხუთი მატჩი).

მეორე ვარსკვლავი გახდა „ჩიკაგოს" მეკარე **კორი კროუფორდი**, რომელმაც თავის გუნდს ხუთ მატჩში მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 1.78 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.3 პროცენტს იგერიებდა.

მესამე ვარსკვლავი - „ტამპას ბეის" ფორვარდი **მარტინ სან ლუი** მეორეა ლიგაში რვა შედეგიანი პასით და მესამე - 11 დაგროვილი ქულით. მისი დიდი წვლილია იმაში, რომ „ლაითნინგმა" სეზონის სტარტზე ხუთიდან ოთხ მატჩში გაიმარჯვა.

**კაროლინა-ბოსტონი 3:5**

1:2, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 მარჩანდი-3 (ხარა-2, პ. ბერჟერონი-2), 0:2 ხარა-2 (კრეიჩი-4, სეგუინი-2), 1:2 მაკბეინი-1 (ე. სტაალი-2, სიომინი-2), 1:3 ჰორტონი-2 (ხარა-3, ბოიჩუკი-1), 2:3 სკინერი-5 (ჯ. სტაალი-5), 3:3 ე. სტაალი-4 (სიომინი-3), 3:4 კრეიჩი-1 (ჰემილტონი-4, ჰორტონი-2), 3:5 სეგუინი-1.

**კოლამბუსი-დალასი 2:1**

0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლარსენი-1 (გოლიგოსკი-3, ბენი-1), 1:1 დორსეტი-1 (ტიუტინი-4, ანისიმოვი-1), 2:1 პროსპალი-2 (ვიშნიევსკი-1, ჯ. ჯონსონი-1).

**ფინიქსი-ნეშვილი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ვერმეტი-3 (ნ. ჯონსონი-1, იენდლი-3), 2:0 კორპიკოსკი-3 (ბ. გორდონი-3), 3:0 ნ. ჯონსონი-1 (იენდლი-4, მორისი-4), 4:0 იენდლი-1 (ეკმან-ლარსონი-3, ვრბატა-4).

**ედმონტონი-კოლორადო 4:1**

2:0, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჰემსკი-2 (ჰარტიკაინენი-1, სემ განიე-3), 2:0 ებერლე-3 (ტ. ჰოლი-4, რაიან უიტნი-2), 3:0 ჰორკოფი-1 (ტ. ჰოლი-5, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-4), 3:1 პარენტო-3 (დუშენი-3, მაკგინი-1), 4:1 იაკუპოვი-3 (სემ განიე-4)

**ლოს ანჯელესი-ვანკუვერი 3:2 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კასიანი-4 (ედლერი-3, ჰამჰუისი-3), 0:2 ბაროუზი-2 (ჰიგინსი-2, ტანევი-1), 1:2 ჯ. კარტერი-3 (მ. რიჩარდსი-1, საიმონ განიე-2), 2:2 ვოინოვი-1 (კოპიტარი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. კარტერი (ლოს ანჯელესი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | ქ |
|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 5 | 9 |
| 2. ტამპა ბეი | 5 | 8 |
| 3. ნიუ ჯერსი | 4 | 7 |
| 4. ოტავა | 5 | 7 |
| 5. ვინიპეგი | 5 | 7 |
| 6. მონრეალი | 4 | 6 |
| 7. პიტსბურგი | 5 | 6 |
| 8. აილენდერსი | 5 | 5 |
| 9. კაროლინა | 5 | 4 |
| 10. ბაფალო | 5 | 4 |
| 11. ტორონტო | 5 | 4 |
| 12. რეინჯერსი | 5 | 4 |
| 13. ფილადელფია | 6 | 4 |
| 14. ვაშინგტონი | 5 | 3 |
| 15. ფლორიდა | 5 | 2 |

**დასავლეთი**

| | თ | ქ |
|---|---|---|
| 1. ჩიკაგო | 6 | 12 |
| 2. სან ხოსე | 5 | 10 |
| 3. ედმონტონი | 5 | 6 |
| 4. სენტ ლუისი | 6 | 10 |
| 5. ანაჰაიმი | 4 | 6 |
| 6. ვანკუვერი | 6 | 6 |
| 7. მინესოტა | 5 | 5 |
| 8. ლოს ანჯელესი | 5 | 5 |
| 9. დეტროიტი | 5 | 5 |
| 10. დალასი | 6 | 5 |
| 11. კოლამბუსი | 6 | 5 |
| 12. ნეშვილი | 6 | 5 |
| 13. კოლორადო | 5 | 4 |
| 14. ფინიქსი | 6 | 4 |
| 15. კალგარი | 4 | 3 |

ველოსპორტი

# პროცესი დაიწყო



ეუფემიანო ფუენტესი

მადრიდის სასამართლომ დაიწყო მოსმენა ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** საქმეზე, რომელმაც, თავის დროზე. მიიღო კოდური სახელწოდება - "ოპერაცია პუერტო". ამ სკანდალში გარეული იყო რამდენიმე წამყვანი ველომრბოლი. პროცესი მარტამდე გაგრძელდება.

ფუენტესის საქმე 2006 წელს გაიხსნა ველომრბოლ **ხესუს მანსანოს** ჩვენების საფუძველზე. მან აღიარა სისხლის დოპინგის, ერითროპოეტინისა და ზრდის ჰორმონის გამოყენება. მაშინ ესპანეთის პოლიციამ დაიწყო გამოძიება ველოსაჯინიბო "კელმეს" მოქმედი ექიმის ფუენტესის წინააღმდეგ.

ამჟამად, სასამართლოში მოწმის სტატუსით დაბარებული არიან ტურ დე ფრანსის ორგზის გამარჯვებული, ესპანელი **ალბერტო კონტადორი**, რომელიც 5 თებერვალს უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე, აგრეთვე ჯირო დ'იტალიას ორგზის ტრიუმფატორი, იტალიელი **ივან ბასო**, მისი თანამემამულეები **ჯამპაოლო კარუზო და მიკელე სკარპონი.**

ფუენტესის წინააღმდეგ საქმე აღიძრა ჯანმრთელობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის მუხლით, მან, შესაძლოა, ორიდან ოთხწლიანი პატიმრობა მიიღოს.

2006 წლის მაისში, ფუენტესის საქმეს თან ახლდა რამდენიმე დაპატიმრება და ჩხრეკა, რომლის დროსაც, პოლიციამ აღმოაჩინა დიდი რაოდენობით აკრძალული პრეპარატი. ასევე იპოვეს დოქტორის კლიენტთა სია. საერთო ჯამში, ეჭვი შეიტანეს 200 სპორტსმენის პატიოსნებაში, მათ შორის იყვნენ ველომრბოლები, მძლეოსნები, ჩოგბურთელები და ფეხბურთელები. კლიენტებს შორის იყვნენ ცნობილი ივან ბასო, ალეხანდრო ვალვერდე, იან ულრიხი და სხვები. სხვათა შორის, ამ სამეულს მაშინ სხვადასხვა ხანგრძლივობის დისკვალიფიკაცია მისცეს.

# სკანდალი ჯერ არ დამთავრებულა

## ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირს ლენს არმსტრონგისთვის ხელის დაფარებაში ადანაშაულებენ

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა **ტრევის ტაიგარტმა** განაცხადა, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი არ უნდა მონაწილეობდეს **ლენს არმსტრონგის** საქმის გამოძიებაში.

28 იანვარს, ველომრბოლთა კავშირმა დაითხოვა დამოუკიდებელი კომისია, რომელიც იკვლევდა ამ ორგანიზაციის კავშირს იმ სადოპინგო სქემებთან, რომელიც ლენს არმსტრონგმა შექმნა. კავშირის შეტყობინებით ვიგებთ, რომ აშშ-ისა და მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოები არ უჭერდნენ მხარს ამ კომისიის მოღვაწეობას და არაერთხელ გამოთქვეს ეჭვი მის ობიექტურობაში. კომისიას თავისი ანგარიში 2013 წლის პირველ ივნისამდე უნდა გამოექვეყნებინა.

ახლა, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი შექმნის "სიმართლისა და რეგულირების კომისიას", რომლის მთავარი მიზანი იქნება ველოსპორტზე დოპინგის გავლენის შესწავლა.

ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა დამოუკიდებელი კომისიის ობიექტური გამოძიებისთვის. ტაიგერის თქმით, ახლა კავშირს უნდა გვაჩვენოს, რომ ის დოპინგს ებრძვის, არადა, თავად აქტიურად უწყობდა ხელს მის გავრცელებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**აფრიკის თასი**

ბურკინა ფასო-ზამბია 0:0
ეთიოპია-ნიგერია 0:2

**ამხანაგური მატჩები**

ლას პალმასი-ბრანი 1:3
ლეხი-ლეგნიცა 0:1
ბოტევი-ხიმკი 2:2
შენიცა-კარვინა 2:2
კალმარი-მიალბიუ 2:1
ისტრა-ნოვა გორიცა 4:0
აუსტრია-ციურიხი 0:1
ვოლენი-იანგ ბოიზი 2:1
დნიპრო-ვიდეოტონი 1:0
შახტარი-პიასტი 3:0
იონჩოპინგი-ჰაკენი 1:0
ოლესუნდი-სკარბოვიკი 7:0

**ინგლისი**

ასტონ ვილი-ნიუკასლი 1:2
ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი 0:0
სტოკი-უიგანი 2:2
სანდერლენდი-სუონსი 0:0

**ჩემპიონშიპი**

ბარნსლი-მილუოლი 2:0
ბრისტოლი-უოტფორდი 2:0

**I ლიგა**

ქროული-პრესტონი გადაიდო
ლეიტონი-სუინდონი 0:0
პორტსმუთი-ნოტსი 0:2
იეოვილი-მილტონი 2:1

**II ლიგა**

ჯილინგემი-ნორთჰემპტონი 2:0
ოქსფორდი-ბარტონი 1:1

**კონფერენსი**

ჰერეფორდი-მენსფილდი გადაიდო
კიდერმინსტერი-ტელფორდი 1:0
უოკინგი-ფორესტ გრინი გადაიდო
რექსჰემი-საუთპორტი 2:2

**იტალიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

ლაციო-იუვენტუსი 2:1 (1:1)

**ჰოლანდიის თასი**

**1/4 ფინალი**

დენ ბოში-ალკმაარი 0:5

**ბელგიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

კორტრიიკი-სერკლ ბრიუგე გადაიდო

**შოტლანდია**

მოზერველი-დანდი იუნ გადაიდო

**III დივიზიონი**

ანენი-პიტერჰედი 0:0

**ფინეთი**

**ლიგის თასი**

ინტერი-იუვიასკიულა 2:3

**თურქეთის თასი**

1461 ტრაბზონი-ბურსა 0:0

**ჩრ. ირლანდია**

დუნგანონი-ბალიმენა 0:0
დონეგალი-ლინფილდი 1:4

**კალათბურთი**

**ევროთასი**

ვალენსია-ბილბაო 60:61

**ევროჩელენჯი**

მინსკი-ტელეკომი 74:70
ვენტსპილსი-გაზ მეთანი 96:64
ნორჩოპინგი-ხიმიკი 76:81
პინარი-კატაია 89:70
თოფასი-კრ. კრილია 70:78
პარიზი-შოლნოკი 93:71
გრაველინი-ჰაპოელი (ჰ) 86:80
აალსტი-ოლდენბურგი 80:103

**საფრანგეთის თასი**

ლე მანი-ორლეანი 74:78

**ჰოკეი**

**ავსტრია**

ალბა-ზნოიმო 0:3
ვენა-ლინცი 4:2
გრაცი-ზაგრები 2:1
ზალცბურგი-ინსბრუკი 4:1
კლაგენფიურტი-ვილახი 7:1
ოლიმპია-დორნბირნი 4:0

**დანია**

კოპენჰაგენი-ჰერნინგი 1:6
სონდერიისკი-ჰერლევი 3:4
ფრედრიკშავნი-ოლბორგი 1:2
ესბერგი-როდოვრე 6:3

**ნორვეგია**

რუსენბორგი-ლილეჰამერი 5:3

**სლოვაკეთი**

ბისტრიცა-პიესტანი 1:3
ჟილინა-ტრენჩინი 4:3 (ო)
მარტინი-ზვოლენი 4:1
ნიტრა-პოპრადი 4:5 (ბ)
სკალიცა-კოშიცე 5:1

**ფინეთი**

ილვესი-იუვიასკიულა 2:3
იოკერიტი-სეიპა 3:1
კერპეტი-ტპს 4:3
ჰპკ-ჰიფკ 3:1
ესეტი-ბლიუზი 4:3

**ჩეხეთი**

ვიტკოვიცე-პარდუბიცე 2:1
სლავია-ლიბერეცი 4:3
სპარტა-ბრნო 4:2

**შვეიცარია**

დავოსი-რაპერსვილი 4:5 (ბ)
სერვეტი-ბილი 3:2
ცუგი-კლოტენი 3:2

**შვედეთი**

ბრიუნესი-აიკ 1:2 (ო)
ლულეო-ლინჩოპინგი 4:1
მოდო-ფრიოლუნდა 6:1
როგლე-ჰვ71 1:4
ტიმრა-ვექსიო 0:2
ფერიესტადი-შელეფტეო 0:1

**ჩოგბურთი**

**WTA. პარიზი**

ნიკულესკუ-სუარეს ნავარო 3:6, 6:7
პირონკოვა-ფოგელი 4:6, 2:6
არვიდსონი-**კორნე** 3:6, 6:4, 0:6
გორგესი-**მლადენოვიჩი** 5:7, 7:5, 6:7
**ვინჩი**-ჰალეპი 6:0, 6:3

**WTA. პატაია**

სევასტოვა-დოი 6:4, 6:2
ამანმურადოვა-**კირილენკო** 3:6, 5:7
კინგი-**როდიონოვა** 4:6, 4:6
მატეკი-**კირსტეა** 1:6, 3:6
მალეკი-**ლისიცკი** 2:6, 3:6
**კუმხუნი**-დელაკუა 6:2, 6:2
სხეპერსი-**დატე** 5:7, 1:6
უოტსონი-ბაბოში 6:1, 3:0 უარი
**ბრატჩიკოვა**-პეერი 6:3, 6:3

TV პროგრამა

**30 იანვარი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ფრაიბურგი-ლევერკუზენი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ასტონ ვილა-ნიუკასლი.
**16:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. მირასოლი-კორინთიანსი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ფეიენოორდი-ტვენტე.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. შტუტგარტი-ბაიერნი.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. ტურის მიმოხილვა.
**23:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. არსენალი-ლივერპული (LIVE).
**01:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. მანჩესტერი-საუთჰემპტონი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. სანტოსი-ბოტაფოგო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-დალასი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
**17:00** კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი-ლეიკერსი. 1984 წელი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1981-87 წლები. I ნაწილი.
**20:30** NBA ACTION.
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-დალასი.
**23:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. მანჩესტერ იუნ-საუთჰემპტონი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.
**14:15** სპორტ-NEWS.
**14:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-მანსტერი.
**16:45** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია.
**18:45** სპორტ-NEWS.
**19:15** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**19:50** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ნორვიჩი-ტოტენჰემი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სეზონი ლოტუსმა გახსნა


ლოტუსის ახალი ბოლიდი

ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით თვე-ნახევარია დარჩენილი, მანამდე კი გუნდებმა დაიწყეს ახალი სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდების პრეზენტაცია. პირველმა ეს შარშანდელი ჩემპიონატის მეოთხე გუნდმა - „ლოტუსმა" გააკეთა.

მალაიზიური გუნდის ახალი მანქანის ინდექსია - E21. ის არის რიგით 21-ე ბოლიდი, რომელიც ენსტოუნის ბაზაზე შეიქმნა. გარეგნულ მხარეში მთავარი ცვლილება ის არის, რომ შავსა და ოქროსფერს დაემატა წითელი. სხვა მხრივ, ბოლიდი შარშანდელ E20-ს ჰგავს - მანქანის „ცხვირზე" 2012 წლის სეზონისთვის დამახასიათებელი საფეხურიც კი არ შეცვლილა. თუმცა, რეალურად, ბევრ კომპონენტშია ცვლილება მიღწეული და ამას ადასტურებს გუნდის ტექნიკური დირექტორი **ჯეიმს ელისონი**, რომელიც პასუხისმგებელი იყო E21-ის შექმნაზე.

*„ენსტოუნში იციან, როგორ ააგონ ახალი მანქანა და როგორ მოიგონ ჩემპიონატი, თუმცა ჩვენი ბოლო ჩემპიონობიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ახლა, ისევ გვინდა ეს გრძნობა გამოვცადოთ. სერიოზული ინვესტიციების წყალობით, გუნდს ენსტოუნში ფანტასტიკური ბაზა აქვს, სადაც გამოცდილი ინჟინრები და კონსტრუქტორები მუშაობენ. მათ შარშან შესანიშნავი მანქანა შექმნეს და E21 იმ ბოლიდის განვითარებული ვარიანტია. გვყავს პილოტების შესანიშნავი წყვილი - მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი კიმი რაიკონენი და ახალგაზრდა რომენ გროსჟანი. მხარს გვიმაგრებენ ძლიერი პარტნიორები და ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის"*, - ამბობს „ლოტუსის" შეფი **ერიკ ბუიე**.

პრეზენტაციაზე „ლოტუსმა" დაასახელა სამი ახალგაზრდა პილოტი, რომლებიც წელს გუნდში იმუშავებენ: GP2-ის სერიის ჩემპიონი **დავიდე ვალსეკი** გუნდის მესამე პილოტი გახდა, **ჟერომ დ'ამბროზიო** - სათადარიგოა, **ნიკოლა პროსტი** კი მანქანის განვითარებაზე იმუშავებს.


ბერნი ექლსტოუნი

# ნიურნბურგრინგი გამოირიცხა

როგორც გაირკვა, წელს გერმანიის ნიურნბურგრინგზე ფორმულა 1-ის რბოლა არ ჩატარდება. „სამეფო რბოლების" მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** მონდომებით ცდილობდა ტრასის მფლობელებისგან ფინანსური გარანტიების მიღებას, მაგრამ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ბრიტანელმა ხელი ჩაიქნია.

*„დეტალურად შევისწავლეთ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ ეტაპი გამართულიყო. ყველა ძალა ჩაერთო ამ საქმეში, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ ავტოდრომს არ შეუძლია ჩვენთვის საჭირო ფინანსური გარანტიების მოცემა. ამიტომაც შევწყვიტეთ მოლაპარაკებები"*, - ამბობს ექლსტოუნი გერმანული პრესისთვის მიცემულ კომენტარში.

რბოლა 7 ივლისს აუცილებლად გაიმართება, რადგან ეს დღე ოფიციალურად არის დადასტურებული კალენდარში. ახლა, ეტაპის ჩატარების მთავარი პრეტენდენტი კიდევ ერთი გერმანული ტრასა - ჰოკენჰაიმი გახდა.

# მონტოიას ჰეთ-თრიკი

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **ხუან-პაბლო მონტოიამ** კარიერაში მესამედ მოიგო სახელგანთქმული დაიტონას 24-საათიანი რბოლა. კოლუმბიელს გამარჯვებაში დაეხმარნენ გუნდ Chip Ganassi Racing-ში მისი პარტნიორები - **ჩარლი კიმბალი, სკოტ პრიუეტი** და **მემო როხასი**.

Chip Ganassi Racing-ის მრბოლელები Riley-BMW-ის მანქანით გამოდიოდნენ და საბოლოოდ, უახლოეს კონკურენტებს 20 წამზე მეტით გაუსწრეს. თუმცა არ შეიძლება ამ გამარჯვებას იოლი ეწოდოს და მონტოიამ მასში დიდი წვლილი შეიტანა. დისტანციის ბოლო მონაკვეთზე მან საჭე მაშინ ჩაიბარა, როცა ხუან-პაბლოს ეკიპაჟი მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა. დარჩენილ დროში მონტონიამ მოასწრო **ეი-ჯეი ალმენდინგერის** (Michael Shank Racing), **ჟოაო ბარბოზასა** (Action Express Racing) და **მაქს ანჯელელის** (VelocityWW) გასწრება.

ადრე მონტოიას „დაიტონას 24 საათი" 2007 და 2008 წლებში აქვს მოგებული.



# ფლეიბოის მოდელი რალიში მიდის

უკრაინელი მრბოლელი და ტოპმოდელი **ინესა ტუშკანოვა** უახლოეს დროში ისევ გაახარებს რალის მოყვარულებს, - წერს ბრიტანული გაზეთი „სანი". 25 წლის ლამაზმანი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატის ეტაპში, რომელიც ლატვიაში გაიმართება. ასევე ინესას ვიხილავთ Arctic Lapland Rally-ში. მაყურებელს ექნება ბედნიერება ცოცხლად იხილოს გოგონა ცნობილ ჟურნალ Playboy-ს გარეკანიდან. თუმცა ყველაზე იღბლიანი, რა თქმა უნდა, მისი თანაგუნდელი **დანკან მაკნივენი** იქნება.

ადრე უკრაინელი რვა წლის განმავლობაში გამოდიოდა მოტორბოლებში, ახლა კი მისი მორიგი მიზანი რალიში ახალი სიმაღლეების დაპყრობაა.

*„დიდი იმედები არ მაქვს, რომ ლატვიაში საპრიზო ადგილებზე მოვხვდები. ამაზე არც კი ვოცნებობ*, - ამბობს ტუშკანოვა. - *მაგრამ თავად ამ რალიში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კარიერისთვის. ევროპის ჩემპიონატის დონე საკმაოდ მაღალია, რაც შეეხება რალიში ჩემს გეგმებს, ის მხოლოდ ერთი სეზონით არ შემოიფარგლება".*


ინესა ტუშკანოვა


დანიკა პატრიკი

# დანიკას კონკურენტი შეუყვარდა

ცნობილ ამერიკელ ქალ მრბოლელს **დანიკა პატრიკს** რომანი აქვს ტრასაზე თავის კონკურენტთან, NASCAR Nationwide-ის 2011 და 2012 წლების ჩემპიონთან **რიკი სტენჰაუსთან.**

ამერიკელმა თავისი სიყვარული სამუშაოს დროს იპოვა. პილოტი 2012 წელს დაშორდა მეუღლეს - **პოლ ჰოსპენტალს**, რომელთან ერთადაც შვიდი წელი იცხოვრა. გაყრის შესახებ დანიკამ შარშანდელი სეზონის ბოლო რბოლის წინ გამოაცხადა.

ამის შემდეგ დადიოდა ჭორი იმის შესახებ, რომ პატრიკს ახალი რჩეული ჰყავდა და ბოლოს, თავად პილოტმა დაადასტურა, რომ მან ურთიერთობა გააბა თავის ერთ-ერთ კონკურენტთან - NASCAR Nationwide-ის ორგზის ჩემპიონ რიკი სტენჰაუსთან.

ასე რომ, ახლა რიკისთვის რთული იქნება გამარჯვებების მოპოვება, რადგან, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, ტრასაზე ქალბატონს უნდა დაუთმოს გზა. მით უმეტეს, რომ ეს ქალბატონი თავადაც მაღალი დონის პილოტია და შარშან, NASCAR-ის სერიაში მე-10 ადგილი დაიკავა.

2013 წლის სეზონში, პატრიკი და სტენჰაუსი გააგრძელებენ ტრასაზე კონკურენციას - ისინი NASCAR Sprint Cup-ის სერიაში გადადიან. მაგრამ ორივე ირწმუნება, რომ სპორტული ბრძოლა ხელს არ შეუშლის მათ ურთიერთობას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, ორშაბათის გარდა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:15
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608